

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
განათლების სამაცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

მეცნიერება და სპოლა

სამაცნიერო პედაგოგიური

შრომების პრეზული

I

თბილისი 2010

UDC: 37.01

გ-621

წინამდებარე სამეცნიერო პედაგოგიური შრომების კრებული „მეცნიერება და სკოლა“ ეხება პედაგოგიკური თეორიისა და პრაქტიკის ურთიერთგანპირებულობის აქტუალურ საკითხებს. აღზრდაში არსებულ მწვავე პრობლემებს: შედეგებს, მიზეზებსა და გამოსავლის ძიებას. წარმოდგენილი შრომები მოსმენილია 2010 წელს, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში პედაგოგიურ სემინარებსა და სამეცნიერო კონფერენციებზე.

კრებული განკუთვნილია პედაგოგიური საზოგადოების მეცნიერ - მკვლევარების, სტუდენტების, მშობლებისა და პედაგოგიური პრობლემებით დაინტერესებულ მკითხველთათვის.

რედაქტორი: პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორი
პროფესორი გულნაზ ხუსუა

რეცენზებები: პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორი
სრული პროფესორი ჯემალ ჯინჯიხაძე

პედაგოგიკის დოქტორი, ასოცირებული
პროფესორი ოთარ ვახანია

პედაგოგიკის დოქტორი, ასოცირებული
პროფესორი ლევან ჯინჯიხაძე

ISSN 1987-846X

შტრიხ კოდი 9771987846004

© სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2010

**SOKHUMI STATE UNIVERSITY
SCIENTIFIC-EDUCATION INSTITUTE OF
EDUCATION**

SCIENCE AND SCHOOL

**SCIENTIFIC PEDAGOGICAL
WORKS COLLECTION**

I

Tbilisi – 2010

UDC: 37.01

E-621

ISSN 1987-846X

9771987846004

The given Scientific Pedagogical Works Collection “Science and School” is about the actual questions of interdependence of pedagogical theory and practice. Problems existed in upbringing: results, reasons and searching for solving a problem. The works given in the collection have been listened at the pedagogical seminaries and scientific conferences at Sokhumi State University in 2010.

The collection belongs to the scientists-researchers, to the readers interested in pedagogical society, students and parents.

Editor: Doctor of Pedagogical Sciences

Professor **Gulnaz Khukhua**

Reviewers: Doctor of Pedagogical Sciences,

Full Professor **Jemal Jinjikhadze**

Doctor of Pedagogics,

Associate Professor **Otar Vakhania**

Doctor of Pedagogics,

Associate Professor **Levan Jinjikhadze**

© Sokhumi State University, 2010

2009 წლის დეკემბერს დაფუძნებულ იქნა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში განათლების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი (შემდგაში გსკი), რომელმაც გზა გაუხსნა უნივერსიტეტის სტრუქტურულ სრულყოფას, მიზანმიმართულ პედაგოგიურ - კვლევითი საქმიანობის გაძლიერება-გაფართოებას, პედაგოგიკური მეცნიერებისა და სკოლის ერთიან სივრცეში მოქცევას, მეცნიერ-მკვლევართა და პრაქტიკოს მასწავლებელთა თანამშრომლობას. ამავე მიმართულების იაკობ გოგებაშვილის სახელობის საქართველოს ეროვნული პედაგოგიკური მეცნიერების კვლევითი ინსტიტუტის პედაგოგიკის კლასიკოსთა უმდიდრესი, საუკუნოვანი გამოცდილების და საერთაშორისო მიღწევების გათვალისწინებით.

დღეს, როგორც სტატისტიკური მონაცემებიდან იორგ-ვეგა, მთელ მსოფლიოში და მათ შორის საქართველოშიც მოხსენელი - ახალგაზრდობაში აშკარად თავი იჩინა პედაგოგიურ და ზნეობრივმა პრობლემებმა. სახეზე აკადემიურ - პედაგოგიური ჩამორჩენილობა, ასოციალურ-ანტისოციალურობა. მსოფლიოს მეცნიერები: პედაგოგიკოსები, ფიქოლოგები, ფილოსოფოსები იკვლევენ არსებული პრობლემის შედეგებს, მიზეზებს და ეძებენ გამოსავალს. საჭიროა ამ მიღწეულის სიღრმისულად გააზრება - გაცნობიერება. დროისა და ადგილის სპეციფიკურ თავისებურებებთან შესაბამისობაში მოყვანა, აღზრდისადმი ტრადიციული მიღვომების გადასინჯვა-განახლება. სწორედ ამის მცდელობაა ჩვენი

ინსტიტუტის საქმიანობა, რომელშიც ჩართული არიან ძირითადად ინსტიტუტის თანამშრომლები, ასევე განათლების ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები. ინსტიტუტის ნახევარწლიანი სამეცნიერო კვლევითი მუშაობის შედეგები სისტემურად და თანმიმდევრულად განიხილებოდა განათლების ფაკულტეტზე გეგმიურ სემინარებსა და სამეცნიერო კონფერენციებზე. ინფორმაციები ქვეყნდებოდა უნივერსიტეტის გაზეთში.

ამჯერად შევეცადეთ კვლევით მოპოვებული და ყოველთვიურ სემინარებსა და სამეცნიერო კონფერენციაზე განხილული მასალების გამოცემა სამეცნიერო პედაგოგიური შრომების კრებულის სახით.

წინამდებარე კრებულის მიმართ ყველა სამართლიან შენიშვნასა და კომპეტენტურ რჩევებს დიდი პატივისცემით გავითვალისწინებოთ მომდევნო ნომერში.

რედაქტორი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების
სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის
მთავარ მეცნიერ-თანამშრომელი
პედაგოგიკური მეცნიერების დოქტორი, პროფესორი
გულნაზ ხუსუა

პედაგოგიკურ ცენტრი-ტერმინლოგიური სისტემის
შემაცნებითი მნიშვნელობა მასშაბლებლის
პროცესიულ სამზადებლად

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში განათლების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დაფუძნებამ გზა გაუხსნა უნივერსიტეტის სტრუქტურულ სრულყოფას, პედაგოგიკის მეცნიერების თავის უფლებებში აღდგენას. შეიქმნა საფუძველი იმ ვაკუუმის ამოცსებისა, რაც მოჰყვა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დახურვას, უმაღლეს სასწავლებლებში დარგობრივი კათედრების გაუქმებას და საუცხოვანი სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების შესუსტებას, რამაც ყველაზე მეტად დააზარალა ადამიანთა მოდგრძის პირველი, პერმანენტული და საყოველთაო, ადამიანის სრულფასოვან პიროვნებად ფორმირების ერთადერთი, შეუცვლელი მეცნიერება - პედაგოგიკა და მისი კვლევის ობიექტი - აღსაზრდელი. ამას მოწმობს ბოლოდროინდელი სტატისტიკური მონაცემები არასრულწლოვანთა მიერ სამართალდარღვევის, აკადემიური ჩამორჩენილობის და ზნეობრივი ნორმების უგულვებელყოფის მრავალრიცხოვანი ფაქტები. მაგალითად, მოსწავლეთა 336 სისხლის სამართლის დანაშაული, საიდანაც 16 მკვლელობაა. ბოლო ადგილი განათლების დონის მიხედვით, რომელიც აჩვენა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ 17 ქვეყანაში ჩატარებულმა პედაგოგიურმა გამოკლევებმა სკოლებში, და, რაც ყველაზე დამაფიქრებელია, სკოლაში მანდატურების შევანის ფაქტი. მასწავლებელთა მიმდინარე სერტიფიცირების შედეგები, რომელმაც გამოავლინა მათი პედაგოგიური კვა-

ლიფიკაციის დაბალი დონე.

განათლების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი (შემ-დგეში გსკი) თავისი კომპეტენციებიდან გამომდინარე, იძლე-ვა საშუალებას, სანამ უცხოელი შეიტყობს, ჩვენ თვითონვე შევისწავლოთ ჩვენს განათლების სისტემაში არსებული პრობლემები და ვიპოვოთ ოპტიმალური გამოსავალი ერო-ვნული და ზოგადკაცობრიულ პედაგოგიური მიღწევების შემოქმედებითად ათვისება-გამოყენების საფუძველზე ად-გილობრივი სპეციფიკურობის გათვალისწინებით.

ვისარგებლეთ რა ამ დიდებული შესაძლებლობით, გსკი-ის დაფუძნებისთანავე დავიწყეთ პედაგოგიური პრო-ბლემების შესწავლა რეალურ სინამდვილეში. გეგმიური პედაგოგიური კვლევა ჩავატარეთ თბილისის რამდენიმე სკოლაში სასკოლო პრაქტიკის რეალური მდგომარეობის, წარმატებისა და ხარვეზების დადგენის მიზნით. კონკრე-ტულად, თუ რა პრობლემებს აწყდებიან მასწავლებლები მოსწავლეებთან სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში და რა პედაგოგიური საშუალებებით ახდენენ მის გადაჭრას. გამოვიყენეთ დიაგნოსტიკურ-პედაგოგიური კვლევის რამ-დენიმე მეთოდი: საუბარი და ანკეტური გამოკითხვა ტე-სტური, ლია და დახურული კითხვებით. მოპოვებული მა-სალების ანალიზმა აჩვენა შემდეგი სურათი: გამოკითხულ მასწავლებელთა (სულ 202) 80%-ზე მეტს პრობლემა აქვს ცნებით-ტერმინოლოგიურ სისტემასთან. ეს კი ნიშნავს სე-რიოზულ პრობლემას პედაგოგიური პროცესის მეცნიერულ საფუძველზე ორგანიზებასა და წარმართვაში.

პირველ კითხვაზე: რა პრობლემებს აწყდებით მოსწავლეებთან სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში, საერთოდ, და კერძოდ, თქვენი საგნის სწავლებისას?

მათ უპასუხეს: „კაბინეტის კლასით დაკავება,“ „დისციპლინა,“ „სახელმძღვანელოების დეფი-ციტი,“ „სასწავლო ნივთების სიძვირე,“ „სასწავლო მოტი-ვის უქონლობა,“ „ბავშვის დაბალი დონე,“ „უინტერესობა,“ „გონებაგაფანტულობა,“ „სახელმძღვანელოები გაუგებარ

ენაზეა დაწერილი, „მშობელთა უყურადღებობა, „სიზარ-მაცე, „ქცევის პრობლემები, „კაბინეტური სისტემის მოშ-ლა, „შეფასების ნიშნის გამოყვანა არ მიმაჩნია სწორად, „დარღვეულია სწავლების სისტემატურობის პრინციპი, „იძულებითი სწავლა, „სწავლის სურვილი არა აქვთ, „მა-თმამარიკა არ აინტერესებთ“ და ა. შ. (სტილი დაცულია).

აქ მოტანილი მაგალითებიდან ნათლად ჩანს სკოლის მატერიალური, ორგანიზაციული, ეთიკური, პედაგოგიური, ფსიქოლოგიური, პროფესიული პრობლემები. მაგრამ განსაკუთრებით ჩვენი ყურადღება მიიქცია მასწავლებლის ლოგიკურ-მეთოდოლოგიურ კულტურის, კერძოდ, პედაგო-კის ცნებითი-ტერმინოლოგიური სისტემასთან დაკავშირე-ბულმა პრობლემებმა. მასწავლებელთა დიდი ნაწილი ვერ ახერხებს პედაგოგიური მოვლენების პრობლემატურობის დონის მიხედვით განსაზღვრას და პედაგოგიურ კატეგო-რიებში გადატანას, იფარგლება სუბიექტური მოსაზრებები-თა და შიშველი პრაქტიკიზმის საფუძველზე მათი შეფა-სებებით.

ამ შეფასებას კიდევ უფრო ამყარებს მეორე კითხვის - „რა თანამედროვე პედაგოგიურ ტექნოლოგიებს იყენებთ მოსწავლეებთან ურთიერთობისა და სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში? - ასეუხები, რომელშიც გამოკითხულთა 87% ასახელებს კომპიუტერს, ინტერნეტს, პლაკატებს, პროექტორს, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, ექსპურსიებს, დისპუტებს, ჯგუფურ და წყვილურ მეცადინეობებს, ტესტირებას, ინტერაქტიურ, კოლექტიურ ძიებით მეთოდებს და ა. შ.

როგორც ვხედავთ, ამ პასუხების ავტორები სწავლების ტექნიკურ საშუალებებს, პედაგოგიურ ფორმებს, მეთოდებსა და პედაგოგიურ ტექნოლოგიებს შორის განსხვავებას ვერ ხედავენ, რადგან „პედაგოგიური ტექნოლოგიების“ ცნებებში ვერ ერკვევიან.

ასევე მათ ნაწერებში ნახავთ გაურკვეველ (მაგალითად,, „სოციალური კონსტრუქცივიზმის მეთოდით“) და

აბსტრაქტულ პასუხებს („გიყენებ ყველა თანამედროვე მეთოდს, რომელიც ავითარებს სოციალურ უნარებს”). როცა საუბრებში შევატყვევთ, რომ პედაგოგიური ტექნოლოგიების ცნება არც ისე ნათლად ჰქონდათ წარმოდგენილი, დავუსვით ტრადიციული კითხვა:

- რა პედაგოგიური კანონებით, პრინციპებითა და მეთოდებით ცდილობთ თქვენს მიერ დასახელებული პრობლემების მოგვარებას?

ამ კითხვაზე მივიღეთ შემდეგი პასუხები:

- „გიყენებ დამატებით მეცადინეობას;” „მივმართავ ფსიქოლოგს;” „გცდილობ დავაინტერესო მოსწავლეები და მიმყავს ექსკურსიებზე;” „საუბრებით;” „დარიგებით და დამოძღვრებით;” „ჯგუფური მუშაობით;” „ფსიქოლოგიური პალეოთ;” „ექსმარები ფსიქოლოგიურად, ცოტა მკაცრადაც;” „განმარტებით და თვალსაჩინოებით;” „თანამშრომლობით;” „გოხმარიებ ფსიქოლოგს;” „შეგნებულობის პრინციპით;” „წახალისებით და თანამშრომლობით;” „ტექნიკური საშუალებების გაუმჯობესებით;” „გაკვეთილი დავუკავშირო ცხოვრებისეულ მაგალითებს;” „განხილვას;” „თეორიული ცოდნის პრაქტიკული გამოყენებით, რათა სახალისო გახდეს დამატებითი მეცადინეობა;” „მშობლებთან გასაუბრებით;” „პროექტებზე ორიენტირებული სწავლით” და ა. შ. (სტილი დაცულია). კოლოსელ მისანსაც კი გაუჭირდებოდა ზოგიერთი პასუხის გაგება, მაგრამ უმჯობესია მოთმინებით მივყვეთ საქმეს.

როგორც ვხედავთ, ამ პასუხებში პედაგოგიური კანონების ხენებაც კი არ არის. პედაგოგიური კანონების გარეშე კი სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი სტიქიურინსტიქტების დონეზე რჩება და განწირულია მარცხისთვის. ამიტომ თქვა გერმანული პედაგოგიკის კლასიკოსმა ადოლფ დისტერვეგმა: „პედაგოგიური კანონების უცოდინარობაა უტიფრობაა, ხოლო მისი გამოუყენებლობა ბარბაროსობაო.”

რაც შეეხება პედაგოგიურ პრინციპებს, ზოგიერთ მათ-

განს ამოიცნობთ ალაგ-ალაგ. მაგალითად: შეგნებულობის პრინციპი, თვალსაჩინოების პრინციპი, თანამშრომლობის პრინციპი, სწავლების ცხოვრებასთან დაკავშირების პრინციპი, თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობის პრინციპი, მაგრამ არამეცნიერულ ენაზე, რაც კარგად ჩანს დედანში ერთის გამოყლებით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გამოკითხულთა უმრავლესობას რაღაც ინსტიქტის დონეზე ზერელე წარმოდგენა აქვთ პედაგოგიკის თეორიისა და პრაქტიკის ძირებულ საკითხებზე. როგორც ცნობილია, პედაგოგიური პრინციპები პედაგოგიური კანონებითა და პედაგოგიური მიზნით არის განპირობებული და მასწავლებლისთვის ასრულებს მაორიენტირებულ ფუნქციას, ხელს უწყობს სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სწორად, მეცნიერულ დონეზე გამართვასა და წარმართვას, მოსწავლეებთან ურთიერთობის დარეგულირებას, როცა მისი არსი მოელი სიღრმე-სიგანით არის გაცნობიერებული.

პედაგოგიურ მეთოდებთან დაკავშირებით შედარებით მეტი განათლებულობა გამოავლინეს. თუმცა კვლევით მოპოვებულ მასალებში უფრო მეტად ფიგურირებს პედაგოგიური ზემოქმედებისა და მასტიმულირებელი მეთოდები. როგორიცაა: საუბარი, დაინტერესება, დარიგება, დამოდგრა, ახსნა-განმარტება, წახალისება. საკუთრივ სწავლების მეთოდები: აკრომატიკული, ერთოუმატიკული, პრაქტიკულ-ლაბორატორიული, წიგნზე მუშაობის მეთოდები და ხერხები, თითქმის არავის არ დაუსახელებია.

ვერ ვიტყვით, რომ ჩვენს მიერ ჩატარებული პედაგოგიური კვლევა სრულად ასახავს ჩვენი ქვეყნის სასკოლო ცხოვრებას, მასწავლებელთა კომპეტენტურობას, მაგრამ ვფიქრობთ, წარმოდგენილი მასალები იძლევა გარკვეულ წარმოდგენას პედაგოგიურ-პროფესიული, მეთოდოდლოგიური, ორგანიზაციული, მატერიალური, ზნეობრივ-ინტელექტუალური პრობლემების შესახებ. მართალია, ჩვენ მხოლოდ 202 მასწავლებლის გამოკითხვა მოვახერხეთ 70 ათასი მასწავლებლიდან, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ

მხოლოდ გამოკითხული მასწავლებლები მოიკოჭლებენ პედაგოგიკაში, დანარჩენი კი იდეალურები არიან. ადვილი წარმოსადგენია, რომ თუ დედაქალაქში გამოკითხული 202 მასწავლებელიდან 80%-ზე მეტი ვერ აკმაყოფილებს მასწავლებლის საყოველთაოდ დადგენილ პროფესიულ სტანდარტებს, საქართველოს ახლო და შორ რეგიონებში ვერ იქნება უკეთესი ვითარება.

პედაგოგიკის მეცნიერებაში დადგენილია, რომ ცნებითი ტერმინოლოგიური აზროვნების დეფიციტი ქმნის ძალზე სერიოზულ პრობლემებს განათლების ნებისმიერ სისტემაში, მაგრამ ეს ხარვეზი განსაკუთრებით საზიანოა ზოგად-საგანმანათლებლო სასწავლებლებში, რადგან სწორედ, აქ ეყრება საფუძველი გონიერივად, ზნეობრივად, სულიერად, ესოებიკურად და ფიზიკურად ჩამოყალიბებული, სრულ-ფასოვანი პიროვნების ფორმირებას. ახლა წარმოიდგინეთ 202 მასწავლებელს რამდენ მოსწავლესთან აქვს საქმე თავისი პედაგოგიური მუშაობის განმავლობაში, და, მაშინათვე გაცნობიერდება, თუ რა შედეგებს უნდა ვეღოდოთ.

ახლა ვიმსჯელოთ იმაზე, კერძოდ, რა თეორიული და პრაქტიკული ზიანი მოაქვს ცნებითი-ტერმინოლოგიური აზროვნების დეფიციტს განათლების სისტემაში. როგორც ცნობილია, პედაგოგიკური ტერმინოლოგია განსაზღვრავს ამ მეცნიერების არსეს, მის საგანს, ობიექტს, საზღვრებსა და ფუნქციებს. მეცნიერება ობიექტურ წესებს, კანონებსა და პრინციპებს იღებს რეალური სინამდვილიდან და აზროვნებაში გადააქვს ცნებების, კატეგორიებისა და ტერმინოლოგიების სახით. ამიტომ ამბობენ, რომ მეცნიერება ცნებითი აზროვნება არისო. პედაგოგიური აზროვნება სწორედ პედაგოგიკურ ცნებით-ტერმინოლოგიებს ეფუძნება. მასწავლებელი, რომელიც ვერ ფლობს ამ ცოდნას, მას არ ძალუდს პედაგოგიური მოვლენებისა და ფაქტების, პედაგოგიური სიტუაციების მეცნიერულ ენაზე გადატანა, რაც ზღუდავს უსაზღვრო პედაგოგიურ შესაძლებლობას, ისარგებლოს პედაგოგიკური მეცნიერებით.

პედაგოგიკური ცნებითი-ტერმინოლოგიური დეფიციტი ასევე ასახვას პოულობს ისეთ უცვლელ საკომუნიკაციო საშუალებაზე, როგორიცაა მეტყველების კულტურა, რომელიც უდიდეს გავლენას ახდენს მსმენელზე. როგორც ცნობილია, შემეცნების დიდი პროცენტი, მხედველობის შეძლება, სმენით შეგრძებაზე მოდის. როცა მასწავლებელი ვერ ფლობს პროფესიულ ტერმინოლოგიას, მისი მეტყველება მდაბიური, მწირი, არა ესთეტიკური და არა ეფექტურია. დაბლა წევს მასწავლებლის ავტორიტეტს. არადა, როგორც ცნობილია, ავტორიტეტული მასწავლებლის სიტყვას კი კანონის ძალა აქვს მოსწავლეთათვის.

მართალია, არ არსებობს უნივერსალური პედაგოგიური რეცეპტები, მაგრამ არსებობს პედაგოგიური კანონები, პრინციპები, მეთოდები, ფორმები, ხერხები და საშუალებები; მსგავს პედაგოგიურ ფაქტებზე, მოვლენებზე, სიტუაციებზე არის მზა პედაგოგიური გადაწყვეტილებები, დასკვნები, რეკომენდაციები, რომელთა შემოქმედებითად ათვისება და ანალოგიურ პედაგოგიურ სიტუაციის შესატყვისად გამოყენება უზრუნველყოფს პედაგოგიური შრომის მეცნიერულ ორგანიზაციას მისი ოპტიმიზაციისა და ინტენსიფიკაციის საფუძველზე, რაც გულისხმობს პედაგოგიური სიტუაციების გარემოებების (დროის, ადგილის, ვითარების, პირობების, მხარეების), შინაარსის (სასწავლო-აღმზრდელობითი, ურთიერთობითი, კომუნიკაციური, ინფორმაციული), პრობლემატურობის დონის (სტანდარტული, პრობლემური, ექსტრემალური, კონფლიქტური) და ა. შ. მიხედვით კლასიფიკაციის ცოდნასა და პრაქტიკულ პედაგოგიური უნარ-ჩვევების ათვისებას.

ასევე ჯერ კიდევ პრობლემატურია მასწავლებელთა უმრავლესობისთვის „თანამედროვე პედაგოგიური ტექნიკო-გიების” ცნება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ის ძალიან ხშირად ეშლებათ სწავლების ტექნიკურ საშუალებებთან, ან კიდევ ჰგონიათ რაღაც განყენებული ერთეული ან პედაგოგიური ფორმების, ან მეთოდებისა და ა. შ. რასაც ხელს

უშლის პედაგოგიკური ცნებითი ტერმინოლოგიების არასაკმარისი ცოდნა.

მაშასადამე, ჩვენს მიერ ჩატარებული დიაგნოსტიკურ პედაგოგიური კვლევის შედეგები იძლევა საშუალებას შემდგარი პედაგოგიკური დასკვნა-რეკომენდაციების გაკეთებისა:

1. მასწავლებელთა არასაკმარისი კვალიფიციურობის ერთეული მნიშვნელოვანი მიზეზი არის პედაგოგიკური ცნებითი-ტერმინოლოგიური ცოდნის დეფიციტი, რაც იწვევს სერიოზულ პედაგოგიურ პრობლემებს სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში;
2. ცნებითი-ტერმინოლოგიური პრობლემის გადაჭრით გადაიჭრება ამ მიზეზით გამოწვეული სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის პრობლემები;
3. პედაგოგიკური ცნებითი-ტერმინოლოგიური სისტემის შეგნებულად ათვისებისათვის საჭიროა მასზე ორიენტირებული სპეციალურ-ინტენსიური მუშაობა ლექციებზე, სემინარებსა და პრაქტიკულებზე, სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო კონფერენციებზე;
4. პრაქტიკოს მასწავლებელთათვის კი ამ პრობლემატიკაზე სპეციალური სემინარების ჩატარება ხელს შეუწყობს მასწავლებელთა მეთოდოლოგიური კულტურის ამაღლებასა და პედაგოგიური შრომის ეფექტურობას.
5. პედაგოგიკური ცნებითი-ტერმინოლოგიური სისტემის შესახებ სათანადო ცოდნის მიღებას უზრუნველყოფს ძირითად და დამსამარე ლიტერატურასთან ერთად პედაგოგიკური საცნობარო ლიტერატურა: „პედაგოგიკის ძირითად ცნებათა მოკლე განმარტებანი”. თბ., 1987; პედაგოგიკური ლექსიკონი” 1-II ტომი, მ. ჭაბაშვილი, თბ., 1964; პედაგოგიკური ენციკლოპედია”, 1-IV ტომი, მ. 1964 და პედაგოგიკის კლასიკოსების პედაგოგიური მემკვიდრეობანი

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Дистерверг А. Избранные педагогические сочинения. М., 1956
2. Фостер В. Клайн, Джим Фей. Воспитание с любовью и логикой. М., 1995
3. И. Кантор. Система педагогических терминологий. М., 1995
4. პედაგოგიური ლექსიკონი, მ ჭაბაშვილი, 1-2 ტ. ობ., 1964.
5. რ. ნათაძე, ზოგადი ფსიქოლოგია. ობ., 1956, გვ. 74.
6. დ. უზნაძე, ექსპრიმენტული პედაგოგიკის შესავალი. ქუთაისი, 1912.

Sukhumi State University
Scientific-Research Institute of Education
Meaning of Pedagogical Notion-terminological System
in Teacher's Professional Activities

Professor Gulnaz Khukhua

As a result of researches held in Tbilisi schools the problems of knowledge of pedagogical notion-terminological system have been revealed. 84% (202) of teachers who were interrogated could hardly make classification of pedagogical situations and transform it in scientific language.

We have worked out the pedagogical recommendations which will support solving the problem. It is needed to work intensively mainly on additional and reference literature to study the pedagogical terminology.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების
სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის
მეცნიერ-თანამშრომელი,
პედაგოგიკის დოქტორი
ედუარდ ჭანტურია

პიროვნების ვორმირების ტრადიციული და
თანამედროვე კედაბობის ინცრასტრუქტურა და
ტექნოლოგიები
(მოქლე ანალიზი)

სახელმწიფოს იდეოლოგიურმა გარდაქმნამ გამოიწვია
საქართველოს რესუბლიკის განათლების სისტემაში რე-
ფორმების გატარების აუცილებლობა, რამაც მოითხოვა
პედაგოგიკის თეორიასა და სასკოლო პრაქტიკისადმი ახ-
ლებური მიღვომა, განათლების საერთაშორისო სტანდარტ-
ებზე სწორება. ახალი თანამედროვე ტიპის პიროვნების
ფორმირების პროცესში წამოიწია წინა პლანზე, რაც
გულისხმობს ცვლილებებს სასწავლო-აღმზრდელობით
სისტემაში, კერძოდ, განათლების დონის ამაღლების და
ინფორმაციულობის გაძლიერებას, რამაც უნდა უზრუნ-
ველყოს მეცნიერული ცოდნა-გმოცდილებისა და პრაქტი-
კული უნარ-ჩვევების გამომუშავება ახლგაზრდებში, ზნეო-
ბრივი ფორმირება, დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მათი
მომზადება.

ათეიზმის არტახებში მომწყვდეული საბჭოური
პედაგოგიკა მთლიანად უგულვებელყოფდა სულიერ-
რელიგიურ აღზრდას და ემსახურებოდა კომუნიზმის
მშენებლობას. შესაბამისად შეიქმნა კომუნისტური
ზნეობრივი პრინციპები კ.წ. „კომუნიზმის მშენებლობის
მორალური კოდექსის“ სახით.

70-წლიანი რუტინული შრომის შედეგად აღნიშნული
„კოდექსი“ იქცა საბჭოთა მოქალაქის შეგნების ნაწილად;
სოციალიზმის დამხობის შემდეგ დიდი დრო დასჭირდა

მის ფსიქიკიდან ამოძირებას.

ათეიზმიდან თეოლოგიაში შემობრუნებამ გზა გაუხსნა ქრისტიანული მორალის ამოქმედებას. იგი წარმოადგენს ადამიანის მთელ გარესამყაროსთან და რაც მთავარია ღმერთთან ურთიერთობის შესანიშნავ რეგულატორს.

საქართველოს რესპუბლიკის განათლების სისტემის რეფორმასთან დაკავშირებით მრავალმა მეცნიერებამ, მათ შორის პედაგოგიკამ მიიღო სახეცვლილება, როგორც იდეოლოგიურ და თეორიულ, ასევე პრაქტიკულ-გამოყენებით დარგში. ამას მოჰყვა უამრავი უცხოური (დარგობრივი) ტერმინოლოგიის შემოჭრა და პრაქტიკაში მათი დანერგვა. ბუნებრივი ისმის კითხვა: რამ გამოიწვია ასეთი ცვლილებები მეცნიერულ სფეროში? რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა სახელმწიფოს იდეოლოგიურმა გარდაქმნამ (კერძოდ, საბჭოური იდეოლოგიის შეცვლამ დემოკრატიული საწყისების საფუძველებზე) ანუ იდეოლოგიური მონიზმის ნაცვლად დუალიზმის (გამომდინარე პლურალიზმიდან) დანერგვამ ყველა სფეროში. და თქმა უნდა, ყველაფერი ეს განაპირობა თანამედროვე საერთაშორისო სოციალური და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ახალმა მოთხოვნებმა. აქედან გამომდინარეთანამედროვე პედაგოგიკის პროექტების თანახმად, რომელიც მიღებულია მრავალ ცივილიზებულ-დემოკრატიულ ქვეყანაში, ერთ-ერთი უპირველესი საკითხად რჩება ადამიანის პიროვნებად ფორმირება, რომელიც მოითხოვს ცვლილებებს სასწავლო - აღმზრდელობით დარგში და შესაბამისად განათლების დონის ამაღლებას, ინფორმაციულობის გაძლიერებას, რასაც მოყვება მომავალი თაობის მრავალმხრივი მომზადება, ცოდნ-გამოცდილების, პრაქტიკული მოქმედების უნარ-ჩვევების შეძენა და გამოყენება პროფესიულ და ყოველდღიურ ცხოვრებაში.

პედაგოგიკური მეცნიერების მთავარი პრობლემა მუდამ იყო, არის და იქნება სრულფასოვანი, თავისუფლად მოაზროვნე, შრომისა და დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მომზადებული, სულიერად მდიდარი და ზნეობრივად

ჩამოყალიბებული პიროვნების ფორმირება. მისი გონიერივი და ფიზიკური შესაძლებლობების სრული გამოვლინება და განვითარება. ეს კი, ცხადია, მოითხოვს მაღალორგანიზებულ, შესატყვის სოციალურ გარემოსა და პედაგოგიურ პირობებს, მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, მაღალკვალიფიციურ პედაგოგიური კადრების მომზადებას თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. მოკლედ, მთელი პედაგოგიური ინფრასტუქტურის თანამედროვე ტექნოლოგიებზე აგებას.

მუდმივი განახლება, კვლავ წარმოება და მოძრაობა სამყაროს არსებობის წესია და ამ წესის ორბიტაშია მოქცეული პედაგოგიკაც.

ამიტომ არც არის გასაკვირი, რომ პედაგოგიური მეცნიერება სულ განახლებაშია ცივილზიაციის, საერთაშორისო პროგრესის მხარდამხარ, რომლის საფუძველს და შედეგსაც თავად წარმოადგენს. პედაგოგა, როგორც აღზრდის მეცნიერება, საზოგადოებრივი ცხოვრების მოთხოვნათა შესაბამისად თავად განსაზღვრავს აღზრდის მიზნებს, ამოცანებს პრინციპებს, მეთოდებს, ფორმებს, მომავალი თაობის შეიარაღებას სისტემური ცოდნითა და უნარ-ზეგებით. რა თქმა უნდა, ეს რთული და წინააღმდეგობრივი პროცესია, რომელზედაც მოქმედებენ შინაგანი და გარგანი პირობები, სუბიექტური და ობიექტური ფაქტორები.

საბჭოთა პედაგოგიკის ინფრასტუქტურამ გაიარა ძალზე მნელი და ბევრჯერ მიუღებელი (თავის იდეოლოგიაზე მორგებული), პედაგოგიური მიმართულებები, დასავლეთ ევროპისა და აშშ-ს პედაგოგიკური მეცნიერების კლასიკოსების (ი.ა. კომუნიუსი, უნ-ჟაკ რუსოს, ი.გ. პესტოლოცის, ი.ფ. ჰერბარტის, ა. დისტერვეგის, ჯონ ლოკისა, ჯონ დიუსის, („აღზრდის ფილოსოფიის შესაბალი“, 1921), შ. ლუტინის („აღზდის ევოლუცია“), 1907, პ. ნატორპის („სოციალური პედაგოგიკა“ 1911), ვ.ა. ლაის, („მოქმედების სკოლა“, 1920); კ.დ. უშინსკის, ს.ტ. შავკის, პ.პ. ბლონსკის, ნ. პიროვნების, მაკარენკოს, სუხომლინსკის და სხვათა პედაგოგიურმა თეორიების თვითნებურად იმპოვიზირებამ, ბურჟუაზიული ქვეყნების

პედაგოგიკის, როგორც „ბურჟუაზიული მეცნიერების“ ოფიციალურმა აკრძალვამ, თეორიული სწავლების გაძლიერებამ და პრაქტიკული მიმზადების ზერელობამ, კლასიკური განათლების სისტემის გადაჭარბებულმა პრიორიტეტულობამ ვერ გამოიღო სასურველი შედეგი. XX საუკუნის 50-იან წლებში მოხდა საბჭოთა განათლების პოლიტიკიზაცია, რომელიც დაუპირისპირდა აშშ პრაგმატული განათლების სისტემას, ხოლო დღევანდელმა საქართველოს განათლების სისტემის რეორგანიზაცია (რეფორმა) მოხდა ამ ორი მიმართულების მთლიანად „გადატრიალება,“ ანუ პრაგმატიზმის აღორძინება და კლასიკური განათლების უგულველელყოფა ანუ პრაქტიკული საგნების დანერგვა თეორიული საგნების უმეტესი ნაწილის უგულველყოფით. ჩვენი აზრით, არც პირველის და არც მეორე მიმართულებების უგულველელყოფა არ მოიტანს დადებით შედეგს, რდგანაც მათი შერწყმის გარეშე შუძლებელია მომავალი თაობის ყოველმხრივ მომზადება; სხვა შემთხვევაში მივიღებთ მხოლოდ ძალზე ვიწრო სპეციალიზაციებს - პროფექსიას-წავლებლების მსგავსად, ეს კი ვერ პასუხობს ცივილიზებულ სამყაროში ადამიანის სრულფასოვან პიროვნებად მომზადების თანამედროვე მოთხოვნებს.

ბუნებრივად ისმება საკითხი: რას წარმოადგენს ადამიანის პიროვნებად ფორმირების პედაგოგიური ინფრასტრუქტურის თანამედროვე (შემოტანილი აშშ განათლების სისტემიდან) ტექნოლოგიები?

უპირველს ყოვლისა, ჩვენ ვხვდებით უამრავ უცხო ტერმინებს (სიტვებსა და სიტყავთა მარაგს), რც ნიშნავს ინგლისური ენის აუცილებელ ცოდნას.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ხშირ შემთხვევაში საბჭოთა განათლების სისტემაში იყო უცხო ცნებები (სხვადასხვა თეორიებისა და მიმართულებების შესწავლისას), მაგრამ ეს იყო მხოლოდ და მხოლოდ (მონიზმზე აგებული) „ბურჟუაზილული თეორიების კრიტიკის სახით“ (?) და არავითარი სხვა ფორმით (ყოვლად მიუღებელი იყო

„სამშობლოს დალატის დონეზე“, განიხილებოდა როგორც იდეოლოგიური დივერსია (?) დისიდენტობის დონეზე (?!)

მეორე მხრივ, საბჭოთა პედაგოგიკის მეცნიერების საფუძვლები და მასში შემავალი კლასიკოსები (და მათი მოძღვრებები, თეორიები და ა.შ.) უმეტეს შემთხვევაში იბეჭდებოდა დამახინჯებულ ფორმებში; ყველაფერი კეთდებოდა (არაავტორიზებული აზრებით და იდეებით) საბჭოური იდეოლოგიის შესატყვისად. წარმოიდგინეთ პიროვნება - იან ამოსკიომენსკი (ჩვენს გარდა მთელს მსოფლიოში იყო ცნობილი მხოლოდ და მხოლოდ - კომენიუსის სახელწოდებით და ძალზე იშვიათად იწერებოდა ან გამოითქმევოდა ეს სახელი. ჩვენთან ის იყო - იან ამოს კომენსკი (?!) (1592-1676) გამოჩენილი პედაგოგი, აღმზრდელი და პედაგოგიკის მეცნიერების (დიდაქტიკის) ფუძემდებელი, მოაზროვნე და ჰუმანისტი. ხოლო ძალზე გაკვრით ნათქვამია, რომ იგი იყო „ჩეხეთის მმობის“ (პროტესტანტული მიმდევრობის სახელოვანი მოაზროვნე) პასტორი (პატრიარქი თუ გინდ ეპისკოპოსი, მაგრამ კათოლიკებს მოშორებული) და თანაც მებრძოლი (არამარტო სულისკვეთებით) ჩეხეთის გაერთიანებისათვის დამპყრობელთა წინააღმდეგ, არამედ ხმლის ძალის გამოყენებით. და მთელი მისი მოძღვრება გამსჭვალულია ღმერთის ქურთხევითა და ვედრებით, ხოლო ჩვენს პედაგოგიურ ლიტერატურაში ის მოგვევლინა (ისდა იყო, რომ ჯიბეში ვერ ჩაუდვეს „პარტიული ბილეთი“) კომუნისტური იდეების მატარებლად... (სად მდგდელი და სად კომუნიზმის მქადაგებელი?!)... იხ. დ. ლორთქიფანიძის „იან ამოს კომენსკი“ თბ. 1961 (შედარ. დედანში).

რაც შეეხება ისეთ ფილოსოფიურ მიმართულებას (სიტყვებს) სხვადასხვა თეორიებს, მიმდევრობას, როგორიცაა პრაგატიზმი, ეგზისტენციალიზმი, ნეოთომიზმი, მატერიალიზმი და სხვა, თანამედროვე ეტაპზე საქართველოს პედაგოგიური მეცნიერება განიხილავს როგორც პედაგოგიური იდეოლოგიური მიმართულების, ასევე სასწავლო პროცესის არსის, მიზნების და ტექნოლოგიების დადგენის საშუალე-

ბებას.

ამრიგად, წინა პერიოდებთან შედარებით ამ ტერმინების მიმართ ქართულ პედაგოგიურ მეცნიერებაში სრულიად სახეშეცვლილი მიღომა სუფევს, რადგანაც მეთოდოლოგიური მონიზმი დღეისთვის შეიცვალა დუალიზმის გამოყენებით (ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. ლიტ. დანართში XI). თანდათან შემოდის გახშირებული უცხოური სიტყვათა მარაგი, რაც განაპირობა სოციალისტური ბანაკის დაშლის შემდეგ აშშ-ს თაოსნობით მსოფლიოში ერთიანი საგანმანათლებლო სივრცის შექმნაში. ამ პროცესმა გარდაქმნა უამრავი სამეცნიერო პედაგოგიური ტერმინები, მაგალითად ოვით ტერმინი „პედაგოგიკა“ ბევრ დასავლეთის ქვეყნებში შეიცვალა „განათლებით“ (ე.ი. ეს სიტყვა გახდა უფრო ფართო მასშტაბისა და მოცულობის). ამავე დროს თანდათან შემოდის (გახშირებით) უცხოური (ინგლისური) სიტყვები და სიტყვათა მარაგი, მიუხედავად იმისა, რომ ის დისკუსიის საგნად არის ქცეული. კარგა ხანია პედაგოგიურ მეცნიერებაში ოვით ტერმინი (სიტყვა) „პედაგოგიკა“ (რომელიც წარმოქმნილია ბერძნულიდან, რაც ნიშნავს ბავშვთა ტარებას), საუკუნეთა განმავლობაში ამ ტერმინმა მიიღო სახეცვლილება და გამოიყენება უფრო ფართო გაგებით, როგორც მომავალი თაობის სწავლების, განათლებისა და აღზრდის მეცნიერება. ამავე დროს მე-19 და განსაკუთრებით მე-20 სს. შემოვიდა უამრავი პედაგოგიური ტერმინები, მათ შორის: „პედოლოგია“ (მეცნიერება ბავშვთა ფიზიკური და ფსიქიკური განვითარების შესახებ, პედაგოგიკის მეცნიერებაში შემავალი არატრადიციული ფორმის დასახელებანი: „პედგოგიური ანთროპოლოგია“ (აღმზრდელისა და აღსაზრდელის, სუბიექტისა და ობიექტის ურთიერთობის პროცესს სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში ასაკობრივი, სოციალური პიროვნული, ინდივიდუალური სხვაობის აღწერას), „ანდროგოგიკა“ (მოზრდილი ადამიანის აღზრდა), „გერონტოგიკა“ (მესამე ასაკის, ანუ ხანდაზმულთა პედაგოგიკა), „პედაგოგია“ (პდაგოგიკის

თეორიისა და პრაქტიკის ერთად აღებული (შერწმულად), „პანკედია“ (საყოველთავო განათლება და აღზრდა) და სხვა.

ბოლო წლებში დასავლეთიდან შემოტანილია ისეთი ტერმინოლოგიები, რომელნიც ამდიდრებენ პედაგოგიურ მეცნიერებას, როგორიცაა: პედაგოგიური ინფრასტრუქტურა, პედაგოგიური ტექნოლოგია, პედაგოგიური პროექტირება და მოდელირება, პედაგოგიური კონსტრუირება, პედაგოგიური პარადიგმა, პედაგოგიური ინოვაციები, პედაგოგიური მენეჯმენტი და ა.შ.

მოკლედ გადავხედოთ თითოეულ მათგანს, რომელთა ცოდნა საჭიროა განთლების სფეროში.

1. რას წარმოადგენს ადამიანის ფორმირების პედაგოგიური ინფრასტრუქტურა?

ტერმინი „პედაგოგიური ინფრასტრუქტურა“ (ლათ-დან – ინფრა ქვევით, ქვეშ, ქვემოთ და სტრუქტურა აგებულება, დაწება, დალაგება, განლაგება, ადგილმდებარეობა და სხვა. მნიშვნელობით), შემოტანილია პედაგოგიურ მეცნიერებში სხვა მეცნიერებათა დარგებიდან, მათ შორის ეკონომიკის, ტექნიკური ცოდნის და სოციალურ ცხოვრების შემსწავლელ დარგებიდან, რომლებიც უშუალოდ უზრუნველყოფენ საწარმოო პროცესებს და საზოგადოების ცხოველმოქმედ პირობებს, ე.ი. ეს ტერმინი განიხილებოდა როგორც მეურნეობის დარგების კომპლექსი (გზატკეცილებს, არხებს, წყალსაცავების, ხიდების, აერდარგების, რკინიგზის ტრანსპორტის, კავშირგაბმულობა და აშ.) რომელიც ემსახურება სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოებას. ეს ტერმინი ეკონომიკურ ლიტერატურაში გაჩნდა XXს. 40-იანი წლებისას; რაც შექხება ამ ტერმინის გადმოტანას პედაგოგიურ მეცნიერებაში გამოიწვია შემდეგმა გარემოებებმა. უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოს იდეოლოგიურმა სახელვილებამ მოითხოვა მთელი განათლების სტრუქტურის შეცვლა (რეფორმის სახით), ამან კი გამოიწვია განათლების სისტემის (მასში შემავალი ყველა სტრუქტურების მუშაო-

ბის გადასინჯვა), რაც თავის მხრივ იქონია ზემოქმედება მეცნიერების ინფრასტრუქტურის სახეცვლილებაზე. ე.ი. ეს ტერმინი პედაგოგიური მეცნიერებაში შემოვიდა მეცნიერების ცხოვრებასთან კავშირის მოთხოვნილების ზეგავლენით, რამაც გამოიწვია განათლების სფეროში შემავალი მეცნიერების სტრუქტურიზაცია, სადაც ძალზე გაახლებულად უნდა იყოს გამოსახული განათლებისაა და აღზრდის ფორმები, სტრუქტურა, პრინციპები, მეთოდები, პრინციპები და ა.შ. რომელიც ამდიდრებს ერთიან პედაგოგიურ პროცესს, სწავლებისა და აღზრდის ახლებურ მიდგომას, რაც იწვევს ევროპისებურ განათლების მოდელის ათვისებას. ეს იმის ნიშანია, რომ მიუხედავად დღევანდელი საქართველოს ცხოველმოქმედების ურთულეს პირობებში საზღვარგარეთის პედაგოგიური ინფორმაციის ნაკადი მაინც ძლიერდება, რაც თავის მხრივ იწვევს პედაგოგიური მეცნიერების კვლევების გამოცოცხლებას.

ისმება ბუნებრივი კითხვა - რას წარმოადგენს ადამიანის ფორმირების პედაგოგიური ინფრასტრუქტურა? თავის ცხოვრების მანძილზე ადამიანი ვითარდება როგორც პიროვნება, შეერწყმება თავისი საზოგადოებას კულტურისა, და ურთიერთ დამოკიდებულების სისტემაში და წარმოდგება პიროვნებად. ამ ტერმინს ფსიქოლოგიისა და პედაგოგიის მეცნიერება ხსნის როგორც შეცნობისა და სამყაროს აქტიურ გარდაქმნელს ანუ საზოგადოებრივ ინდივიდუმს - სუბიექტს, ე.ი. გონიერი არსება, რომელსაც გააჩნია მეტყველება და შრომითი მოღვაწეობის უნარი. კონკრეტული ადამიანი, მოცემული საზოგადოების წევრი, ხოლო თვით საზოგადოება წარმოვედგინება როგორც პიროვნების განვითარების ცხოველმყოფელი პირობა.

პიროვნების განვითარების პრობლემებს განიხილავენ მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში როგორც იდეოლოგიასა და აღზრდის მიზნებთან დაკავშირებულს. პიროვნება ხასიათდება განსაზღვრული (გარკვეული) შეხედულებისა და დამოკიდებულების მაჩვენებლებით, საკუთარი მორ-

ალური მოთხოვნილებებით, აქტიურობის დონით და სხვა თვისებებით, რომელიც ლაგდება ცხოვრების პირობების კვალობაზე. პიროვნება არ შეიძლება იყოს იზოლირებული კონკრეტულ ისტორიულ პირობებისაგან, ვინაიდან ის წარმოადგენს ყველა საზოგადოებარივ დამოკიდებულებათა ერთობლიობას. ამიტომ პედაგოგიური მეცნიერება ეყრდნობა რა ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, სოციალური, ბიოლოგიური და სხვა მეცნიერებათა მონაცემებს, იგი პიროვნებას განსაზღვრავს როგორც ადამიანს თავისი საკუთარი სოციალურ განპირობულობით, ინდივიდუალურად გამოსახული თვისებების (თავისებურებანი) მქონე (ინტელექტუალური, ემოციური, რელიგიური, ნებისყოფითი) პიროვნებად. აქედან გამომდინარე, პიროვნება წარმოადგენს ცალკეულ ინდივიდუალურ პიროვნებას, ე.ო. გმოირჩევა სხვისგან ისეთი თავისებურებით; როგორიცაა: ხასიათი, ტემპერამენტი, ინტელექტი, ემოციონალობა დ ა.შ. ხოლო იმითვის, რომ ის გახდეს პიროვნება, ადამიანმა უნდა მიაღწიოს ფსიქიკური განვითარების განსაზღვრული (გარკვეული) დონეს აღზრდა-განათლებისა და პირადი გამოცდილების საშუალებით. პიროვნების აქტიურობის განაპირობებს უამრავი პირადი და საზოგადოებრივი მოთხოვნილებები. მაგრამ მისი განვითარების დონე დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად აქვს მას ნორმირებული ურთიერთობა ადამიანებთან და გარემომცველ სინამდვილესთან, რადგან პირადი, სუბიექტური (მოთხოვნილებები, აზროვნება და ა.შ.) განუყოფელია ობიექტურ რეალობასთან და, საერთოდ, გარე სამყაროსთან. სწორედ ადამიანის ფორმირების პედაგოგიური ინფრასტრუქტურის შესწავლა და პრაქტიკულად გამოყენება უსსნის საზოგადოებას პიროვნების ერთიანი, მთლიანი განვითარების გზებს, რაც მნიშვნელოვნად განპირობებულია თანამედროვე პედაგოგიური ტექნოლოგიების ოპტიმალურ გამოყენებაზე. მოკლედ გავუცნოთ თუ რას მოიცავს ეს კანონი.

2. რა არის და რას მოიცავს პედაგოგიური

ტექნოლოგია?

ეს ტერმინები შედგება რამოდენიმე ბერძნული სიტყვისაგან და ნიშავს: პედაგოგოს - აღმზრდელი, ხოლო თვით პედაგოგიკის მეცნიერების ტერმინია - პედაგოგიკა ე.ი. მეცნიერება ადამიანის აღზრდისა და განათლების შესახებ, რომელიც იკვლევს (ხსნის) პიროვნების ფორმირების კანონზომიერებებს.

რაც შეეხება ტექნოლგიას, ის შედგება ორი ბერძნული სიტყვისაგან: ტეცნე ხელოვნება, ხელობა, ოსტატობა, მოხერხება, უნარი, მარჯვე და ა.შ. და ლოგია-ლოგოს სიტყვა, ცოდნა, სწავლება, მეცნიერება და ა.შ., ე.ი. პედაგოგიური ტექნოლოგია განიხილავს სწავლების, აღზრდისა და განვითარების მეთოდების ერთობლიობას, რომლის მეშვეობით ხდება ადამიანის პიროვნების ფორმირება. პედაგოგიური მეცნიერების დისციპლინა, რომელიც შეისწავლის განათლების მექანიზმებს და სხვა კანონზომიერებს, რომლებიც მოქმედებენ სწავლა-განათლებისა და აღზრდის პროცესებში და წარმოადგენენ ზოგადსაგანმათლებლო პროგრესის ნაწილს.

როგორც ზემოთ ითქვა, პედაგოგიური ტექნოლოგია წარმოადგენს პედაგოგიური მეცნიერების, ე.ი. სწავლა-განათლებისა და აღზრდა-განვითარების მეთოდების ერთობლიობას, რომლის მეშვეობით ხდება ადამიანის პიროვნების ფორმირება.

მაშასადამე, ტერმინები: პედაგოგიური ინფრასტრუქტურა და პედაგოგიური ტექნოლოგიები წარმოადგენენ პედაგოგიური მეცნიერების სტრუქტურულ ნაწილს, რომელიც უზრუნველყოფენ პედაგოგიური პროცესის მეცნიერულ ორგანიზაციას და პედაგოგიური პროცესის ფუნქციური მიზნის - ყოველმხრივ, პარმონიულად განვითარებული ღირსეული მოქალაქის აღზრდას.

განათლების ტექნოლოგიური რუქა - ეს ტერმინი წარმოადგენს ტექნოლოგიური დოკუმენტაციის ფორმას, რომელშიც ასახულია განათლების მთელი პროცესი;

მითითებულია სწავლა-განათლებისა და აღზრდის სისტემატიური ოპერაციები და მათი შემადგენელი ნაწილები, სწავლების მასალები, ხერხები, მიღომები და მეთოდები. მოწყობილობა (ხელსაწყოებები); სწავლის რეჟიმი (პროცესი) და დრო, რომელიც საჭიროა განათლების მისაღებად მეცნიერ-მუშაკთა, პედაგოგ-მასწავლებელთა, აღმზრდელთა და მომუშავე პერსონალის კვალიფიკაციის (მომზადების) დონე ასამაღლებლად და ა.შ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Натяглова Гасана. Гарнотология: аспирантский диссертационный проект. Симферополь, 2000
 2. Чоаля Гончаренко Юрий. Задачи и методы гарнотологии. Симферополь, 2005
 3. Чоаля Гончаренко Юрий. Гарнотология: гарнотерапия гарнотерапии гарнотерапии. Симферополь, 2002
 4. Чабанова А., Кирсанова Е. Гарнотология: аспирантский диссертационный проект. Симферополь, 1999
 5. Аретанов М.Ж. Пидкастый П.И., Хайдаров Ж.С. Проблемно-модульное обучение: вопросы теории технологии. Алма-Ата, «Мектеп», 1990
 6. Атумов П.Р. Технологические основы современного образования. Педагогика, №2, 1996
 7. Гоархаев Б.П. Новые аргументы в педагогических технологиях. «Школьные технологии». №4. 1997
 8. Бархаев Б.П. педагогические технологии воспитания и развития. «Школьные технологии». №1. 1998
 9. Беспалько В.П. Слагаемые педагогической технологии, М. «Педагогика». 1989
 10. Беспалько В.П. Педагогика и промсивные технологии обучения. М., 1995

11. Бордовский Г.И. Извочиеов В.А, Новые технологии обучения.
«Педагогика», №56
12. Кариенко М.П. Помогайбин В.Н. 1993. К вопросу о становлении новой педагогической парадигмы и её техническом обеспечении. «Школьные технологии». №1-2. 1999.

**Sukhumi State University
Scientific Research Institute of Education
Doctor Eduard Chanturia**

Brief analysis of traditional and modern technologies of
pedagogical
infrastructure for formation of human personality

In relation with educational system reform in the Republic of Georgia, numerous scientific fields, including pedagogy, experienced changes as in theoretical and ideological as in practical applicable aspects. This was followed by acquirement of many foreign (field specific) terminology and their introduction into conditions of practical activity in actuality of our education system.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი
მედეა სალია

პუმანური აღზრდა - მოსწავლეთა
მორალური სახის ფორმირების საფუძველი

XXI საუკუნემ სხვაგვარად დასჭა პუმანიზმის აუცილებლობის საკითხი. ისი არსებობის დეფიციტმა დაარღვია უმშვენიერესი შეგონება: გიყვარდეს მოყვასი შენი. კაცომოუვარეობას თითქოს ძალუმად კაცომოძულეობა დაუპირისპირდა. ომები, ტერორიზმი, ატომური ბომბები და სხვა უამრავი სისაძაგლები და მით გამოწვეული ეკოლოგიური პრობლემები დიდ საფრთხეს უქმნის კაცობრიობას. რაშიც ლომის წილი უდევს კაცომოძულეობასა და აგრესიულ განწყობას. ეს უზნეობა თუ სრულ ასაკში ვლინდებოდა წინათ, მკვეთრად გაახალგაზრდავდა და უპავ სასკოლო სივრცეში შეიჭრა. მოზარდებს შორის ერთმანეთზე ხელის აღმართვა, სისასტიკე და დაუნდობლობა, პედაგოგიურ და ეთიკურ მოთხოვნებისადმი დაუმორჩილებლობა, არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა დანაშაულები, აკადემიური და პედაგოგიური ჩამორჩენილობის, ასოციალურობისა და ანტისოციალურობის სტატისტიკური მონაცემები, რამაც სკოლებში მანდატურების შეყვანის აუცილებლობა განაპირობა, შეიძლება ცალსახად ითქვას, რომ პრობლემა ძალზე სერიოზულია.

პოლიციურმა რეჟიმმა შეიძლება სკოლაში მოზარდოთა სისხლის სამართლის დანაშაულთა ერთგვარი შემცირება-შერბილება გამოიწვიოს, მაგრამ როგორც ცნობილია, შედეგთან ბრძოლით მიზეზი არ აღმოიფხვრება. უპირველეს ყოვლისა, უნდა ვებრძოლოთ მიზეზებს პედაგოგიური მეთოდებით, აღზრდა-განათლებით, მოსწავლეთა ზნეობრივი შეგნებისა და გრძნობების განვითარებით.

მოზარდებში არაჟუმანური ქცევებისა და მოქმედების გამომწვევი მიზეზების დადგენის მიზნით პედაგოგიური

კვლევები ჩაგატარეთ თბილისის რამდენიმე სკოლაში და სოხუმის უნივერსიტეტის განათლების ფაკულტეტზე.

საანალიზოდ საჭირო რაოდენობის მასალების მოსაპოვებლად ძირითადად გამოვიყენეთ კვლევის წერილობითი ანგეტური გამოკითხვის მეთოდები მოსწავლეებთანდა სტუდენტებთანხოლო მასწავლებლებთან საუბრის მეთოდით დავკმაყოფილდით.

ჩვენი რესპონდენტები იყვნენ IX-XI კლასის მოსწავლეები (რაც შეეხება XII კლასს, გარკვეული მიზეზის გამო მათოან შეხვედრა ვერ მოხერხდა) და აღნიშნული ფაკულტეტის სტუდენტები. გამოკითხულიქნა 212 მოსწავლე და სტუდენტი. ანგეტა მოიცავდა ოთხ შეკითხვას, რომელთა პასუხები ჩვენი ვარაუდით, მოგვცემდა საშუალებას დაგვედგინა მათი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა-გამოცდილების დონე და დამოკიდებულება ამ უმაღლეს ზნეობრივი კატეგორიისადმი. ასევე დაგვენახა პუმანიზმის განვითარების დინამიკა ასაკობრივი სხვაობის მიხედვით. დასმული იყო შემდეგი კითხვები:

1. რა არის პუმანიზმი?
2. პუმანურობის რა მაგალითი შეგიძლია დაასახელო მხატვრულ ან რეალური სინამდვილიდან?
3. რამდენად მიგანია შენი თავი პუმანისტად?
4. რა თვისებებს აფასებ მასწავლებელში?

პირველ კითხვას გამოკითხულთა 64%-მა შედარებით სწორად უპასუხა: „კაცომოყვარეობაა”, „ადამიანის სიყვარულია”, „მოყვასის სიყვარული”, „მეგობრისთვის თავდადება”, „მეგობრის ერთგულება” და ა. შ.

პუმანიზმი პატიოლოგიზმი ეშლება 36%-ს, ხოლო 8%-მა ამ შეკითხვას საერთოდ არ გასცა პასუხი. ამ ბოლო ორ კატეგორიაში მოხვდნენ, სკოლის გამოკითხულთა სამივე კლასის მოსწავლეები და სამი სტუდენტი.

მეორე კითხვაზე: „პუმანურობის რა მაგალითი შეგიძლია დაასახელო მხატვრულ ან რეალური სინამდვილიდან?” მოსწავლეთა 12%-მა დაასახელა მხატვრული სფ-

ეროდან ოთარაანთქვრივი, „გეფხისტყაოსნის” დადგბითი გმირები, „ალუდა ქეთელაურში” მინდია, 1%-მა - „გველისმჭამელიდან”, ერთმა მოსწავლემ - სოლომონ ბრძენი. ნომუშად მოვიყვანთ ციტატას: „მე ვიცი (თუ არ ვცდები) რომ სოლომონმა ისრაელის მეფემ ბევრი და ძალიან ბევრი სიმდიდრე შესწირა იერუსალიმის ტაძრის შენებას ეს მისი ვალდებულებაც იყო მაგრამ მან ისე დიდალი ქონება შესწირა რომ ნამდვილად მიმაჩნია ჰუმანისტად” (აქ წერის კულტურაზე არაფერს ვამბობთ, ამ შემთხვევაში ჩვენ მხოლოდ ზეობრივი მსოფლმხედველობა გვაინტერესებს).

რეალური სინამდვილიდან გამოკითხულთაგან ერთმა მიხეილ სააკაშვილიდაასახელაპუმანისტად. ორმა- იავნანას ფონდი. 6%-ს კი მიაჩნია, რომ მხატვრული ლიტერატურაში ბევრია ჰუმანიზმის მაგალითი, მაგრამ ასეთები რეალურ ცხოვრებაში არ არიან. აქვე მოვიყვანთ ამის რამდენიმე ტიპიურ მაგალითებს: „რეალური სინამდვილიდან?! ცოტა რთულია ამ კითხვის პასუხის გაცემა, მხატვრულიდან შემიძლია დავასახელო ავთანდილი და ტარიელი და ა. შ. მრავალი გმირის დასახელება შეიძლება. რეალურიდან მე ჯერ ასეთი ადამიანი არ შემხვედრია, და მგონი „ასეთები” არც არსებობენ, ყველანაირად კეთილები და კარგები”.

ან კიდევ: „... ისტორიიდან შემიძლია დავასახელო ცოტნე დადიანი, თევდორე მდვდელი, დღეს ასეთებს სად ნახავ?

მე მგონი არც არიან. ზოგიერთი მდიდარი ეხმარება გაჭირვებულებს, მაგრამ ეს უნდა ყველას დაანახონ, ის არ მომწონს.”

აქ მოვყანილი და სხვა მსგავსი მაგალითები ცხადყოფენ ჰუმანიზმის კატეგორიის შესახებ რესპონდენტთა ცოდნისა და ჰუმანური ქცევის უნარ-ჩვევების სიმწირეს, ადამიანის მიმართ სკეპტიკურ დამოკიდებულებას. ამას, ცხადია, აქვს თავისი მიზეზებიც და საფუძვლებიც. ისინი კარგად რომ არ არიან ინფორმირებული, ეს ცხადია, მაგრამ ადნიშნული სკეპტიკიზმის ახსნა მხოლოდ ინფორმაციული დეფიციტით, არ იქნებოდა სწორი. როცა ყველანაირ საინ-

ფორმაციო-საკომუნიკაციო საშუალებებიდან უწყვეტ ნაკადად მოედინება საზარელი ინფორმაციები სიძულვილის, დაუნდობლობის, გაუტანლობის, სიცრუის, დალატის, უსამართლობისა და სხვა უამრავი ზნედაცემულობის შესახებ, ასევე მოზარდი, რომელიც თავის ადამიანთა გარემოცვაში ცხადად ხედავს იგივე უმსგავსოებებს, ბუნებრივია, გაუჩნდება ყველასა და ყველაფრის მიმართ უნდობლობა და შესაბამისად, უპატივცემლობა. აღნიშნულ რესპოდენტთა ეს შინაგანი პროტესტი არსებული სინამდვილის, სოციალური გარემოს მიმართ მასწავლებელთა, მშობელთა და საზოგადოებისთვის ნამდვილად დამაფიქრებელი და ყურადსალები პრობლემაა.

იგივე რესპოდენტები მესამე კითხვაზე: „რამდენად ჰუმანისტად მიგაჩნია შენი თავი?“ - პასუხობენ: „ნახევრად,“ „100%-დან 40%-მდე მიმაჩნია,“ „არ მიმაჩნია,“ „ნაკლებად, ეგოისტი ვარ,“ „რაღაც მომენტში ვარ ჰუმანისტი და რაღაც მომენტი არ ვარ,“ „მაინც და მაინც კეთილი არ ვარ მაგრამ არც ბოროტი ნუ რაღაც დონეზე მაინც კეთილი ვარ,“ „ვარ ჰუმანისტი მაგრამ არა ყველა მხრივ,“ „ჩემი თავი დიდად არ მიმაჩნია, ჰუმნისტად. კაცომოყვარე და გამგები ვარ, მაგრამ კიდევ ბევრი მაკლია იქამდე, რომ ჩემს თავს ჰუმანისტი ვუწოდო“ და ა. შ. აქ მოვიყვანთ კიდევ ერთ პასუხს, რომელიც საგულისხმო აზრს შეიცავს: „როცა უფრო პატარა ვიყავი მიყვარდა ადამიანებთან ურთიერთობა და კარგად ვეპყრობოდი მათ. მაგრამ ახლა არავისთან ვარ ისე ახლოს, როგორც საკუთარ თავთან. ამიტომ არ მიმაჩნია ჩემი თავი ჰუმანისტად“ და ა. შ.

მოყვანილი ციტატებიდან გამომდინარე, ვერ ვიტყვით, რომ მათი ავტორები გულწრფელები და თავმდაბლები არ არიან. ისინი ან არ თვლიან, ან ნაკლებად თვლიან თავს ჰუმანისტებად. აქ აშკარაა სოციალური გარემოსა და ადზრდის ფაქტორის არააღეპვატურობა პედაგოგიურ მიზანთან.

ბოლო ციტატაში აშკარად იკითხება ქვემოთ მიმდევად:

რომელშიც მოსჩანს ავტორის იმედგაცრუება, რომ მაინც და მაინც დიდი ჰუმანურობით არც უფროსები გამოირჩევიან და ამიტომ მათგან განრიდებაში პპოვა გამოსავალი. ოუმცა არც იმას მალავს, რომ ამ განრიდებამ გარკვეული ზიანი მიაყენა მის ჰუმანურ გრძნობებს, გულგრილობამ დაისადგურა მის გულში.

გამოკითხულთა 64%-ს მიაჩნია, რომ ნამდვილი ჰუმანისტია. მოვუსმინოთ მათ: „ჩემი აზრით ნამდვილი ჰუმანისტი ვარ,” „ვფიქრობ, რომ საკმარისად ჰუმანური ადამიანი ვარ,” „ჩემი თავი ჰუმანისტად მიმაჩნია თანაც ძალიან ჰუმანისტად,” „მე მგონი ვარ ჰუმანური,” „მე ჩემი თავი მართლა მიმაჩნია ჰუმანისტად იმიტომ რომ კაცომოყვარე და ერთგული ვარ ყველასათვის” და სხვა.

მოცემულ პასუხებში ნათლად ჩანს ავტორთა თვითკმაყოფილება, სიამაყე და ყოყლობინობა, საკუთარ თავზე მაღალი წარმოდგენა. თუ წერის კულტურის დონესაც გავითვალისწინებთ თავისი კალიგრაფიით და იმას, რომ საერთოდ არაფერია ნათქვამი მათი პრაქტიკული ჰუმანური ქცევისა თუ მოქმედების შესახებ, რომელიც მათი „დიდ ჰუმანურობის” არგუმენტად გამოდგებოდა. ადგილი ადმოსახენია საგალალო განსხვავება მიღწეულსა და მისაღწევს, რეალურსა და იდეალურს შორის მათ ჰუმანურ აღზრდილობაში.

მეოთხე კითხვას: „რა თვისებებს აფასებ მასწავლებელში?” (ასეთი ზოგადი კითხვა იმიტომ ავირჩიეთ, რომ მოსწავლეებს თავი არ აერიდებინათ პასუხზე, რადგან ადგილი პქნდა ასეთ პრეცედენტს) რესპონდენტთა 84%-მა დადებითად უპასუხა, 6%-მა დადებითიც დაასახელა და უარყოფითიც, 10%-მა თავი შეიკავა, აქვე მოვიყვანო ჯერ პირველი კატეგორიის რესპონდენტთა პასუხებს. მაგალითად: „მე დავასახელებდი მათემატიკის მასწავლებელს მას ბავშვები უყვარს და მათ სულ ეხმარება,” „როცა შენ რამეს ვერ გაიგებ და მასწავლებელი გაგიყვანს ცალკე და აგიხსნის. როცა მოსწავლეებს არ არჩევს და ყველას ერთნაირად

პატივსცემს”. როცა შეურაცხყოფას არ გაყენებს ანუ მთელი კლასის წინ არ გამცირებს.” „მასწავლებელში ვაფასებ სიყვარულს მოსწავლის მიმართ. მისთვის გაგებას და ონაგრძნობას, გაკვეთილზე სიმშვიდეს და ობიექტურობას. თუმცა თვითონაც არ უნდა დაიჩაგროს თავი არაპუმანური მოსწავლეების ხელში”, „სამართლიანობას და მოსწავლეებთან კარგ ურთიერთობას,” „მასწავლებელი უნდა იყოს მიმტევებელი, არ უნდა არჩევდეს ბავშვებს” და ა. შ.

როგორც ვხედავთ, მოსწავლეები თავიანთი მასწავლებლებისგან მოელიან სიყვარულს, თანაგრძნობას, თანადგომას, გაგებას მიმტევებლობას, სამართლიანობას, ობიექტურობას, გაკვეთილზე წესრიგის დამყარების უნარ-ჩვევებს, პედაგოგიურ ოსტატობას. თუმცა იმასაც ამჩნევენ, რომ არიან არაპუმანური ბავშვები, რომლებისგან თავდაცვა, კონფლიქტების უმტკიცნეულოდ განელება არც ისე აღვილია მასწავლებლისთვის.

მოყვანილი მაგალითებიდანაც კარგად ჩანს დიადაც და ფარულად პუმანიზმის ანტონიმები. მაგალითად: დამცირება, შეურაცხყოფა, მიკერძოებულობა, უსამართლობა და არაობიექტურობა, გულგრილობა, რომელიც ზოგიერთი მასწავლებლისთვის ეს უცხო ხილი არ უნდა იყოს. ამ მოსაზრებას გვიმტკიცებს ზემოთ აღნიშნულ მეორე კატეგორიის რესპონდენტთა პასუხები. როგორიცაა: „ . . . არ უნდა არჩევდეს ბავშვებს,” „ . . . მასწავლებელი ბოროტად არ უნდა იყოს განწყობილი მოსწავლისადმი,” „ . . . მაღიზიანებს გაუგებარ მასწავლებელი,” „ . . . როცა მოსწავლეებს არ არჩევს და ყველას ერთინირად პატივსცემს,” „როცა შეურაცხყოფას არ გაყენებს და ცალკე დაგელაპარაკება” და ა. შ.

ამ ზოგადად ნათქვამ სიტყვებში აშკარად იგრძნობა სკოლაში ამგვარი პრეცედენტების არსებობა, პედაგოგიური კულტურის დეფიციტი, რაც ნათლად ჩანს სოსუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების სამეცნიერო-

კვლევითი ინსტიტუტის მიერ 2010 წლის პირველ ნახევარში ჩატარებულ პედაგოგიურ გამოკვლევებში, რომლის შედეგები შესაბამისი პედაგოგიური რეკომენდაციებით სისტემტიურად განიხილებოდა განათლების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გეგმიურ სემინარებსა და სამეცნიერო კონფერენციაზე. ასევე განათლების ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებზე.

სანამ აღნიშნული პრობლემების შესამსუბუქებლად მაინც სათანადო

რეკომენდაციებს შევიმუშავებდით, ერთხელ კიდევ უფრო დაწვრილებით გავეცანით საერთოდ პედაგოგიკის ოქორიაში და კერძოდ ცნობილ აღორძინების ხანის ჰუმანისტ პედაგოგთა თეორიულ-პრაქტიკულ გამოცდილებას. რამაც მოგვცა საშუალება, ამ მხრივ წარსულისა და აწმყოს მიღწევები შესაბამისობაში მოგვეყვანა თანამედროვე ზნეობრივ მოთხოვნებთან.

ჰუმანიზმის ეპოქამ კაცომოფვარეობის აღზრდა დაუდო საფუძვლად პედაგოგიურ საქმიანობას. აღორძინების ხანის პედაგოგ-კლასიკოსებმა გაბატონებულ სკოლასტიკურ-დოგმატურ აღზრდას მოსწავლის პიროვნებისადმი პატივისცემისა და მისი ყოველმხრივ პარმონიული განვითარების იდეა დაუპირისპირებს. მათ კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე ბრწყინვალე ანტიკურ სამყაროს მიაპყრეს თვალი და იწყეს ძიება იმ პედაგოგიური ჭეშმარიტებისა, რომელიც წარმატებას მოუტანდა იტალიას, საფრანგეთს, გერმანიას. აღზრდის ათენური და სპარტანული აღზრდის სისტემის შემოქმედებითად ათვისების საფუძველზე ჩამოაყალიბებს ჰუმანური აღზრდის ახლებური კონცეფციები და წარმატებით განახორციელეს ევროპის ახალ სინამდვილეში.

ჰუმანისტ პედაგოგ-კლასიკოსთა: ვერჯერიოს, ვეჯიოს, პიკოლომინის, ბრუნოს თეორიულ ნაშრომებში, ასევე დე ფელტრეს პედაგოგიურ პრაქტიკულ საქმიანობაში

გამოიკვეთა ჰუმანისტურ პედაგოგიური სისტემა განვითარების პერსპექტივით. ისინი ადამიანში სხეულისა და სულის პარმონიული განვითარების იდეას ემსრობოდნენ და შესაბამისად, გონებრივ, სულიერ-ზნეობრივ და ფიზიკურ აღზრდას მოითხოვდნენ. სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში, უპირველეს ყოვლისა, გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო ბავშვის ინტერესები, მისი ასაკობრივინდივიდუალური სპეციფიკა, ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური თავისებურებები. ქვედან გამომდინარე, აღორძინების ხანის ჰუმანისტ-პედაგოგთა იდეების ამოსავალი პრინციპი იყო მთელი განათლების სისტემის ბავშვთა განვითარებისა და აღზრდის პოტენციალურ შესაძლებლობათა მაქსიმალური გამოვლინების, მათი მიღრეკილებებისა და ინტერესების შესაბამისად მოწყობა.

არა მარტო აღორძინების ჰუმანისტმა პედაგოგებმა, საერთოდ, პედაგოგიკის კლასიკოსებმა (კვინტილიანე, კომენსკი, ჯონ ლოკი. უან-ჟაკ რუსო, დისტერვეგი, უშინესკი, გოგებაშვილი დაა.შ) ხაზი გაუსვეს გონებრივი და მორალური აღზრდის პრიორიტეტულობას. მათ მეცნიერულად განსაზღვრეს და დაასაბუთეს ამ ამოცანების პრაქტიკული რეალიზაციის გზები, მეთოდები, პრინციპები და საშუალებები. თანამედროვე ენიო რომ ვთქვათ, მირითადი პედაგოგიური ტექნოლოგიები, რომელთა ანალიზი გადმოვცით ჩვენს წიგნში: „ჰუმანიზმის აღზრდის ისტორიული და თანამედროვე ასპექტები.” ამიტომ აქ მოვიხმობთ პრაქტიკოს პედაგოგის ვიტორინო დე ფელტრეს სასკოლო პრაქტიკის უნიკალურ გამოცდილებას. მან პირველმა მოახერხა ჰუმანური მოძღვრების პრაქტიკული რეალიზაცია და 1424 წელს ჰერცოგ მანტუანის სასახლეში მოაწყო „სიხარულის სკოლა”, სადაც ერთად სწავლობდნენ წარჩინებულთა, მდიდართა და დარიბთა შვილები თანასწორ პირობებში. დე ფელტრეს მიზანი იყო ჯანსაღი, ზნეობრივი, აქტიური, ენერგიული და ხალისიანი თაობის მომზადება. ილია ჭაბჭავაძე განსაკუთრებული ინტერესით

საუბრობს დე ფელტრესა და მისი პირველი ჰუმანური სკოლის შესახებ, როგორც მაგალითზე: მანტუას სკოლა „ერთი უძველესი საშუალო სასწავლებელი იყო ევროპაში, რომელმაც ყველაზე უწინ საფუძვლად და სათავედ დადო ახალი მოძღვრება ჰუმანურობისა, ვიტორინოს მეთაურობითა, ვიტორინოს იდეალად, ანუ მაგალითად პქონდა ათენური „გიმნასიი,” სადაც ერთნაირი და თანასწორი უურადღება იყო მიქცეული, როგორც ყმაწვილის ჭკუა-გონების განვითარებასა და გაძლიერებაზედ, ისეც ძვალ-ხორც-ჯანის გამაგრებასა და გაღონიერებაზედ.”

ვიტორინო და ფელტრეს „სიხარულის სკოლა” არა მარტო პედაგოგიურ-ჰუმანური პრინციპებით, არამედ გარეგნულ-დიდაქტიკური მოწყობილობითა და ესთეტიკურობით გამოირჩეოდა. სკოლის შენობა ბუნებაში მომაჯადოებელ ადგილას მდებარეობდა, ოთახები იყო ნათელი, ვრცელი, კედლები - ფრესკებით, საბავშვო სათამაშოებით მოხატული. თვით სახელწოდება „სიხარულის სკოლა” თავისი ქრერადობითაც მიმზიდველი და საინტერესო იყო. აქ ყველა და ყველაფერი პიროვნების სრულყოფილებას, ბავშვის განვითარების ბუნებრივ, პოტენციალური შესაძლებლობების გამოვლინება-განვითარებას ემსახურებოდა. გონებრივი ზნეობრივი, ესთეტიკურ და ფიზიკური აღზრდა კომპლექსურად, სისტემატურობისა და თანმიმდევრობის, ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურების გათვალისწინების პრინციპით მიმდინარეობდა. ნოვატორ მასწავლებელებს მეტად კარგად პქონდა წარმართული ფიზიკური აღზრდა. მოსწავლეები ეუფლებოდნენ ცხენოსნობას, ცურვას, ფარიკაობას. დასჯა ნებადართული იყო მხოლოდ ზნეობრივი წესების დარღვევისას. განსაკუთრებულ უურადღებას აქცევდნენ სიარულის, ქცევისა და მოქმედების მანერებს. ისწავლებოდა ძველი ენები, რომაული და ბერძნული ლიტერატურა, მათემატიკა. გამოიყენებოდა სწავლების დიდაქტიკური თვალსაჩინო მასალები, პრაქტიკული სამუშაოები. წერა-კითხვის შესწავლისას იყენებდნენ ფერადი

მუკათხან გამოჭრილ ასოებს. ვიტორინო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა მოსწავლეებში შეგრძნებებისა და აღქმების უნარის განვითარებას, როგორც შემეცნების საფუძველს. ყველა ბავშვისთვის სწავლა-აღზრდისათვის ერთნაირი გარემო იყო შექმნილი. ყველა მასწავლებელი ერთნაირ მოთხოვნებს უყენებდა თითოეულ აღსაზრდელს. იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა აღზრდაში აღმზრდელის პირად მაგალითს.

დე ფელტრე პირადად სწავლობდა თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ თავისებურებებს და მის შესაბამისად ადგენდა საწავლო-აღმზრდელობით დონისძიებათა სისტემას. ის მუდამ მათთან ერთდ იყო. ასწავლიდა მათ, მათთან ერთად საუზმობდა, სადილობდა, ვაჟშმობდა, თამაშობდა, მათთან ერთად მიდიოდა ექსპურსიებზე და ა. შ. ბუნებრივია, ბავშვებსაც უზომოდ უყვარდათ იგი, ღრმად სწამდათ მისი და ამიტომ სიამოვნებით ემორჩილებოდნენ. როგორც ცნობილია, მასწავლებლის ავტორიტეტი კი პედაგოგიური ზემოქმედების ყველაზე მარჯვე იარაღია.

ვიტორინო მოსწავლეებს სენტენციებით თავს არ აბეზრებდა. იგი ლიტერატურასა და ზეობრივ მაგალითებს იყენებდა აღზრდაში. მათ მხოლოდ ისეთ კლასიკოსებს აკითხებდა, რომელთაც შეეძლოთ მათ ფსიქიკასა და გულზე დადებითი, შთამაგონებელი ზემოქმედების მოხდენა. მთელი სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი ყოველთვის საბოლოო პედაგოგიურ მიზანზე იყო ორიენტირებული, რაც საშუალებას აძლევდა დიდ პედაგოგს გზადაგზა ეკონტროლებინა აღსაზრდელთა აღზრდისა და განვითარების პროცესი.

ვიტორინო დე ფელტრეს „სიხარულის სკოლის“ საქვეყნოდ და საუკუნოდ ცნობილი წარმატება განპირობებული იყო სასკოლო პრაქტიკის პედაგოგიკის თეორიასთან ორგანული კავშირით. პუმანური პედაგოგიკის კლასიკოსების შეხედულებები ანტიკური ხანის იდეებიდან საზრდოობდა, ვითარდებოდა და იხვეწებოდა ეროვნულ

ნიადაგზე, რამაც თავის აპოგეას მიაღწია იტალიაში.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ მოსწავლეებში პუმანური მსოფლმხედველობის ფორმირება შესაძლებელია პუმანიზმის თვალსაჩინო მაგალითებით, კლასიკური ლიტერატურის სისტემატური, შეგნებული, აქტიური კითხვითა და განხილვებით (თუ მაინც და მაინც უცხოურად გნებავთ პრეზენტაციებით), წრფელი ურთიერთობითა და სიყვარულით, სამართლიანობითა და უანგარო მზრუნველობით. ეს კი მასწავლებლის-გან მოითხოვს კაცობრიობის მიერ დაგროვილი პედაგოგიური ცოდნა-გამოცდილების შემოქმედებითად ათვისებას, ეროვნული და თანამედროვე მოთხოვნებთან და აღსაზრდელის ასაკობრივ და ინდივიდუალურ თავისებურებებთან შესაბამისობაში მოყვანისა და პრაქტიკულ გამოყენების, პედაგოგიკური მეცნიერებისა და პედაგოგიური ხელოვნების თხრატურად შერწყმის უნარ-ჩვევებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ჯ. ბერიშვილი, თ. კარანაძე იაკობ გოგებაშვილის პუმანიზმი. თბ.1992
2. ი. გოგებაშვილი რჩეული პედაგოგიური და პუბლიცისტური ნაწერები. თ. I, თბ. 1910.
3. ესთეტიკური აღზრდის იდეები, ანთოლოგია. თბ., 1973.
4. ნ. ვასაძე, პედაგოგიკა თბ., 2002.
5. ნ. ვასაძე. პედაგოგიკის ისტორია. თბ. 2004.
6. Г. Жураковский. Очерки истории античной педагогики М, 1963
7. П. Фридolin. Педагогический идей итальянского возрождения. М., 1929
8. Г. Фоййт. Возраждение классической древности т.1 М.,1984.
9. ჭავჭავაძე ი. პედაგოგიური თხზულებები. თბ. , 1949. ჩიგოგიძე კ.ილია ჭავჭავაძე და ალორძინების პუმანისტი პედაგოგები. ქ. „მზრდელი ერმისა”, თბ. №3,4.1995.

Humane ways of Humene Education
M.Salia

The problems, causes and results of humane education are shown in this research. It contains preventive-corrective methods based on the theoretical approaches of Renaissance humane teachers Vitorino da Philtres according the examples of their school practice

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების
სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის
მეცნიერ-თანამშრომელი,
პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორ
გულნაზ ხუსუა

თვალის როლი პიროვნების ვორმირებაში

შეგრძნებათა ფიზიკურ ორგანოებს შორის თვალი უმთავრესია. მისი მეშვეობით შევიგრძნობთ და აღვიქვამო გარემომცველ სინამდვილეს მთელი თავისი მრავალფეროვნებით: მეგა, მაკრო თუ მიკრო სამყაროს: მზეს, მთვარეს, ვარსკვლავებით მოჭედილ ცას, დედამიწას თავისი ფლორით, ფაუნით, წყლებით; ფერებს, ფორმებს, მოცულობას, რაოდენობას, სიმაღლეს, სიგრძეს, სიგანეს, სიღრმეს, მდგომარეობას, მდებარეობას, სიმსუქნეს, სიგამხდრეს და ა. შ. თვალის საშუალებით აღიბეჭდება ცნობიერებაში ნანახი მატერიალურ-რეალური სინამდვილე. ამასთან დაკავშირებით, ფსალმუნმომდერალმა დავითმა თქვა: „როცა ვუყურებ ცას, შენი თითების ნამოქმედარს, მთვარესა და ვარსკვლავებს, შენ რომ შექმენი, ვფიქრობ: რა არის მოკვდავი კაცი, რომ გახსოვს და ზრუნავ მასზე?“ მსედველობა რომ არა, ვერც საფრთხეს დავინახავდით, რომელსაც სისტემატურად ვაწყდებით.

თვალი „საშუალებას გვაძლევს დავტკბეთ ჩვენს ირგვლივ არსებული სალამაზით, საოცარი ქმნილებებით, დავრწმუნდეთ ღვთის არსებობაში და აღვფრთოვანდეთ მისი სიღიადით.“ (ჟ. საგუშაგო კოშკი“ №15, 2010, გვ20). თვალი ხილული სამყაროთი უხილავის შესახებ გვამცნობს. ფიზიკური თვალი ხილულზე დაკვირვება-გააზრების საფუძველზე გონების თვალს წარმოშობს, რომელიც გვეხმარება გარემომცველი სინამდვილის, ფაქტებისა და მოვლენების სწორად შეგრძნებასა და აღქმაში, გვიცავს ცდუნება-საფრთხეებისაგან.

თვალი მჭიდროდ უკავშირდება გონებას, გონება კი - გულს. გული კი აღმრავს ემოციებს, გრძნობებსა და სურვილებს. სურვილი ანუ ნდომა კი ააქტიურებს აზროვნებას ამ მიმართულებით და ცნობიერება მთლიანად კავდება ამ სურვილის დაკმაყოფილებისათვის ფიქრით. დანარჩენი კი ყველაფერი მეორე ხარისხოვანი ხდება. შემდეგ ფიქრი გადადის რეალობაში.

რა საფრთხეებს უნდა ავარიდოთ თვალი, ცდუნებას რომ არ ავყვეთ?

დღეს მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა მოიცვა მთელი მსოფლიო. განსაკუთრებით მომრავლდა თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო საშუალებები, როგორიცაა: ტელევიზია, მობილური ტელეფონი, ინტერნეტი, - რაც იქცა ადამიანთა უმეტესობის ცხოვრების აზრად. გაჩნდა კითხვა: „ტექნიკა-კურთხევაა თუ წყველა?“ - რა თქმა უნდა ორივეა, საქმე მის გამოყენებაშია. თითქმის ანალოგიური კითხვა დაისვა XVII საუკუნის საფრანგეთში: „განაპირობა თუ არა მეცნიერებისა და ხელოვნების აღორძინებამ ზნეობის გაუმჯობესება ან გაუარესება?“, რომელსაც პედაგოგიკის კლასიკოსმა ჟან-ჟაკ რუსომ გაბედული პასუხი გასცა თავის ამავე სახელწოდების ნაშრომში, რომ ცივილიზაციის განვითარების შედეგად ადამიანი თანდათანობით მოწყდა ბუნებას, დაპარგა ბევრი ადამიანური თვისება, სიკეთე, უბრალოება, უშუალობა და გაიძვერად და მონად იქცა. კლასიკოსი იქვე მიუთითებს ჭეშმარიტი მეცნიერებისა და ხელოვნების დადებით მხარეებზე, მის პროგრესულ გარდამქმნელ ძალაზეც. აქაც გამოყენების, მიდგომის ოპტიმალურობაზეა ყურადღება გამახვილებული.

შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე ცივილიზაციამ განაპირობა უდიდესი ტექნიკური პროგრესი, მაგრამ ამას ვერ ვიტყვით მორალურ სფეროში. მორალის გარეშე კი, როგორც მოგეხსენებათ, სამართლიანობაზე, ბედნიერ და მშვიდობიან ცხოვრებაზე, საერთოდ დემოკრატიასა და პუმანიზმზე ოცნებაც კი წარმოუდგენელია. ტელევიზიას,

რომელმაც 1931 წლიდან მთელი მსოფლიო მოიცვა
და დღეს მისმა რიცხვმა 1.5 მილიარდს გადააჭარბა,
გარკვეული მოსაზრებით „მასწავლებელსაც” უწოდებენ.
მისი მეშვეობით ვეცნობით მთელ მსოფლიოში და კოსმიურ
სივრცეში მიმდინარე მოვლენებს, ქვეყნებსა და ხალხებს,
„ვმოგზავურობო ტროპიკულ ჯუნგლებში და პოლუსებზე,
მთათა მწვერვალებსა და ოკეანების სიღრმეებში, ვეცნობით
ატომთა გასაოცარ სამყაროს და ვიჭრებით კოსმოსში,
ვიგებო რა ხდება დედამიწის სხვა კუთხეში, თვალს
ვადევნებო კულტურასა და პოლიტიკურ მოვლენებს - იმას
რაც მოხდა და რაც ხდება. ტელევიზია აშუქებს ადამიანთა
ტრაგედიებსა და წარმატებებს. ის გვართობს, გვასწავლის
და შთაგვაგონებს კიდევ.” ერთი სიტყვით, ასრულებს
შემუცნებით, ეთიკურ და ესთეტიკურ ფუნქციებს.

იგივე ითქმის ინტერნეტზე, მობილურ ტელეფონზე, მათ
უნიკალურ დადებით შესაძლებობებზე. ღილაკის ან მაუსის
ერთი დაწვანებით, რომ შენს თვალზინ გადაიშლება
მთელი სამყარო.

ინტერნეტი - მსოფლიოს უდიდესი ბიბლიოთეკა. დროისა
და სივრცის დიმენსიონებში შეუზღუდავი. მის პიროვნულ
და საზოგადოებრივ ღირებულებას განაპირობებს მისი
გამოყენების კულტურა.

მობილური ტელეფონი - XXI საუკუნის საოცრება. ამ
მინიატურული აპარატის სიდიადეს დედამიწა ვერ იტევს.
დივანზე წამოწოლილი ვის გინდა რომ არ დაუკავშირდე
დედამიწის კიდით-კიდემდე ზეპირი თუ წერილობითი
სიტყვით. დრო, თარიღი, მესიჯი, ფილმები, თამაშობები,
მუსიკები და ა. შ. ეს საკვირველება შენს სამსახურშია,
სადაც და როგორც არ უნდა იყო.

ნამდვილად, კურთხევაა კეთილად და გონივრულად
გამოყენებული ტექნიკა. მაგრამ თუ გავითვალისწინებოთ მის
უარყოფით მხარეებს, და არ გავფრთხილდებით, შეიძლება
დამანგრეველი, გამანადგურებელი გავლენა მოახდინოს
ადამიანზე, განსაკუთრებით კი მოზარდებზე.

მეცნიერები, საზოგადოება თუ კერძო პირები უპავ
მსჯელობები და გამოსავალს ეძებენ იმ სავალალო
შედეგებზე, რაც თან სდევს აღნიშნული ტექნიკის
ბოროტად და არაგონივრულად გამოყენებას. საქმე იმაშია,
რომ ტელევიზიისა და ინტერნეტის ინფორმაციათა დიდი
ნაწილი ძალადობასა და პორნოგრაფიას ეხება, რომელთა
70% ამერიკაშია დამზადებული, 15% - ევროპაში, ბავშვთა
პორნოგრაფიის 80% კი - იაპონიაში. ახალგაზრდა, რომელსაც
ჯერ კიდევ საშუალო სკოლა არ დაუმთავრებია, ათასობით
მკვლელობის, ძალადობისა და სექსუალური სცენების
მხილველი ხდება. ტელეეკრანებზე თუ კომპიუტერის
მონიტორზე ფართოდ და დაუფარავად წარმოდგენილი
ამგვარი სცენები ცნობისმოყვარეობის, შეჩვევისა და
მიმბაძველობის თანდაყოლილი უნარის წყალობით,
ახალგაზრდების მიერ აღიქმება როგორც წვეულებრივი
მოვლენა, როგორც ნორმა, რაც მათ ქცევებში, ჩატმულობაში,
გარცხნილობასა და მეტყველებაში ვლინდება.

პორნოგრაფიული სურათების ახალგაზრდებზე
გამხსრწელ გავლენასთან დაკავშირებით, ტექნიკურ-
ელექტრონული მედიის მიმომხილველმა ტონ პარსონზმა
დაწერა: პორნოგრაფია „უპულმართ სურვილებს ბადებს
ადამიანში, ის ადვივებს ავსორცულ ვნებებს, რომლის
დაკმაყოფილებაც შეუძლებელია.“

ზოგჯერ სპეციალურად, ზოგჯერ კიდევ შემთხვევით, ახ-
ალგაზრდა აწყდება თვალის მაცდუნებელ პორნოგრაფიულ
ვებ-საიტებს და ინტიმურ ვებ-ჟეოებს, რომლის გავლენა იმ-
დენად დიდია, რომ ის მთელი არსებით ებძება ვირტუ-
ალურ-ინტიმურ ურთიერთობებში. ამერიკელ და ევრო-
პელ მეცნიერთა გამოკვლევებში თავმოყრილია უამრავი
სტატისტიკური მონაცემები პორნოგრაფიით გატაცებულთა
დანგრეული ოჯახების, მოზარდების გონებრივი და ზნეო-
ბრივი დეგრადაციის, სექსუალური ძალადობის, ნაადრევი
სქესობრივი კავშირის, უკანონო ფეხმიმობის, მორალურ-
ემოციური ზიანის, აკადემიური ჩამორჩენილობის, შიდსის

გავრცელებისა და სხვა სისაძაგლების შესახებ.

პორნოგრაფიული სურათების ნახვა თუ წინათ მხოლოდ მდიდრებისთვის იყო მისაწვდომი, დღეს იგი საკაბელო ტელევიზიისა და ინტერნეტის ქსელის მეშვეობით მასობრივ ხასიათს ატარებს. და, სწორედ, მასმედიის ანალიტიკოსის დენის მაკალების აზრით, პორნოგრაფიული პროგრამების აღვილად ნახვის შესაძლებლობა ერთ-ერთი ფაქტორია, რამაც განაპირობა ის, რომ ადამიანთა დიდი ნაწილი მას მიიჩნევს ბუნებრიობისა და თავისუფლების გამოხატვის ნორმალურ მოვლენად. პუბლიცისტი ბრაიენ მაკნეარი პორნოგრაფიის დაუბრკოლებლად გავრცელებას თავისუფალი და ჯანსაღი საზოგადოების განმასხვავებელ ნიშნად მიიჩნევს. ის წერს: „საზოგადოება, რომელიც იმდენად განვითარებულია, რომ აუღელვებლად ხვდება ორ სრულწლოვანი ადამიანის ინტიმური ურთიერთობების დაუფარავად ასახვას, უფრო შემწყნარებლულად მოეკიდება განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის ადამიანებს და უფრო აღვილად აღიარებს ქალების თანასწორუფლებიანობასაც.”

ასეთ მხარდაჭერთა წყალობით, „დღეს ის გაცილებით დიდ გავლენას ახდენს კულტურაზე, ვიდრე ოპერა, ბალეტი, თეატრი, მუსიკა და სახვითი ხელოვნება ერთად აღებული” - წერს პუბლიცისტი ჯერმეინ გრირი.

ძალადობისა და სექსუალური შინაარსის შემცვლელი ინფორმაციები უწყვეტ ნაკადად მოედინება ტელევიზიის, კინოფილმების, მუსიკალურ ვიდეოკლიპების და ინტერნეტის მეშვეობით, რომელსაც ნებაყოფლობით და დიდი სიამოვნებით ეწაფებიან გაუთვითცნობიერებელი ახალგაზრდები. ამას ემატება ის, რომ ბავშვთა დიდი პროცენტი „ტელემანიაკებისა” და „კიბერ-ხულიგნების” მახეში ებმება. კამერიან მობილურ ტელეფონებს სკოლის გასახდელ ში ან საშხავებში დებენ და გადაღებულ სურათებსა და ვიდეოჩანაწერებს ინტერნეტით ნებისმიერ მსურველს უგზავნიან.

მობილური ტელეფონი უმეტეს შემთხვევაში მიზეზი

ხდება უამრავი პრობლემისა, როგორიცაა: სასწავლო პროცესის ჩაშლა, მასწავლებელსა და მოსწავლეთა შორის ურთიერთობის გაფუჭება, აკადემიური ჩამორჩენილობა, დროის ფუჭად ფლანგვა, საგზაო ავარიები და ა. შ.

არანაკლებ ზიანის მოტანა შეუძლია მოდას. პოპულარული „ვარსკლავები”, რომლებიც მექავებისათვის დამახასიათებელ ჩატულობას ირჩევენ, მოზარდის მოუმწიფებელი თვალი იწონებს და ბაძავს მას. უფრო გამაოგნებელი ის არის, რომ პრესტიულ მაღაზიებში იყიდება საბავშვო კოსმეტიკური საშუალებები -ნაირნაირი ბრჭყვიალა ფერებითა და თვალწარმტაცი დიზაინით გაფორმებული, რომელსაც მშობლები და ახლობლები დიდი სიამოვნებით ყიდულობენ და ჩუქნიან ბავშვებს. უფროსებისგან ნებადართული პატარები ითითხებიან, იპრანჭებიან, ხალისობენ და კმაყოფილები არიან. შედეგი: უხამსობა, მდაბიო გემოვნება, უზნეო სითამამე და გამბედაობა, ზნეობრივი და სულიერი სიდატაკე. მერე გვიკვირს ის, რაც ჩვენ ვასწავლეთ. როგორც მაკალპენი ასკვნის: „საზოგადოება იმას ისისხლხორცებს, რითაც მის გონიერას კვებავენ”.

სამედიცინო გამოკვლევებმა აჩვენა, რომ უხამსობის, ძალადობის, „პორნოგრაფიის ყურება ბიოქიმიურ ცვლილებებს იწვევს ტვინში და მისი ქიმიური სტრუქტურის ნაწილი ხდება. რაც ადამიანს უკარგავს გააზრებულად, შეგნებულად მოქმედების უნარს.” ეს კი საფრთხეს წარმოადგენს ბავშვის ფსიქიკურ, სულიერ და ფიზიკური ჯანმრთელობისათვის.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, სამართლიანად ჩნდება კითხვა: რა გამოსავალი არსებობს? სპეციალისტების მხრიდან არის უამრავი შემოთავაზებები: ახსნა-განმარტებები, აკრძალვა, ტელევიზორისა და კომპიუტერის დია, თვალსაჩინო აღგილზე დადგმა, ბავშვების სასარგებლო, სოციალურად დირებული შრომითი და შემეცნებითი საქმიანობით, სპორტით დაკავება, გასეირნება ბუნების

წიაღში, ექსკურსია, ტურისტული ლაშქრობები, ხელოვნების სადამოები, გამოჩენილ ადამიანებთან შეხვედრები და ა. შ.

რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ არასაკმარისი. რადგან ყოვლად შეუძლებელია ბავშვის, მოზარდის, ახალგაზრდის შინაგანი სამყარო, გული და სული, მისი ფიქრები და თვალი ვინმემ გააკონტროლოს. თვალთმაცდუნებელ-გამხრწნელი ზეგავლენისგან ახალგაზრდების დაცვის ყველაზე ოპტიმალური გზა არის ძალადობისა და პორნოგრაფიული ინფორმაციების გაქრობა მათთვის ხელმისაწვდომი ადგილებიდან, მაგრამ ეს პრაქტიკულად შეუძლებელია. რადგან აღნიშნული ინფორმაციები წარმოადგენს დიდი ბინძური კომერციის პოლიტიკის შემადგენელ ნაწილს. ამიტომ კომერსანტები, პოლიტოკოსები და მავანთმავანი, რომელთა ხელშია მსოფლიო გავლენის ბერკეტები, ისინი არასოდეს არ დაომობენ გამდიდრების ამ მუქთა წყაროს.

ეს მხოლოდ ყოვლის შემოქმედ ღმერთს შესწევს. რადგან ადამიანები ხედავენ მხოლოდ იმას, რაც მათ თვაწინ არის. ღმერთი კი ყველაფერს ხედავს: ხილულსა და უხილავს, დაფარულსა და გაცხადებულს. ყველაზე უკეთ ღმერთმა იცის თუ რა არის უკეთესი მისი უნიკალური ქმნილების - ადამიანისათვის. ეს საუკეთესო არის სულიერი აღზრდა, რომლის მთავარი კრიტერიუმი სიყვარულია. როცა ქრისტეს პკითხეს, მოძღვარო, რომელია უდიდესი მცნება კანონში?

მან უპასუხა: „გიყვარდეს უფალი, შენი ღმერთი მთელი გულით, მთელი სულით, მთელი გონებით და მთელი ძალით.“ „მეორე კი: „მოყვასი საკუთარი თავივით გიყვარდეს. ამ მცნებებზე დიდი მცნება არ არსებობს“ (მარკოზი 12:30,31). რა არის ღმერთის სიყვარული, ამაზე ბიბლია მარტივად და გასაგებად გვპასუხობს: „ღვთის სიყვარული ის არის, რომ ვიცავდეთ მის მცნებებს“ (იოანე 5:3). ვიცოდეთ სიმართლე ღვთის შესახებ: ვინ არის ღმერთი და რას მოითხოვს ჩვენგან? ვინ არის იქსო ქრისტე? ვინ არის სატანა-ეშმაკი? რატომ

ხდება ამდენი უბედურება? რა მოელის კაცობრიობას? რა არის ღვთის სამეფო და რას მოიტანს ის დედამიწაზე?

ბიბლიური კანონების 6:6,7 მუხლებში პირდაპირ ბრძანებაა მოცემული მშობლების მიმართ, რომ ღვთის მცნებებით აღზარდონ შვილები: „გულში ჩაიბეჭდე სიტყვები, რომლებსაც დღეს გიბრანებ: ჩააგონე შენს ვაჟს და ელაპარაკე მათზე სახლში ჯდომისას, გზაზე სიარულისას, დაწოლისა და ადგომისას.” შვილები რომ სულიერად აღზარდონ, მშობლები თავად უნდა იყონ აღზრდილნი ღვთის შემეცნებით: „შენს გულში გქონდეს ეს სიტყვები, რომლებიც დღეს გამოგიცხადე,“ კაითხულობთ იქვე.

სოლომონ ბრძენმა დაწერა: „დაეწაფეთ ღვთის სიტყვებს, შეიყვარეთ და განისწავლენით” (სიბრძნე სოლომონისა 6:11). რადგან „შემეცნებაა გონების სრულქმნა, სრულქმნილება კი ღმერთთან მიახლოება” (იქვე 6:24). ეს რომ მხოლოდ ლამაზი სიტყვები არ არის და შიეძლება ის რეალობად იქცეს, ამის ნათელი მაგალითია მორწმუნე აღსაზრდელების ყოფაცევა, რომლის გადამოწმება სულაც არ არის ძნელი.

იან ამოს კომენტარის, სულიერობა, ღვთის მოშიშთა და ღვთისმოსავთა აღზრდა, მიაჩნდა საზოგადოების სულიერი გამოჯანხანასაღების მთავარ საშუალებად. „ვინაიდან ღვთის შიში სიბრძნის დასაწყისი და დასასრულია” (იან ამოს კომენტარი, რჩ პედ. თბ. 1949, გვ. 87).

ბიბლიაზე დაფუძნებული 2007 წლის აგვისტოს ქ. „გამოიღვიძეთ!“-ში მოცემულია შვიდი რჩევა მშობლებისათვის:

1. მიმართეთ კარგ მრჩეველს. „მიენდე ღმერთს მთელი გულით და საკუთარ გონებას ნუ დაეყრდნობი” (იგ-ავები 3:5).
2. შექმენით თბილი ატმოსფერო. „სიყვარული გამაერთიანებელი სრულყოფილი კავშირია” (კოლოსელები 3:14).
3. გამოიყენეთ ოქენი უფლებამოსილება. „აღზარდე შვილები და გულს გაგიხარებენ” (იგავები 29:17).

4. დაადგინეთ წესები და შესაბამისად იმოქმედეთ: „ოქვე-ნი დიახ იყოს დიახ, არა კი არა” (მათე 5:37).
5. შეადგინეთ დღის რეჟიმი და დაიცავით. „ყველაფერი წესიერად და ორგანიზებულად ხდებოდეს” (1კორინ-თელები 14:40).
6. გაიგეთ რას გრძნობს თქვენი შვილი. „მოსმენამდე პასუხის გაცემა უგუნურებაა” (იგავები 18:13).
7. მიეცით მაგალითი. „სხვებს ასწავლი და საკუთარ თავს არაა?” (რომაელები 2:21)

ამრიგად, ჩვენი აღსაზრდელები რომ დავიცვათ ავხორცული ვნებების აღმდვრელი სატანა-ეშმაკის მიერ დაგეტული მაცდუნებელი სანახაობებისგან, უპირველეს ყოვლისა, სულიერი აღზრდის გზით უნდა განუვითროთ გონების თვალი, რომ ხილული სამყაროს მეშვეობით უხილავი შეიცნოს. თვალსაჩინო ღირებული მაგალითების, რეალურ სინამდვილეზე დაკვირვება-ანალიზის, სიკეთისა და ბოროტების შეპირისპირების, მიზეზ-შედეგობრიობის და ლოგიკის მეთოდებით, ასევე სხვა სააზროვნო ოპერაციების სწავლების გზით აღსაზრდელებს უნდა შეუქმნათ ამაღლებული იდეები და მოთხოვნები და მათი დაკმაყოფილების პედაგოგიურ - ფსიქოლოგიური და სოციალური პირობები, თვითრეალიზაციისა და თვითდამკვიდრების, სულის ნაყოფების (სიყვარული, სიხარულიმშვიდობა, სიკეთესულგრძელობა ყოველივე კარგი, რბილი სასიათი, რწმენა, თავმდაბლობა) განვითარებისათვის სელსაყრელი პედაგოგიური, ოჯახური და სოციალურ-კულტურული გარემო.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბიბლია, 2006
2. გ. ხუსა, პედაგოგიკა, თბ., 2009
3. ჟ. „გამოიღვიძეთ,” ნოემბერი 2009 „ტექნიკა კურთხევაა თუ წყველა?”
4. ჟ. „გამოიღვიძეთ,” ოქტომბერი 2006 ტელევიზია რა გავლენას ახდენს თქვენს ცხოვრებაზე?
5. ჟ. „გამოიღვიძეთ”, ოქტომბერი 2008 ოქანი შვილი და ინტერნეტი,
6. ჟ. „გამოიღვიძეთ” აგვისტო, 2003 პორნოგრაფია საზიანოა თუ არა?
7. ჟ. „გამოიღვიძეთ” 8 ოქტომბერი, 2000 როგორ ავარიდო თავი საფრთხეს ინტერნეტით სარგებლობის დროს?
8. ჟ. „საგუშაგო კოშკი” 15 აპრილი, 2010
9. ჟ. „გამოიღვიძეთ” სექტემბერი, 2003 ხომ არ ემონებით მოდას?
10. ჟ. „გამოიღვიძეთ” მარტი 2007 თვალი მოარიდეთ არარაობა!
11. ჟ. 1 ნოემბერი, 2006 საიმედო რჩევები ბავშვების აღზრდასთან დაკავშირებით.
12. ჟ. „გამოიღვიძეთ” აგვისტო 2007. შვიდი რჩევა მშობლებს.

Role of an eye in the personality's formation

Gulnaz Khukhua

Professor

60% of information is received by means of eyes. Misuse of modern communicational means: television, internet, mobile phone and etc., watching pornography pictures influences the youngsters negatively morally and academically. It is impossible to make prohibition and control of that by outer factors. It is needed the inner motivation that the young people avoid watching the programs showing pornography and violence. One of these mechanisms is spiritual education, developing of fear of God and believing in God in pupils and young people.

იზოლდა ბუხულეიშვილი
ასოცირებული პროფესორი

მოზარდებში აბრესიულობის გამომჯევი
მიზანების შესახებ

დღეს ბაგშვთა და მოზარდთა აგრესიულობა და ძალადობა საერთაშორისო და საყოველოაო პრობლემაა, რომლის წინაშე საკმაოდ ძლიერი ქვეყნებიც დგანან. მეცნიერ-მკვლევართა მიერ ჩატარებული კვლევებითა და არსებული სტატისტიკური მონაცემებით, ამ ბოლო ხანებში, ყველაზე მძიმე მდგომარეობა კოლუმბიაში ყოფილა. ჩვენი ქვეყანა ამ მხრივ არც პირველია და არც უკანასკნელი. ოუმცა, აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით ჩვენთან არსებული სტატისტიკის მონაცემებს თუ გავეცნობით, ფაქტია, რომ მოზარდებში აგრესიამ და ძალადობამ იმატა, რაც მიანიშნებს იმას, რომ პრობლემა არსებობს და მას დროზე უნდა მიხედვა, უნდა მოიძებნოს პრევენციული მუშაობის ეფექტური გზები და საშუალებები.

ტერმინი აგრესია (ლათ. *aggressus*) აღნიშნავს სხვადასხვა ქმედებებს. კერძოდ: თავდასხმას, მტრობას და მისო. მეცნიერთა ნაშრომებში გამოიკვეთა, რომ აგრესია, როგორც ფორმა, მიზანმიმართულია ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ზიანი მიაყენოს ვინმეს.

აგრესია ბაზისურ ემოციათა კატეგორიას მიეკუთვნება და ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უკავია ამ სისტემაში. მისი გამოვლენის ფორმების მრავალფეროვნება, ისევე, როგორც გამომწვევ მიზეზთა მრავალფეროვნება (ბიო-სოციალური, სოციალური, ეკონომიკური და ა. შ.), მისდამი ყოველთვის იწვევდა მეცნიერების, პრაქტიკოსი სპეციალისტების, საზოგადოების სხვადასხვა ფენის, განათლების მუშაკებისა და, საერთოდ, ასაკის ადამიანთა დიდ ინტერესს.

ბაგშვთა აგრესიის კვლევით მრავალი მეცნიერი იყო დაინტერესებული (პედაგოგიკის, ფსიქოლოგიის, ფსიქი-

ატრიის, მედიცინის სპეციალისტები). მათგან ადსანიშნავია - ზ. ფროიდი, რობერტ ბერონი, დებორა რიჩარდსი, ბარბარა კრეიხი, ფრომი, ბასი, შ. ნადირაშვილი, ნ. იმედაძე და სხვ.

განვიხილოთ ზოგო მათგანის მიერ ჩატარებული ექსპერიმენტი, თუ დაკვირვება მოზარდებში აგრესიული ქცევის მოტივების, წარმოშობის მიზეზებისა და მათი დაძლევის თაობაზე.

ამ მხრივ, მნიშვნელოვან თეორიულ და კლინიკურ მონაცემებს შეიცავს ზ. ფროიდის ფსიქოანალიტიკური თეორია. ჩვენ აქ არ შევჩერდებით ამ თეორიის ახსნაზე, მაგრამ აღვნიშნავთ, რომ, მიუხედავად უამრავ, სხვადასხვა შეხედულებათა და მოსაზრებათა არსებობისა, მაინც მყარი რჩება აგრესიულობის ახსნა ინსტინქტების არსებობით. კერძოდ, ცხოვრების ინსტინქტისა და სიკვდილის ინსტინქტებს შორის ბრძოლა არის, ზოგადად, ადამიანის ცხოვრების ისტორიისა და მათ შორის აგრესიულობის ფორმებისა და მიმართულების განმსაზღვრელი.

აგრესიულობის ფროიდისეული თეორიის შემდგომი განვითარებაა ნევროიდისტების შრომები. მათი უმრავლესობა უარყოფს აგრესის ინსტინქტურობას და სშირად აგრესიულობას უკავშირებს სოციალურ მოტივებს (ჰორნი). ეთიოლოგი საკოტი თვლის, რომ აგრესიული ქცევა ვითარდება სხვადასხვა გენეტიკური და გარე ფაქტორების გავლენით, თუმცადა, თანმობილი ფაქტორები ქმნიან მხოლოდ აგრესიისკენ მიღრეკილების ტენდენციას.

შესაძლოა ორგანიზმა იცხოვროს დიდი ხნის განმავლობაში ისე, რომ არ მიმართოს აგრესიას, თუ გარემო პირობები არ იძლევა ამის სტიმულს.

მრავალი მკაფეგარ-ფსიქოლოგი ეყრდნობა ფროიდის იდეებს აგრესიულობის რეაქტიული ბუნების შესახებ და, აქედან გამომდინარე, ფლუსტრაციის ცნება სშირადაა გამოყენებული მათ კვლევებში. მიმართულების წარმომადგენლები არიან - დოლარდი, მილერი, როზენცვარგი და სხვა ფსიქოლოგები.

ბიპევიორისტების მიდგომა აგრესიულობის პრობლემის-ადმი განსხვავებულია. ისინი მას იღებენ განიხილავენ, როგორც პიროვნულ ცვლადს, როგორც შეტევის ჩვევას. ისინი იყენებენ როგორც ოპერაციონალისტურ განსაზღვრებას და ცდილობენ თავი აარიდონ აგრესიულობის გლობალურ განმარტებას, ძირითადად, ეკრდნობიან კონტროლირებული ლაბორატორიული ექსპერიმენტების მონაცემებს. ამ მიმართულების წარმომადგენელმა ბასმა აგრესიულობის კვლევის მრავალრიცხოვანი მონაცემების ფაქტორული ანალიზის საფუძველზე ბასმა აღმოაჩინა ორი განსხვავებული მიდგომა: აგრესიულობა და მტრულობა. მტრულობა ხასიათდება აღშფოთების, წყენის, ეჭვიანობის გრძნობით, თუმცა შესაძლოა აგრესიულობა და მტრულობა ერთმანეთს ემთხვეოდეს; ცვლადები, რომლებიც თრგუნავენ მტრულობას არ ახდენენ არავითარ გავლენას აგრესიულობის შესუსტებაზე.

ამგვარად, მკვლევარ-მეცნიერთა მიერ დადგენილია, რომ აგრესიულობის გამომწვევ ფაქტორებს შორის აღსანიშნავია: ბიოლოგიური, ოჯახური აღზრდის სტილი, აგრესიული ქცევის მაგალითები, თანატოლების მხრიდან განცდილი ემოციური დაძაბულობა, ფლუსტრაცია, აგრესიული ტელეგადაცემები, კომპიუტერული თამაშები და ა. შ. დასახელებული ფაქტორები ცალსახად ყველა ბავშვში არ იწვევს აგრესიის ქმედებას. აღზრდის ერთი და იმავე პირობებში მყოფი ბავშვები შესაძლოა აგრესიის ხარისხის მიხედვით განსხვავდებოდნენ.

აგრესიის გამოწვევის ძირითადი მიზეზი მაინც ოჯახი და მისი არაკეთილსაიმედო გარემოა. ამ გარემოში აღზრდლ მოზარდთა უმრავლესობის გაღიზიანებადობას, აგრესიულობას და სხვა მსგავს თვისებებს ძირითადად განაპირობებს აღზრდაში დაშვებული შეცდომები, ბავშვისადმი მშობლების არასწორი დამოკიდებულება, ხშირი და ინტენსიური ოჯახური კონფლიქტები, მშობლების გატაცება ალკოჰოლიზმითა თუ ნარკომანიით.

მოზარდები, რომლებიც იზრდებიან არაჯანსაღ, არა-კეთილსაიმედო ოჯახურ გარემოში, აგრესიულობას, სისასტიკეს ხშირად ავლენენ, მით უფრო თუ მათ სურვილებს, ინიციატივას, თვითდამკვიდრებასა და დამოუკიდებლობის ტენდენციას უხეშად თრგუნავენ მშობლები (იგულისხმება სხვების თანდასწრებით მოზარდის თავმოყვარეობის შე-ლაპა, ხშირი ფიზიკური დასჯა, მუქარა და ა. შ.). ასეთ ადგზნებად, აგრესიულ მოზარდებს არ შესწევთ დანაშაულის განცდის, თვითკრიტიკის, თანაგრძნობის უნარი, მძიმე კონფლიქტურ, არაჯანსაღ ოჯახურ პირობებში ადგზრდილი მოზარდების დიდი ნაწილი ოჯახიდან გარბის, ადვილად ექცევა ქუჩის გავლენის ქვეშ.

ფსიქოლოგებმა (ბეითსმა, პეთიომა, დოდჯმა...) შეისწავლეს იმ ოჯახის ბავშვები, რომლებსაც მშობლები იმდენად სჯიდნენ რომ ზოგჯერ სჭირდებოდათ სამედიცინო ჩარევა. ასეთ ბავშვებს მასწავლებლები და მათი თანატოლებიც კი ახასიათებდნენ როგორც სხვა ბავშვებისაგან გამორჩეულად აგრესიულებად. მათ არა მხოლოდ ფიზიკური დასჯა აყალიბებს აგრესიულებად, არამედ მათდამი ციფი, უსულგულო, უყურადღებო დამოკიდებულებაც მეცნიერ-მკვლევართა ნაწილი ამ ფაქტორს მშობლის სიყვარულის „დეფიციტს“ უწოდებს.

დღეს, სამწუხაროდ, სტატისტიკა იმაზე მეტყველებს, რომ ძალზე მცირება ჰარმონიული ოჯახების პროცენტი, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ოჯახების უმეტესობაში ძალადობაა გაბატონებული, რაზეც დიად არ საუბრობენ, რადგან ამ პრობლემის სააშკარაოზე გამოტანა, განსაკუთრებით ჩვენთან, დირსების შელახვის ტოლფასია. როგორია იმაზე საუბარი, რამდენად ხშირია ბავშვებისადმი მშობლების უხეში დამოკიდებულება, რადგან ინფორმაცია ოჯახებში ძალადობის თაობაზე ძნელად მოსაპოვებელია.

და მაინც, ბოლო სტატისტიკური მონაცემებით, აშშ-ში დაახლოებით 1 მლნ ბავშვი განიცდის უხეშ, ცუდ დამოკიდებულებას მშობლების მხრიდან. ამ ბავშვების 50% ფაქ-

ტობრივად მშობლებისაგან მიტოვებულნი არიან, 25% განიცდის ფიზიკურ, ხოლო 15% სექსუალურ ძალადობას. და ეს მაშინ, როდესაც, მაგ, შვედეთში ბავშვის ცემას კანონი კრძალავს.

ამგვარად, მოზარდთა სისასტიკე და აგრესიულობა ძირითადად აღმოცენდება ხოციალური ფაქტორების, განსაკუთრებით კი ოჯახებში აღზრდის და იმ მიკროსოციალური კლიმატის ზემოქმედებით, რომელშიც იზრდება ბავშვი და ყალიბდება მისი პიროვნება. ამიტომ, მოზარდს, თუ დროზე არ გამოუმუშავდა ადამიანებისადმი ჰუმანური დამოკიდებულება, კეთილმოსურნეობა, მოთმინება, სინანულისა და დანაშაულის განცდა, ადრე თუ გვიან მასში თავს იჩენს სისასტიკე, აგრესიულობა, სადიზმი - აღნიშნავს ცნობილი ქართველი ფსიქიატრი პროფ. მ. მესტიაშვილი.

პარვარდის უნივერსიტეტის ლაბორატორიაში სიერსისა და მისი თანამშორმლების მიერ სპეციალურად იქნა შესწავლილი მშობლების მიერ ბავშვის აღზრდისას გამოყენებული დასჯის მეთოდები. მკვლევარ-ფსიქოლოგები მივიღნენ იმ დასკვნამდე, რომ ლმობიერ, თბილ მშობლებს, რომლებიც ბავშვის აღზრდაში ცუდი ქცევისას ფსიქოლოგიურ ხერხებს იყენებდნენ (ქება, იზოლირება, „სიყვარულის მოშორება“) უფრო წესიერი, დისციპლინირებული შვილები ჰყავთ, ვიდრე მშობლებს, რომელთაც ისეთი მეთოდების გამოყენების ტენდენცია აქვთ, როგორიცაა პრივილეგიების ჩამორთმევა, ფიზიკური დასჯა და სხვ. უნდა აღინიშნოს, რომ „ცივი“ მშობლებიც იყენებენ ზოგჯერ აღზრდის ფსიქოლოგიურ ხერხებს, მაგრამ ნაკლებ ეფექტურად.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ფიზიკური დასჯის არა თუ უშედეგობა, არამედ ზიანიც, რომელიც მას ბავშვის პიროვნებისათვის მოაქვს. ცემა აღძრავს გაბრაზებას. გაბრაზების მდგომარეობაში ძნელია იმის გააზრება და ობიექტურად შეფასება, რაც ჩაიდინე. ცემა ბავშვის ფიზიკურ უძლეურებას, სისუსტეს, უსვამს ხაზს, ამცირებს მის პიროვნებას, ულახავს თავმოყვარეობას. ამის გამო,

ბავშვს როგორც კი მოხერხებული (მისთვის) მომენტი ჩაუვარდება, იგი ეცდება სამაგიერო გადაუხადოს უფროსს, რათა თავისი ძალა აჩვენოს, ან შეიძლება სრულიად სხვა გზას დაადგეს.

მორჩილი ხასიათი რომ ჩამოყალიბდეს, ეს დამოკიდებულია ბავშვის ინდივიდუალ-ფსიქოლოგიურ თვისებებზე, მის ტემპერამენტსა თუ ასაკობრივ თავისებურებებზე.

განვიხილოთ რა ხდება ფსიქოლოგიური დასჯის შემთხვევაში - დედამ, რომელიც ცრემლიანი თვალებით უებნება შვილს, რომ მან იმედი გაუცრუა, შეიძლება მეტი ტკივილი მიაყენოს ბავშვს, ვიდრე ცემამ, ვინაიდან ეს სხვაგვარი ტკივილია. ფსიქოლოგები ამას „სიყვარულის უარყოფას“ უწოდებენ. ასე, მაგ.: დედა ნაწევნია და ხმა უთროთის, მას სათქმელი თითქოს აღარ აქვს. მისი მოძრაობები მკვეთრია, ხელიდან ფინჯანი უვარდება, ცრემლები მოსდის, ასეთი სურათი თითქოს ბევრი ჩვენგანისათვის ნაცნობია. „სიყვარულის ხელყოფის მეთოდი“ არ აღწერს იმას, თუ რის გაკეთებს აპირებს მშობელი, მისი მიზანია არ გამოამჟღავნოს ბრაზი, თავი შეიკავოს.

მშობელი, რომელიც თავს უფლებას არ აძლევს დაარტყას ან დაუყვიროს შვილს, მაინც ფლუსტრირებულია, იგი ძალიან გაბრაზებულია ბავშვის საქციელით და ცდილობს არ გამოამჟღავნოს, არ „აფეთქდეს“, თუმცა ეს შინაგანი განცდები მას გარეგნულად მაინც ეტყობა; ჩანს, რომ მას სურს თავისი გრძნობების დამალვა და ეს მცდელობა, თავის გაკონტროლების უნარი, ბევრის მთქმელია.

შეიძლება ითქვას, რომ ეს მეთოდი არააგრესიულ-საიმიტაციო მოდელია, რასაც ფიზიკურ დასჯაზე ვერ ვიტყვით. მოზარდები ძალიან ადვილად ბაძავენ სხვა პირის აგრესიულ მოქმედებებს და რამდენადაც დასჯა თავისთავად აგრესიის ფორმაა, აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ დამსჯელი მშობლები აშკარად აგრესიულ ბავშვს ზრდიან. და მაინც, მათი ქცევა შვილებისათვის ხშირად მისაბად მოდელს წარმოადგენს, ასეთი მშობლებისაგან ისინი

„გაკვეთილსაც“ იღებენ - არ იყო აგრესიული მშობლების მიმართ, რადგან ისინი დაგსჯიან, არამედ იყავი აგრესიული იმათ მიმართ, ვინც პატარაა ან შენზეა დამოკიდებული, გააკეთე ისე, როგორც ამას მშობლები აკეთებენ. ერთი სიტყვით, დასჯა ასწავლის ბავშვს მხოლოდ იმას, თუ როგორ დასაჯოს სხვა.

ზოგჯერ ამბობენ, რომ დასჯა არის რეაქცია ბავშვის აგრესიაზე, რომ აგრესია არის მიზეზი, დასჯა კი შედეგი. აგრძმ, თუ დავუკვირდებით, ვნახავთ, რომ საქმე პირიქითაა, დასჯა წარმოშობს ბავშვის აგრესიას. არის, აგრეოვე, კვლევები, რომლითაც შეისწავლეს აგრესიული ბიჭების მშობლების ადრინდელი ატიტედები და აღმოჩნდა, რომ ამ ბავშვებს მამები უარყოფნებ ჯერ კიდევ მანამდე, სანამ ისინი აგრესიულები გახდებოდნენ. რაც არ უნდა იყოს პირველი - დასჯა თუ ბავშვის აგრესია, ერთი რამ ფაქტია - ბავშვის დასჯა, მისთვის აგრესიული მოდელის შექმნით გაზრდის მოზარდის აგრესიულობას, ეს კი სტიმულს მისცემს მშობლებს მოუმატონ ძალადობას. მთელი რიგი კვლევები გვიდასტურებს, რომ აღმზრდელის ორიენტაციას დასჯით მეორდებზე ხშირად მივყევართ სავალალო შედეგებამდე; უხეში და სასტიკი მშობლების შვილები არცოუ იშვიათად ხდებიან ნევროტულები და ფსიქოპატები.

დასჯის მეთოდების ასეთი უარყოფითი შედეგები გვაფიქრებინებს, რომ, საერთოდ, გარკვევას მოითხოვს დასჯა-წახალისებისა და იმიტაცია-იდენტიფიკაციის შედარებითი ეფექტურობა.

შექმნილი მდგრმარეობიდან გამოსავალის მოძებნა დიდ ძალისხმევას მოითხოვს იმისათვის, იმისათვის, რომ ბავშვების მიმართ უხეში დამოკიდებულების რისკი შეგამციროთ. მშობლებმა აუცილებლად უნდა გამოიყენონ პედაგოგიური ცოდნა ბავშვთა აღზრდის ეფექტიანად წარმართვისათვის.

ბავშვებს უნდა შევთავაზოთ ქცევის ალტერნატიული ფორმები, წყნარ ვითარებაში მშვიდად უნდა ავუხსნათ, თუ როგორი საქციელი იმსახურებს დასჯას და როგორი

წახალისებას. თუ მშობლები სჯიან რაიმე საქციელის გამო, აუცილებელია განუმარტონ, აუსხნან ბავშვებს რა დააშავეს და რისთვის უნდა დაისაჯონ. ამით მშობელი ზოგჯერ შეძლებს ბავშვის დაფიქრებას თავის საქციელზე, რაც დადებით შედგეს აუცილებლად მიიღებს. ეფექტურია, ასევე თუ მშობელი მიმართავს სკოლის ფსიქოლოგს, ბავშვთა დახმარების ფსიქოლოგიურ ცენტრს და სხვ.

გვინდა შევჩერდეთ ბავშვებში აგრესიის გამოწვევის კიდევ ერთ უმნიშვნელოვანეს მიზეზზე. „დღეს სერიოზულ პრობლემად იქცა მოზარდების მასობრივი, მეტისმეტი გატაცება კომპიუტერული თამაშებითა და ინტერნეტით. ბევრ პოპულარულ თამაშში პერსონაჟს მეტისმეტად საშინელი მეთოდებით ხოცავენ. ტელევიზით ნანახი ძალადობის ანალოგიურად, აგრესიის პროვოცირებებს ახდენს, აგრეთვე, ვიდეოფილმებით გატაცებაც.

ამერიკელ ფსიქოლოგთა მიერ ჩატარებული კვლევებიის შედეგების მიხედვით ბავშვების 80% დღეში რამდენიმე საათის განმავლობაში თამაშობს კომპიუტერზე. თანამედროვე პირობებში ტელევიზორი და კომპიუტერი სულ უფრო მეტად ასრულებს გამაშუალებელ სოციალურ-ფსიქოლოგიურ ფუნქციას ბავშვების ერთმანეთთან და უფროსებთან ურთიერთობაში. სამყაროს, საზოგადოების შეცნობა ტელეეკრანისა და კომპიუტერის მეშვეობით, მიუხედავად ამ უკანასკნელის უდიდესი სოციალური დირებულებისა, უმეტესად, მაინც ხელოვნური და სუროგატული პროცესია და ვერ ცვლის შემეცნებისათვის საჭირო უშუალო და ბუნებრივ, ადამიანურ, საზოგადოებრივ ურთიერთობებს. ამასთან, ტელეეკრანი და კომპიუტერული თამაშობები ბავშვებს ხშირად სთავაზობს ისეთ პროგრამებს, რომლებიც გაჯერებულია ადამიანური დამოკიდებულებების მარგინალური, ექსტრემალური სტერეოტიპებით, აგრესიისა და ძალადობის ელემენტებით. ასეთი მიმართულების გართობები მართლაც იწვევს მოზარდებში მოჭარბებულ აგზებას, აგრესიას.

ბავშვები და მოზარდები, რომლებიც ხშირად „უურებენ ან უპირატესობას ანიჭებენ ძალადობის სცენებს, უფრო აგრესიულები არიან და თვითონაც ადვილად სჩადიან ძალადობას სხვების მიმართ. სამწუხაროდ, თანამედროვე პირობებში მშობლეთა მნიშვნელოვანი ნაწილი აღნიშნული გარემოების საფრთხეს ვერ აცნობიერებს და თითქმის ნებაყოფლობით გადასცემს თავის აღმზრდელობით-დიდაქტიკურ ფუნქციებს ტელე და კომპიუტერულ ეკრანს.

დღეს, ეს პრობლემა გლობალურია და ეხება ჩვენი შვილების აღზრდას, მომავალი თაობის მიერ თანამედროვე ტექნიკური საშუალებების რაციონალურ გამოყენებას, მის ფსიქოკურად ჩამოყალიბებას. უნდა ვიფიქროთ, როგორ შეძლონ ბავშვებმა მაქსიმალური სარგებლობა მიიღონ აღნიშნულ ტექნიკასთან ურთიერთობით.

ვიდეო, ტელეგადაცემებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების ნაკადი - ბავშვთა აგრესიულობის ჩამოყალიბების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. როგორ დავვხმაროთ აგრესიულ ბავშვებს? განვიხილოთ ბავშვებში აგრესის დაძლევის ზოგიერთი საკორექციო საშუალება.

აგრესიულ ბავშვებთან ფსიქოკორექციული ზემოქმედების ერთ-ერთი ეფექტური საშუალებაა ფსიქოთერაპია. იგი ბავშვებთან მუშაობაში პირველმა ზ. ფროიდმა გამოიყენა. თამაშის მეთოდი ფსიქოანალიტიკოსების აზრით, არის საბავშვო ფსიქოანალიზის საუკეთესო მეთოდი. ისინი თამაშს აგრესიულობის დაძლევისათვის მკურნალობის ძირითად ნაწილად თვლითნენ. ანა ფროიდი ბავშვებთან ფსიქოთერაპიული მუშაობისას იყენებდა აგრეთვე „ფოგუსებს“, მოგვიანებით მან, მელანი კლაინთან ერთად, „ფსიქოდინამიკურ თერაპიაში“ მრავალი თეორიული მოდელის მოდიფიკაციის გაერთიანებით შექმნა ამ „თამაშის მოდელი“. მათი მიზანი იყო ბავშვის პრობლემებისა და ტრავმების გაცნობიერებაზე მუშაობა. ჰქმდნილი ბავშვებთან ერთად თამაშობდა, იგი ბავშვებს სპეციალურ მასალებს ურიგებ-

და ტრავმირების იმიტაციის გონებაში აღდგენისათვის და უშუალოდ თამაშის პროცესში ქმნიდა მსგავს სიტუაციას. თანაც ბავშვის ეხმარებოდა მის პრეზუმციაში. იგი თვლიდა, რომ ბავშვი ამას ნამდვილად გაართმევდა თავს. 30-იან წლებში შეიქმნა მოელ რიგ „თამაშობათა ფსიქოთერაპიის ტექნიკა“, რომელიც განხოგადდა „როგორც ურთიერთობის თერაპია“. აქ „თერაპევტები“ საუბრობდნენ ბავშვის სიღრმისეული შესაძლებლობების ფორმირებაზე, დაბადებისას მიღებული ტრავმის გავლენაზე. რაც ძირითადად დედასთან დაშორებით უნდა ყოფილიყო გამოწვეული.

აგრესიულ ბავშვებთან სპეციალურად შემუშავებული მეთოდიკების შინაარსი უნდა ეფუძნებოდეს ერთიანობის პრინციპს. მშობელს, ფსიქოლოგს და პედაგოგს უნდა მიეცეს საშუალება, აღნიშნული მეთოდიკის დახმარებით ჩამოუყალიბოს ბავშვებს სოციალური ურთიერთობის ჩვევები. საჭიროა ბავშვს ესმოდეს და უგებდეს თანატოლს, მასში დაინახოს არა მოწინააღმდეგებ ან კონკურენტი, არამედ საინტერესო და ფასეული ადამიანი.

დასასრულ, გვინდა აღვნიშნოთ, რომ კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, არ უნდა წარმოვადგინოთ ზედმეტად რთულად აგრესიის დაძლევა, სკოლამდელ და დაწყებით სასკოლო ასაკში ჯერ კიდევ შესაძლებელია ბევრი უარყოფითი თვისების აღმოფხვრა, აუცილებელია უფროსების (მასწავლებლების, მშობელების, ფსიქოლოგების) მიერ მათდამი სწორი და ფრთხილი მიდგომა. აგრესიულობა ყოველთვის არ ატარებს ნეგატიურ ხასიათს, ფსიქოლოგები მას ზოგჯერ სტენიურ, აქტიურ თავდაცვით რეაქციაზე დაფუძნებულ ემოციას მიაკუთვნებენ. ამიტომ, საკითხი დგება არა მისი აღმოფხვრის, არამედ, მხოლოდ გამოვლენისა და აუცილებელი გაკონტროლების შესახებ.

სოციალური სფეროს მოწესრიგებისათვის ეფექტურია არტერაპიის გამოყენებაც. ღია აგრესიასთან და ბრაზთან ბრძოლის კარგი საშუალებაა იუმორი; ამისათვის შესაძლებელია ბავშვებს წავუკითხოთ არამტრული დამოკ-

იდებულების ამსახველი კომიქსური სიუჟეტები. ბავშვთა აგრესიის დაქვეითების კარგი საშუალებაა მეტი ურთიერთობა ოჯახის წევრებთან და ნაკლები ტელევიზორთან და კომპიუტერთან. უნდა ვუჩვენოთ აგრეთვე მეტი ფილმები სიყვარულზე, სიკეთესა და თანაგრძნობაზე და ა. შ.

მეცნიერებმა ჩაატარეს აგრესიული ბავშვების სოციალურ ურთიერთობაში ჩართვის ექსპერიმენტული მუშაობა, მასში მონაწილეობდნენ 7-14 წლის ასაკის დევიატორი ქცევის ბიჭები და გოგონები, რომლებმაც გაიარეს „სოციალური დასწავლის“ ტრენინგი. აღნიშნული ექსპერიმენტის მიზანი იყო ამ ბავშვებში აგრესიულობის დონის შემცირება. მათ გარკვეული ხნის განმავლობაში უტარდებოდათ 40-წუთიანი ვარჯიშები, კერძოდ, ფლუსტირების სიტუაციების არააგრესიულად მოგერიება. ვარჯიშის დამთავრების შემდეგ მკვლევარები აკვირდებოდნენ მონაწილეთა ქცევებს - აშკარად შეიმჩნეოდა აგრესიული დონის დაქვეითება.

მაში, აღნიშნული კატეგორიის ბავშვებთან მუშაობისას აგრესიის დაძლევის ეფექტური საშუალებებია: ფსიქოთერაპიული თამაშობები, სოციალური დასწავლის ტრენინგი, საციური ვარჯიშები, როლებიანი თამაშობები და ა. შ. ყოველივე ეს, დღეს წარმატებით გამოიყენება მოზარდებთან და მოზრდილებთან ფსიქოპროფილაქტიკური მუშაობისას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ო. გოგიჩაიშვილი. მოსწავლეთა ასაკობრივი ფსიქოლოგია. თბ., 2001.
2. შ. ნადირაშვილი. პიროვნების სოციალური ფსიქოლოგია. თ., 1975.
3. ლ. სვანიძე. ლექციები ეკონომიკის ფსიქოლოგიაში. თბ., 2009.
4. ბ. ფროიდი. ფსიქოანალიზი. თბ., 1987.
5. გ. ქურხული. აგრესიული ბავშვები. თბ., 2006.

Izolda Bukhuleishvili
Associate Professor

About the reasons causing aggression in teenagers

Aggression of children and teenagers is the international problem today. Scientists have estimated several reasons of aggression-violence as: biological, family upbringing style, examples of aggressive behavior, emotional stress experienced from the side of peers, frustration, aggressive television programs, computer games and mistakes made in upbringing.

While working with children of that category, the effective means of aggression prevention are: psychotherapeutic games, social and educational trainings, relaxation exercises, imitating-role games and etc.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი
ლევან ჯინჯიშვილი

ქართული ენისა და ლიტერატურის სამკლასის
ძირითადი ორიენტირი

ქართველი ერის ცხოვრებაში მშობლიური ენის,
და საერთოდ - ქართული ენისა და ლიტერატურის,
მნიშვნელობის შესახებ ბევრი დაწერილა. მისი თუნდაც
ზედაპირული მიმოხილვა შორს წაგვიყვანდა. არადა,
ქართული ენის სიდიადის წარმოჩენისათვის გენიოსთა
აზრების გახსენებაც კმარა:

ბრიბოდ ორბელიანი - „რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს”.
სოლომონ დოდაშვილი - „წარმატებანი ენისა და
სიტყვიერებისანი მოწმობენ აღმატებასა ერისასა”.
იაკობ ბობეგაშვილი - „ზურგის შექცევა დედა-ენისა
დიდად ვნებს ხალხსა, აქვეითებს და უკან სწევს”.

რიხარდ მაკელანი - „გამოხატვის საშუალებებით
ქართული ენა მსოფლიოში ერთ-ერთი უმდიდრესია. ის
არც სიტყვის მარაგით ჩამოუვარდება ყველაზე უფრო
განვითარებულ ენებს”.

რენე ლავონი - „ქართული ენა მშვენიერი ენაა, ზუსტი და
მოქნილი, ორიგინალური”.

ბოტორიდ ლაბდნიშვილი - „გამაოცა ქართული ენის დროთა
და კილოთა სიუხვემ”.

დოდონა პიზირია - „ქართული ენა მსოფლიოს მერვე
საოცრებაა”.

ლუკა მაგაროტი - „ქართული ენა ყოველთვის
ბედნიერებას მანიჭებს. ჩემთვის უდიდესი ბედნიერებაა
სწორედ ის, რომ ორიგინალში ვკითხულობ ქართველ
მწერლებს და ვთარგმნი”.

ნიკო მარი - „ქართული ენით ყველაფერი გამოითქმება, რაც
დედამიწაზე შეიძლება გამოითქვას რაგინდარა ენით...

ქართული ენა, განსაკუთრებით ცოცხალი ქართული ენა, მაღალმხატვრულად გამოსახავს ყოველ აზრს და დაუმახინჯებლად და შეურყვნელად გადმოსცემს. ისე მდიდარია ქართული ენა, შეიძლება ითქვას, შინაგანი თვისებებით იგი მსოფლიო ენაა”.

ოგანეს თუმანიანი - ლიტერატურა ტაძარია, სადაც მხოლოდ წმინდა სინდისითა და კეთილშობილი მისწრაფებებით შეიძლება შესვლა. მაგრამ როდესაც ადამიანები ამ ტაძარს წვრილმანი პატივმოყვარული მისწრაფებებით, ანგარებიანი მიზნებითა და სიცრუისადმი მიღრეკილებით მიადგებიან, - ეს ხალხის წინააღმდეგ ჩადენილი უდიდესი დანაშაულია”.

სწავლებაში უპირველესად ისაა აღსანიშნავი, რომ მოზარდს უნდა გამოუმუშავდეს უფაქიზესი მიმართება ყველა ენისადმი, მათი შეთვისებისა და შესწავლისაკენ ლტოლვის უნარი, მაგრამ მშობლიური ენა მისთვის ლვთაებრივი უნდა იყოს. ამას შესანიშნავად მიესადაგება გენიალური იოპან ვოლფგანგ გოეთეს სიტყვები, რომლებიც მან იტალიაში ჩასვლისას წარმოთქვა: „მე მხიბლავს იტალია, მაგრამ მივესალმები მტვერს, რომლიც გერმანიდან გამოჰყვა ჩემი ეტლის ბორბლებს”.

დაწყებითი განათლების სპეციალობაზე ქართული ენისა და ლიტერატურის დაწყებითი კურსის სწავლების მეთოდიკა ერთ-ერთ ძირითად სასწავლო საგანს წარმოადგენს. მისი სწავლება ამ სპეციალობაზე სრულყოფილად გვესახება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა სასწავლო პროცესში დისციპლინები: ქართული ენა, მეტყველების კულტურა, ქართული ლიტერატურის ისტორია, ქართული ზეპირსიტყვიერება, მითოლოგია და სხვ. ქართული ენისა და ლიტერატურის დაწყებითი კურსის სწავლების მეთოდიკასთან ერთად ქმნიან ერთიან პედაგოგიკურ-მეთოდიკურ სისტემას. ამ შემთხვევაში ოპტიმალურადაა შესაძლებელი ინტერდისციპლინარული მეთოდოლოგიის მეთოდიკური პრინციპების რეალიზება, საგანთაშორისი კავშირუ-

ბის მიზანმიმართული დამყარება. ასეთ შემთხვევაში შემოქმედებითად და ზედმიწევნითაა შესაძლებელი დაწყებითი სკოლის ეროვნული სასწავლო გეგმის ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტებისა და პროგრამების, აგრეთვე, დაწყებითი სკოლის მასწავლებლის თანამედროვე სტანდარტების მოთხოვნათა შესრულება, რაც ქართული სკოლის განვითარების თანამედროვე ეტაპზე აუცილებლობას წარმოადგენს.

დღეს, როცა დასასრულს უახლოვდება განათლების რეფორმირება, როცა შესანიშნავად დამუშავდა სწავლებისა და განვითარების ფსიქოლოგიური თეორიები, ახალი მიდგომები სწავლებისადმი, - სწორად მიგვაჩნია ის ფაქტი, რომ სწავლებისა და სწავლის ძირითადი მოთხოვნები კრიტიკული აზროვნების ტერმინებში გადაისახა. უნდა შემუშავდეს სწავლების ისეთი მოდელები, რომლებიც ხელს შეუწყობს მოელი სასწავლო პროცესის მანძილზე ყველა სტუდენტის კრიტიკული აზროვნების განვითარებას. ეს კი, თავის მხრივ, უზრუნველყოფს ყველა ასაკის მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების განვითარების პერსპექტივებს.

ამ მიმართულებით უნდა წარიმართოს მეცნიერულ-მეთოდიკური კვლევაც.

კრიტიკული აზროვნება გულისხმობს ცნებათა გააზრებასა და მათი ფარული არსის კვლევას, მათდამი სკეპტიკურ დამოკიდებულებას თავაზიანობის ფარგლებში, მათ შეპირისპირების განსხვავებულ თვალსაზრისთან, სარწმუნო და სანდო სისტემების წარმოდგენის მათი სისწორის დასასაბუთებლად და ამ სტრუქტურებზე დაყრდნობით გარკვეული თვალსაზრისის შემუშავებას. კრიტიკული აზროვნება შემოქმედებითი ინტეგრაციის პროცესია, იგი პროცესია კონცეფციებისა და ინფორმაციის ხელახალი კონცეფტუალიზაციისა და შემუშავების. აქ ინტენსიურად გამოიყენება სწავლების განსხვავებული სტრატეგიული ხერხები. აქ დომინირებს ოქროს დიდაქტიკური ფორმულა: „ოუ გსურთ დაიმახსოვროთ, - დაგავიწყდებათ; თუ გსურთ

შეიცნოთ, - დაგამახსოვრდებათ”.

აქ მაინც უმთავრესთა შორის უმთავრესია, რომ სტუდენტი დაეუფლოს კითხვის დასმის ხელოვნებას. ასეთ შემთხვევაში მოსალოდნელი კონკრეტული შედეგებია:

- ესმოდეს, თუ რა კავშირია კითხვის დასმასა და კრიტიკულ აზროვნებას შორის.
- ესმოდეს, თუ რა კავშირია ზოგადად კრიტიკულ აზროვნებას, გადაწყვეტილების მიღებას, პრობლემის გადაწყვეტასა და აზროვნების პროცესს შორის.
- შეეძლოს მოსწავლისათვის თხრობის ტექსტის გაცნობა „პროვოცირების”, „მნიშვნელობის რეალიზების” და „გააზრების” ეტაპების გამოყენებით.
- შეეძლოს კლასში კითხვების დასმის პროცესის წარმართვა მრავალვარიანტიანი კითხვების გამოყენებით.
- ესმოდეს მოსწავლისათვის კითხვების დასმის მნიშვნელობა ყველა დონეზე.
- ესმოდეს აზროვნების იმ პროცესის არსი, რომელიც უავშირდება სხვადასხვა დონის კითხვების დასმას.
- შეეძლოს, ხშირად შეუქმნას მოსწავლეებს წაკითხულისა და მოსმენილის ინტერპრეტირების პირობები.

სტუდენტის კრიტიკული აზროვნების სწორი განვითარება განაპირობებს კარგი მასწავლებლის მომზადებას. ეს კი წინაპირობაა დაწყებითი სკოლის მოსწავლეთა სწორი სწავლების.

სწავლების უამრავ მიზანთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ესთეტიკურ ფენომენს. ტრადიციულად, განიხილავენ ოთხ ძირითად ესთეტიკურ კატეგორიას: მშვენიერს, ამაღლებულს, ტრაგიკულს, კომიკურს. ამათგან მთავრი ყურადღება ექცევა მშვენიერის კატეგორიას. სახელოვან ქართველ მწერალთა ნებისმიერი ნაწარმოები სიტყვის ხელოვნების ნამდვილი ნიმუშია არა მარტო იდეური გადაწყვეტით, არამედ თავისი ესთეტიკური ღირებულებით. ამდენად, მისი დანიშნულება მოსწავლის ზნეობრივ

აღზრდასა შემცნებითი სფეროს გაფართოებასთან ერთად, არის ესოეტიკური ტკბობა. არც ერთი ნაწარმოები არ უნდა გაგვიფრინდეს სწავლებისას ხელიდან ისე, რომ ჩვენმა მოსწავლემ ვერ შეიგრძნოს მასში მშვენიერი. მშვენიერია ამაღლებულიც, ტრაგიკულიც და კომიკურიც. სწავლების პროცესში ტრაგიკულის სულიერად განმწერდამაღლებული გავლენა ესოეტიკური აღზრდის ერთ-ერთი ბრწყინვალე საშუალებაა.

ლიტერატურული მასალის სწავლებისას, მაგალითად, პეიზაჟის აღწერის სწავლებას განუზომლად დიდი ესოეტიკური ღირებულება გააჩნია. იგი სტუდენტისა თუ მოსწავლის ესოეტიკური გრძნობის განვითარების მძლავრი საშუალებაა. სტუდენტსაც და მოსწავლესაც უნდა ჩამოუყალიბდეს გარკვეული ამაღლებული ხედვა პეიზაჟის ფუნქციებზე:

- გმირთა მოქმედების გარემო, ფონი.
- მოქმედი პირის ან მწერლის სულიერი განწყობილების ან ცხოვრებისადმი მისი დამოკიდებულების გადმოცემის საშუალება.
- სიუჟეტის ჩანართი ეპიზოდი, მოვლენათა განვითარების ერთ-ერთი რგორი.
- ნაწარმოების იდეის გამომხატველი.
- სოციალური ვითარების გადმოცემის საშუალება.
- სიმბოლიკა. ზოგჯერ აღწერილი პეიზაჟური სურათი სიმბოლურად განასახიერებს ამა თუ იმ მოვლენას.

სწავლების პროცესში როგორც სტუდენტს, მომავალ მასწავლებელს, ისე შემდგომში შესაბამისად მოსწავლესაც, თანდათანობით უნდა ჩამოუყალიბდეს კოგნიტური სტილი, როგორც სასწავლო მასალის შეთვისების ინდივიდუალურ თავისებურებათა ასახვა. როცა საუბრობენ კოგნიტური სტილების შესახებ, მაშინ მხედველობაში აქვთ შემცნებითი პროცესების თავისებურებანი. კოგნიტური სტილების შესწავლა მე-20 საუკუნის 50-იან წლებში დაიწყო. ეს სტილები შემოქმედებითად უნდა იქნეს გათვალისწინებული

ქართული ენისა და ლიტერატურის დაწყებითი კურსის სწავლების მეთოდიკაში როგორც ლექციების კითხვისას, ისე პრაქტიკულ-სემინარული მუშაობის პროცესში. ეს სტილებია:

- კელისდიფერენცირებადობა(კელისდანაწევრებულობა, ფსიქოლოგიური დიფერენციაცია).
- კატეგორიების განზოგადებულობა (გლობალური - სპეციფიკური).
- კონცეპტუალიზაციის სტილი (აბსტრაქტული - კონკრეტული).
- რეაგირების ტიპი (იმპულსურობა - რეფლექსურობა).
- კოგნიტურობა „სირთულე - სიმარტივე“.

მეცნიერულ-მეთოდიკური კვლევა უნდა წარიმართოს კოგნიტური სტილის გამომუშავების მიმართულებით. კვლევა ამ მიმართულებით ხელს შეუწყობს შემცნებითი პროცესის გააქტიურებას.

ბოლოს, გვინდა აღვნიშნოთ, რომ აუცილებლობად მიგვაჩნია პერმენევტიკული მეთოდების დანერგვა ქართული ენისა და ლიტერატურის დაწყებითი კურსის სწავლების მეთოდიკაში.

პედაგოგის პიროვნების სტრუქტურაში, პედაგოგიურ ლოგიკასა და პედაგოგიურ ცნობიერებასთან ერთად, უდიდეს როლს თამაშობს რწმენა აღსაზრდელის შესაძლებლობებში, აღფრთვანება პედაგოგიური ზეამოცანებით - მოსწავლის პიროვნების განვითარება და ჩამოყალიბება, პედაგოგიური ინტუიცია, იმპროვიზაციის უნარი, პედაგოგიური არტისტიზმი.

პედაგოგიკურ-მეთოდიკური კვლევა გვერდს ვერ აუცილის ამ ოვისებათა დიაგნოსტიკებას, მათი განვითარების გზების ძიებას. ამასთან, კვლევის მრავალი ტრადიციული თუ ინოვაციური მეთოდი, რომლებიც დაკავშირებულია პედაგოგიური მოვლენების ფორმალიზაციასთან, აღმოჩნდა ამ საქმისათვის უვარგისი. კვლევის რაციონალური მეთოდები არაა საკმარისი, ისინი ვერ სწვდებიან

ზემოაღნიშნული თვისებებისა და პროცესების არსში. აქ მიზანშეწონილად მიგვაჩნია, მიგმართოთ საკითხის შესწავლის პერმენევტიკულ საშუალებებს.

გამოყენებითი ლიტერატურა

1. სამაგიდო წიგნი მასწავლებლებისათვის. ვებგვართ, ვატასებთ. ობ., 2005.
2. ეროვნული სასწავლო გეგმა და მისი საგნობრივი პროგრამები. ობ., 2005.
3. განათლების ფსიქოლოგია. რედ. მ. ჯაფარიძე. ობ., 2005

Levan Jinjikhadze
Associate Professor

Basic Guide of Georgian Language and Literature Teaching

In this article there is underlined great significance of Georgian Language and Literature on each stage of development of our Nation. Hence it follows, that the main reference point of teaching Georgian Language and Literature stands out, because its development is necessary condition for Nation's nobility. On the basis of this, critical thoughts are considered as the process of creative integration, the process of renewal conceptualization and elaboration of concepts and information are considered. Here dominates golden didactical formula: “ If you want to remember – you ‘ll forget, if you want to know, - you’ll remember” .

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სრული პროფესორი
ჯემალ ჯინჯიხაძე

მათემატიკური მეტყველების განვითარება
დაწყებითი სკოლაში

მეტყველება არის ენის მეშვეობით ადამიანთა ურთიერთობის ისტორიულად ჩამოყალიბებული ფორმა. ადამიანთა ურთიერთობა ენისა და მეტყველების გარეშე შეუძლებელია. ენა არის ამ ურთიერთობის ფონეტიკურ, ლექსიკურ და გრამატიკულ საშუალებათა სისტემა, მეტყველება კი - ურთიერთობის ფორმა ანუ პროცესი (კომუნიკაციები). ენა და მეტყველება მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან. ეს კავშირი ორგორც ისტორიული, ისე ფუნქციონალურიცაა; ისინი ზემოქმედებენ ერთმანეთზე და განაპირობებენ ერთმანეთის განვითარებას, თუმცა, ენა მეტყველების საფუძველია.

ადამიანები ურთიერთობისას ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ აზრებს, გრძნობებს, სურვილებს. მაგრამ, ამასთან ერთად, ისინი ზემოქმედებენ ერთმანეთზე - უბრძანებენ, თხოვენ და ა. შ. ამის მიხედვით განასხვავებენ მეტყველების ორ ძირითად ფუნქციას.

მეტყველება აზრის გამოხატვის საშუალებაცაა და ამით იგი ხდება ადამიანის აზროვნების ძირითადი მექანიზმი.

მეტყველებით ურთიერთობაში მონაწილეობს ორი მხარე - მოლაპარაკე და მსმენელი. ამის შესაბამისად მეტყველებითი ურთიერთობები შეიძლება ორმხრივ იქნეს განხილული: ორგორც სიტყვის წარმოთქმა, აზრის გამოხატვა, ახსნა და ორგორც ამ წარმოთქმულის, გამოხატული აზრის, ახსნის აღქმა და გაგება.

მეტყველების აღქმისას ურთიერთზემოქმედებენ სხვადასხვა ანალიზატორები (სმენითი, მხატვრობითი, მამოძრავებელი). ამ შემთხვევაში სმენითი აღქმა

უკავშირდება მოლაპარაკის მიმიკისა და პანტომიმიკის მხედველობით აღქმასა და იმ კინესინთეზურ შეგრძნებას, რომელიც აღმოცენდება საკუთარი სამეტყველო ორგანოების დაძაბვისას სხვისი მეტყველების მოსმენის შედეგად.

აღქმასა და გაგებას შორის დიდი განსხვავებაა. აღქმა არის ენის მატერიალურ საშუალებათა ანალიზისა და სინთეზის პირველი დონე, გაგება კი უფრო მაღალი დონეა. აქ ხორციელდება გამონათქვამთა ანალიზი და სინთეზი მათი მნიშვნელობისა და შინაარსის თვალსაზრისით. მაგრამ გაგება არ არსებობს აღქმის გარეშე. ამიტომ ეს ორი პროცესი უნდა განიხილებოდეს ერთ მთლიანობაში.

უნარი იმისა, რომ მკაფიოდ, ცხადად, გამართულად ჩამოაყალიბოს თავისი აზრები, სჭირდება ყველას, განურჩევლად ყველას. მეტყველების სიწმინდის, სისწორის, გამომხატველობითობის დაცვისათვის ზრუნვა ყოველთვის ევალებოდა და დღესაც ევალება ყველა სასწავლო საგნის მასწავლებელს. სწავლების ამ სფეროში განსაკუთრებული წვლილის შეტანა შეუძლია მათემატიკას. საზოგადოდაც ცხადია, რომ მათემატიკური აზროვნება აზროვნების უმაღლესი ფორმაა.

ნებისმიერ მათემატიკურ თეორიაში საკუთრივ მათემატიკური შინაარსი და ამ შინაარსის აგების ლიგიკა ენის ორ კომპონენტში აისახება:

- მათემატიკური ტერმინები და სიმბოლოები, რომლებსაც აღნიშნავენ ამ თეორიაში შესასწავლ ობიექტებსა და მიმართებებს, შეადგენენ ამ თეორიის ენას.
- ლოგიკური ტერმინები და სიმბოლოები, რომლებიც აღნიშნავენ ლოგიკურ კავშირებსა და ოპერაციებს, შეადგენენ ამ თეორიის ლოგიკურ ენას. ამასთან, ლოგიკური კავშირებისა და ოპერაციების საშუალებით ხდება თეორიის წინადაღებათა კონსტრუირება და ერთი წინადაღებიდან გამოიყვანება სხვები.

ეს ორი კომპონენტი ბევრი რამით ჰგავს ერთმანეთს. ისინი მჭიდროდაა გადახლართული ერთმანეთში ყოველი

მათემატიკური წინადადებისა თუ ყოველი მსჯელობის შიგნით. ისინი ქმნიან ერთიან ენას.

მათემატიკური ენა - ეს არის ერთობლიობა ყველა იმ საშუალებისა, რომელთა მეშვეობით შეიძლება მათემატიკური შინაარსის გამოხატვა. ასეთ საშუალებებს მიეკუთვნება მათემატიკური ტერმინები, სიმბოლოები, სქემები, გრაფიკები, დიაგრამები და სხვ. მაგრამ განსაკუთრებითაა აღსანიშნავი ის გარემოება, რომ ქართველოთათვის მათემატიკა ქართულ ენაზეა ამეტყველებული და ამდენად, ქართული, როგორც მშობლიური, ენის ყველა წესი, კანონი თუ კანონზომიერება მათემატიკური მეტყველების საკუთრივ ორგანულ ნაწილად უნდა მივიჩნიოთ. ამასთან, ქართული ენა - ეს ის სამყაროა, სადაც იფურჩქნება და მწყობრ სისტემად ყალიბდება მოსწავლის მათემატიკური აზროვნება, რომელიც სავსეა დათავისუფებით მშვენიერებით, შეუდარებელი სილამაზით, წარმოსახვითი თუ პოეტური სახეებით, მუსიკალობითა და ფერწერული გამომხატველობით.

მათემატიკური ენის შეწავლისადმი არსებობს ორი მიღება: სემანტიკური და სინტაქსური.

სემანტიკა სწავლობს ნიშნებს, ენის გამოხატულებებს მათი აზრობრივი მნიშვნელობის, აღსანიშნავი ობიექტისადმი მათი მიმართების თვალსაზრისით. სემანტიკა განსაზღვრავს ყოველი მათემატიკური ნიშნის აზრობრივ მნიშვნელობას.

სინტაქსი სწავლობს ენობრივ გამოხატულებათა აგების სისტორეს მათი აზრობრივი მნიშვნელობებისაგან დამოუკიდებლად. მათემატიკური სინტაქსი ადგენს გამოსახულებებში ტოლობებებში შიმათემატიკური ენის სხვა წინადადებებში მათემატიკური ნიშნების გამოყენების წესებს.

მათემატიკური ენის აგებისა და შესწავლისადმი ორი, ზემოთ დახასიათებული, მიღების შეხამება ნიშნავს, რომ ამ ენის გრამატიკული წესები, მათემატიკური და ლოგიკური ნიშნებისაგან შექმნილი კონსტრუქციები უნდა აიხსნას სემანტიკურად, მათ შორის იმ შემთხვევებშიც, როცა

ისინი ჩამოყალიბებულია როგორც სინგაქსური.

სემანტიკური და სინგაქსური მიმართებები უნდა იქნეს განხილული შეთავსების იმ სასწავლო მოდგაწეობასთან (მოქმედიანობასთან), რომელიც მათ შეთვისებაზეა ორი-ენტირებული. ამიტომ მათემატიკური ენის ათვისების ფსიქოლოგიურ საფუძვლად შეგვიძლია მივიღოთ სწავლისა და განვითარების ცნობილი თეორიები. ნებისმიერი სასწავლო მოქმედიანობა შედგება მოქმედებისაგან, მოქმედებები კი - ოპერაციებისაგან. მოქმედების შესრულების შეძლებას - უნარს უწოდებენ, ხოლო ოპერაციის ავტომატურად შესრულების შეძლებას - ჩვევას. შესაბამისად, მეტყველებითი ჩვევა - ეს არის ავტომატიზმამდე დაყვანილი მეტყველებითი ოპერაცია; მეტყველებითი უნარი - ეს არის ურთიერთობების სხვადასხვა სიტუაციებში შეძენილი ცოდნისა და ჩვევების გამოყენების შეძლება.

მათემატიკური ენის ფორმირება მიმდინარეობს ეტაპობრივად:

1. საგანთა არსებითი და არაარსებითი ნიშნებით ოპერირება.
2. კლასიფიკაციის ლოგიკური მოქმედებების ფლობა.
3. გვარისა და სახეობითი განსხვავების მიხედვით ცნების განსაზღვრის შეძლება.
4. ლოგიკური კავშირებით ოპერირება (“არ”, “და”, “ან”)
5. კვანტორებით ოპერირება (“ყველა”, “ზოგიერთი”, “ყოველი”, “ნებისმიერი”)
6. უმარტივესი დასკვნების გამოტანის შეძლება.

კულტურული ადამიანის ენა (მეტყველება) უნდა იყოს გრამატიკულად სწორი და შინაარსიანი, ლექსიკურად მდიდარი და ზუსტი, ლოგიკურად გაბმული და თანამიმდევრული, ცოცხალი და გამომხატველი.

მოზარდის მეტყველების კულტურის განვითარება სკოლის პირდაპირი და ფრიად საპასუხისმგებლო ამოცანაა. ამ ამოცანის გადაწყვეტაში დიდი როლი უნდა ითამაშოს მათემატიკის დაწყებითი კურსის სწავლების პროცესმაც.

აქ ლაპარაკია მოსწავლეთა მათემატიკური მეტყველების განვითარებაზე. საერთოდ, მათემატიკური მეტყველება თავისი მოცულობით და შინაარსით, როგორც ვთქვით, ბევრ რამეს მოიცავს, მაგრამ დაწყებით სკოლაში მეტყველების განვითარების მხრივ ნაბიჯებზეა ლაპარაკი.

დაწყებით სკოლაში, მოსწავლის მათემატიკური მეტყველების განვითარებაზე მუშაობისას, მასწავლებელი უნდა დაეყრდნოს ქართული ენის სწავლების მეორდიკას, გაითვალისწინოს მათემატიკის სწავლების თავისებურებანი და მოსწავლის მათემატიკური მეტყველების განვითარება უნდა წარმართოს შემდეგი მიმართულებებით:

- მუშაობა მათემატიკური მეტყველების ბგერით მხარეზე.
- სალექსიკონო მუშაობა მათემატიკურ ტერმინებზე.
- მათემატიკური მეტყველების კულტურის ფორმირება.
- გაბმული მათემატიკური მეტყველების განვითარება.

მუშაობის მთელ სისტემაში მუდმივი და თანამიმდევრული ყურადღებაა საჭირო როგორც ორთოეპიის, ისე ორთოგრაფიის მიმართ.

განვიხილოთ სასწავლო მუშაობის ზოგიერთი მიმართულება, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეთა მათემატიკური მეტყველების განვითარებას.

I. მათემატიკურ ტერმინებზე მუშაობა მეტად მნიშვნელოვანი საკითხია, მოსწავლემ უმეცდომოდ უნდა იცოდეს არითმეტიკულ მოქმედებათა კომპონენტებისა და შედეგების სახელწოდებანი, როგორიცაა: შეკრებისას - პირველი შესაკრები, მეორე შესაკრები, ჯამი; გამოკლებისას - საკლები, მაკლები, სხვაობა; გამრავლებისას - სამრავლი, მამრავლი, აგრეთვე, პირველი თანამამრავლი, მეორე თანამამრავლი, ნამრავლი; გაყოფისას - გასაყოფი, გაყოფი, განაყოფი. მოსწავლემ უნდა იცოდეს არითმეტიკულ მოქმედებათა წაკითხვა, იცნობდეს მათ ნიშნებს და შეეძლოს

მათი გამოყენება სასწავლო პრაქტიკული მოქმედებისას. მას უნდა შეეძლოს სათანადო კონტექსტში გამოიყენოს ტერმინთა ქართული სინონომები, როგორიცაა: პლუს, მივუმატოთ, შევკრიბოთ და ა. შ.

სათანადო უურადღება უნდა მიექცეს მოსწავლეთა მიერ გეომეტრიული ფიგურების დასახელებათა შესწავლას.

მოსწავლეს უნდა შეეძლოს ფიგურის ჩვენებისას დაასახელოს ფიგურა. მას უნდა შეეძლოს, აგრეთვე, ფიგურათა გამოხაზვა.

ტერმინები ზემოთ აღნიშნულის გარდა მათემატიკის დაწესებით კურსში კიდევ მრავალია. ყველა ტერმინის დამუშავება, სათანადო პრაქტიკული სავარჯიშოების განხილვით, უნდა მიმდინარეობდეს შეგნებულობის მაღალ დონეზე.

განვიხილოთ ზოგიერთი სავარჯიშო

1. წაიკითხეთ ტერმინები, ახსენით მათი მნიშვნელობები, გამოყვით არსებითი და ზედსართავი სახელები: გამოსახულება; მაკლები; სათანრიგო ერთეულები; რიცხვების ნამრავლი; ტოლფერდა სამკუთხედი, შედგენილი რიცხვი, ბრტყელი ფიგურა.

2. მათემატიკური ტერმინების გამოყენებით წაიკითხეთ გამოსახულებები: $(28 + 16) : 4; 17+8 \cdot (25 - 12); 72 - 42 : 6$.

3. წაიკითხეთ გამოსახულებები სხვადსხვანაირად: $16 + 43; 59 - 12; 15 \cdot 8; 72 : 12$.

4. სწორია თუ არა გამონათქვამთა ასეთი წაკითხვა:

• ნამრავლი 5 და 3 ნაკლებია ნამრავლზე 6 და 4.

• ჯამი 5 და 9 შეამცირეს 3-ით, მიიღეს 42.

• 12-ისა და 37-ის ჯამი კენტი რიცხვია.

5. ჩასვით გამოტოვებული ასოები: ნუმ*რაცია; მან*ილი, *ახნავი; დ*აგ*ნ*ლი; გამყო*ფი; თა*რიგი.

6. ადადგინეთ გამონათქვამები:

• თუ შევაერთებთ ორ რიცხვს • • • ნიშნით, მივიდებთ რიცხვით • • •

- ტოლგევრდა სამკუთხედის • • • ტოლია.
7. ადადგინეთ გამონათქვამი გაბნეული სიტყვებით: რომ, და, ათეულს, ხუთის, მივიღებთ, ორ, თორმეტი, მივუმა-ტოთ, ჯამს, სამისა.
 8. იპოვეთ შეცდომები: ტოლობა, განტოლობა, უტოლობა, ბრჩებილები, ცენტრარული კუთხე, შინჯვის ხერხი, სიგ-ძე, კვადრატური.

მსგავსი მაგალითების მოყვანა ძნელი არ არის. მთავრი ის არის, რომ მათემატიკური მეტყველების განვითარებაზე მუშაობა მიმდინარეობს ისევე, როგორც მშობლიურ ენაში, მხოლოდ - აქ მათემატიკური შინაარსის მასალები იქნება გამოსაყენებელი.

II. ცნებათა განსაზღვრაზე მუშაობისას, სათანადო ტერ-მინებთან დაკავშირებით, არანაკლები ყურადღება უნდა მიექცეს. თუმცა, მართალია დაწყებით სკოლაში მეტი ყურა-დღება ექცევა პრაქტიკულ მხარეს. მაგალითად, თუ ბავშვმა მართკუთხა სამკუთხედის განსაზღვრა იცის, მაგრამ არ შეუძლია ასეთი სამკუთხედის არც ჩვენება, არც დახაზვა, ეს ცუდია: ასეთი ცოდნა არავის არ სჭირდება. თუ მას შეუძლია ფიგურის დახაზვა და ჩვენება, მაგრამ არ იცის განსაზღვრა, ეს ცუდი არ არის, მაგრამ უმჯობესია, იცოდეს ორივე ერთად. დაწყებით სკოლაში ყველა ცნება, რომელიც ისწავლება, არ განისაზღვრება. ზოგიერთი განსაზღვრა ბავშვებისათვის ამ ასაკში ნაადრევია.

III. როგორც ვიცით, მათემატიკის დაწყებითი კურსის თეორიული საფუძველი სიმრავლეთა თეორიის ელემენ-ტებია. სწორედ ამიტომაა გამოყენებული სიმრავლეები დიდაქტიკური მასალის სახით. ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ მოსწავლეთა მათემატიკურ მეტყველე-ბას ამდიდრებს ისეთი ქართული სიტყვების შეთვისება, რომლებიც გარკვეულ საგანთა სიმრავლეს აღნიშნავს. მაგალითისათვის მოვიყვანოთ ერთი სავარჯიშო

1. რა ეწოდება სიმრავლეს:

ცნებისას? (რემა), მსხვილფეხა რქოსანი საქონლისას?

(ნახირი), ცხვრებისას? (ფარა), თხებისას? (არვე), დორებისას? (კოლტი), მტაცებელ ცხოველთა? (ხროვა), ფრინველთა? (გუნდი), გზაზე მიმავალი დატვირთული მანქანებისას? (აღალი), უდაბნოში მიმავალი აქლემებისას? (ქარავანი), მეომართა? (ჯარი), გემის მომსახურე პირთა? (ეკიპაჟი).

2. რა ეწოდება შეკვრაში სიმრავლეს:

ჩალისას? (კონა), პურისას? (ძნა), მომკილი პურისას, რაც ერთ ხელში დაიჭირება? (ხელეური), შეშისას? (გუდურა), ჩირისას? (ასხმულა, აცმა), გასაღებებისას? (ასხმულა, აცმა), ყურძნისას? (ჯაგანი), ყვავილებისას? (თაიგული), ხახვის ან ნივრისას? (გალა), ისართა? (ქეში), ბლისა? (კუნწული), ეკლისა, ძებვისა? (ჯარჯი), გიშრისა, ქარვისა? (კრიალოსანი), ჭიქის მარცვალთა? (ქარასტა), მარგალიტისა? (შადა), ლალისა? (ჩანჩხურა), თამბაქოს ხმელი ფოთლებისა? (ავანგი), ბალახეულის კონა, რომელსაც უდებენ აბრეშუმის ჭიას პარკის გასაკეთებლად? (ცახი).

IV. კონტრმაგალითის მოყვანა. მოსწავლეთა მათემატიკური მეტყველების განვითარებაში მეტად ეფექტურია კონტრმაგალითის მოყვანა მასწავლებლის მიერ. ვთქვათ, მაგალითად, მასწავლებელმა კლასს დაუსვა კითხვა: როგორ სამკუთხედს ეწოდება მახვილკუთხა? მოსწავლემ მისცა პასუხი: სამკუთხედს, რომელსაც გააჩნია მახვილი კუთხე, ეწოდება მახვილკუთხა სამკუთხედი. ასეთ შემთხვევაში ეფექტი არა აქვს მასწავლებლის ფრაზას: არ არის სწორი! უმჯობესია, მან მოიყვანოს კონტრმაგალითი: დახაზოს დაფაზე მართკუთხა სამკუთხედი და უთხრას მოსწავლეს: აი, ამ სამკუთხედსაც გააჩნია მახვილი კუთხე. აქ მოსწავლის აზროვნება აქტუალიზირდება.

ამ ხერხის ხშირად გამოყენების შემდეგ მოსწავლეები თვითონ მიეჩვევიან კონტრმაგალითის მოყვანას.

V. მათემატიკური კარნაბის ჩატარება. მათემატიკური კარნაბის ჩატარების ორგანიზაციის საკითხები ჩვენ მიერ განხილულია ცალკე. აქ აღნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ მათემატიკური კარნაბი ხელს უწყობს მოსწავლის მათემა-

ტიპური მეტყველების განვითარებას თუნდაც იმით, რომ მასში მონაწილეობს მასწავლებლის დახვეწილი მეტყველება და ამ მეტყველების აღქმა, გაგება და გააზრება მოსწავლის მიერ.

VI. ლოგიკური სავარჯიშოების შერულება. ლოგიკური სავარჯიშოები, თუ ისინი მეთოდიკურად სწორი თანმიმდევრობითაა გამოყენებული, დიდად ავითარებს მოსწავლის ლოგიკურ აზროვნებას, ე. ი. მასთან ერთად მათემატიკურ მეტყველებასაც. ლოგიკური სავარჯიშოს შესრულება მოითხოვს ყურადღების მობილიზებასა და მწყობრ, მოწერიგებულ მსჯელობას.

მოვიყვანოთ ერთი მაგალითი.

ჩასვით ნიშანი “პლუსი” შემდეგ ციფრებს შორის 1, 2, 3, 4, 5, 6, 7 ისე, რომ ჯამი უდრიდეს 100-ს.

ეს სავარჯიშო ლოგიკური ხასიათისაა. მართალია, იგი მოითხოვს სინჯვის ხერხის გამოყენებას და სინჯვას მსჯელობა არა სჭირდება, მაგრამ, როცა მოსწავლე პირველი სინჯვისას ჩასვამს შეკრების ნიშნებს ციფრებს შორის და მიიღებს 100-ზე ნაკლებ ან მეტ მნიშვნელობას, მაშინ შემოდის მსჯელობა; მოსწავლე ფიქრობს, თუ როგორ მოიქცეს შემდეგი სინჯვის დროს. საბოლოოდ იგი დებულობს ორ პასუხს:

$$1 + 2 + 34 + 56 + 7 = 100,$$

$$1 + 23 + 4 + 5 + 67 = 100.$$

რის შემდეგაც ისევ სინჯვითა და მსჯელობით, ამტკიცებს, რომ სხვა პასუხი არ შეიძლება არსებობდეს.

VI. სახელმძღვანელოზე მუშაობა. მათემატიკის დაწყებითი კურსის სწავლების პროცესში დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს გაკვეთილზე სახელმძღვანელოს სწორად გამოყენების საკითხს. თითოეული მაგალითისა თუ ამოცანის წაკითხვა უნდა ატარებდეს სწავლებით ხასიათს, რომ არაფერი ვთქვათ სურათებზე პირველკლასელთათვის. ამოცანაში არ უნდა იქნეს დატოვებული არც ერთი გაუგებარი სიტყვა. მასწავლებლისა და მოსწავლეთა დიალო-

გი, რომელიც ხშირად მიმდინარეობს სახელმძღვანელოს მიხედვით, უნდა აიგოს და წარიმართოს ისე, რომ იგი ხელს უწყობდეს სასწავლო პროცესის სხვა მხარესთან ერთად მოსწავლეთა მათემატიკური მეტყველების განვითარებას.

გამოყენებითი ლიტერატურა

1. ჯემალ ჯინჯიხაძე. დაწყებით სკოლაში მათემატიკის სწავლების მეთოდიკა. თბილისი, 1990.
2. Н. Д. Десяева, Т. А. Лебедева, Л. В. Ассуирова. Культура речи педагога. М., 2003.
3. А. В. Белошистая. Методика обучения математики в начальной школе. М., 2007.
4. Н. Б. Истомина. Методика обучения математики в начальных классах. М., 2002.
5. Н. Л. Стефанова и др. Методика и технология обучения математике. М., 2005.
6. В. А. Гусев. Психолого-педагогические основы обучения математике. М., 2003.

Jemal Jinjikhadze
Full Professor

Development of Mathematic Speech in Elementary School

In this work methodic questions of Mathematic Speech Development is considered. This issue is not still paid due attention not in Mathematic-methodic literature nor in educational process. There is represented importance of mathematical language and Mathematic speech in development of Mathematic thinking and the issues of mathematic teaching methods are processed according to logical questions of teaching methodology developed by the logical stages of mathematical language.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების
სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის
მეცნიერ-თანამშრომელი,
პედაგოგიკის დოქტორი
ნანა მაისურაძე

სასრავლო ტექსტის სირთულე და მისი
დაძლევის პედაგოგიკური ტექნიკობიექტი

სასწავლო შემცნებით პროცესში დიდი მნიშვნელობა აქვს ცოდნის გადაცემას, რომელიც ძირითადად ხორციელდება სახელმძღვანელოს სასწავლო ტექსტის საფუძველზე.
აზროვნების განვითარების პრობლემა მთავარია სწავლების პროცესში. ცოდნის გადაცემისა და შეთვისების მეთოდიკურმა სისტემაზ უნდა უზრუნველყოს მისი განვითარება, აზროვნებას უნდა მიჰყავდეს ცოდნა, რაც აუცილებელია შემოქმედებითი აზროვნების განვითარებისათვის. პედაგოგიური კვლევის შედეგად მოპოვებული მასალების საფუძვლებზე დადგინდა, რომ სკოლაში მეცნიერების საფუძვლების შესწავლისას მოსწავლე ბევრ სიძნელეს აწყვდება, რაც განსაკუთრებულად იჩენს თავს მეცნიერული ენის დაუფლებისას. ამას მოგახსენებთ მეცნიერების ერთერთი დარგის ფიზიკის მაგალითზე.

სასკოლო ფიზიკური განათლების სრულყოფა იყო და რჩება განათლების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემად, რაც ხაზგასმით აღნიშნა ქვეყნის პრეზიდენტმა თავის ერთ-ერთ ბოლო გამოსვლაში. დაწყებითი სკოლა, როგორც მოგეხსენებათ, ექვსწლიანი გახდა და დაწყებით საფეხურზე საფუძველი უნდა ჩაეყაროს მოსწავლის შემოქმედებითი და გარემოსადმი სწორი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას. განსაკუთრებით მწვავედ დგას ფიზიკური აზროვნების ჩამოყალიბება-განვითარების, ფიზიკური ენის დაუფლების საკითხი. სკოლაში ფიზიკის შესწავლა გარდამავალ ასაგში იწყება და საკითხი მთელი სიგრძე-სიგან-

ით წარმოჩინდება ფიზიკის სწავლების I საფეხურზე, მის დაწყებით ეტაპზე. თუ ამ ასაკის მოსწავლეებს თავიდანვე არ ჩამოუყალიბდათ ფიზიკური აზროვნება სათანადო ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეძენის საფუძველზე, შემდგომ ამის გაკეთება პრაკტიკულად შეუძლებელია. სამწუხაროდ, ფიზიკის სწავლების მეთოდიკა, არსებული სახელმძღვანელოები ამ პრობლემის გადაჭრას სათანადოდ არ უწყობს ხელს, არ ითვალისწინებენ 12-13 წლის გარდამავალი ასაკის მოსწავლეების ასაკობრივ თავისებურებებს, ფიზიკური აზროვნების სპეციფიკას. მაგალითად, ჩვენი გამოკვლევით დავრწმუნდით, რომ ამ ასაკის მოსწავლეები დამოუკიდებელი ფიზიკური აზროვნებისას, ფიზიკურ ენაზე მეტყველებისას, როგორც წესი, ვერ იყენებენ გრძელი 9-10-ზე მეტ სიტყვიან წინადადებებს. ყველაზე ხშირად კი 5-6 სიტყვიანი წინადადებებით სარგებლობენ. ეს თავისებურება არ არის გათვალისწინებული სასწავლო ლიტერატურაში. ამ ასაკის მოსწავლეებს საკმარისად აქვთ განვითარებული ლიტერატურულ ენაზე მეტყველება, ხოლო რაც შეეხება ფიზიკურ ენას, ამას ვერ ვიტყვით. მოსწავლეთა მნიშვნელოვანი ნაწილი ფაქტობრივად ფიზიკურ ენაზე ვერ მეტყველებს.

საინტერესოა, როგორია VII-VIII კლასის მოსწავლეთა ფიზიკური აზროვნების თავისებურება წინადადების სირთულის მიხედვით ?

დაკვირვებისათვის შემოვიდეთ პირობითი დაყოფა მოკლე და გრძელ წინადადებად. პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ოპტიმალურია მოკლედ ჩავთვალოთ წინადადება, რომელიც არა უმეტეს 8-9 სიტყვას შეიცავს. მოკლე წინადადების ძირითადი სახეებია: მარტივი გაუკრცობილი, მარტივი გავრცობილი, შერწყმული და რთული თანწყობილი წინადადებები. ჩვენმა პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ გრძელი წინადადებები (სიტყვათა რიცხვი 8-ს აღემატება) პირობითად შეიძლება დაგყოთ “ადვილადკითხვად” და “ძნელადკითხვად” წინადადებად. პირველს განვაკუთნოთ შემდეგი სახის

წინადადებები: მარტივი გაუგრცობელი, რთული თანწყობილი (და, ან, ანუ, ესე იგი, თუ-კავშირები), რთული ქვეწყობილი (რომ, იმიტომ რომ, ასე რომ-კავშირებით). მაგალითად, “ადვილადკითხვადი” წინადადების ნიმუშია: “გათბობისას სხეულზე გადაცემული სითბოს რაოდენობა იმაზეცაა დამოკიდებული, თუ რა ნივთიერებისგან შედგება სხეული”. “ძნელკითხვადს” განვაკუთნოთ შემდეგი სახის წინადადებები: მარტივი გავრცობილი, რთული თანწყობილი, რთული ქვეწყობილი. “ძნელადკითხვად” წინადადებათა მაგალითებია: “სხეულის გასათბობად საჭირო ან მის გაცივებისას გამოყოფილი სითბოს რაოდენობის გამოსათვლელად ნივთიერების კუთრი სითბოტეგადობა უნდა გავამრავლოთ სხეულის მასაზე და მისი უდიდესი ტემპერატურისა და უმცირესი ტემპერატურის სხვაობაზე”; ან თუ სხეულთა ზედაპირები კარგადაა გაპრიალებული, მაშინ შეხებისას მათი მოლეკულების ნაწილი იმდენად ახლოს განლაგდება ერთიმეროვთან, რომ საგრძნობლად იჩენს თავს მიზიდულობა მიმხები სხეულების მოლეკულთა შორის”.

წინადადებები აღებულია VII-VIII კლასების სახელმძღვანელოებიდან.

განვიხილოთ პედაგოგიური ექსპერიმენტის შედეგები. ექსპერიმენტი ჩატარდა სხვადასხვა სკოლის VII-VIII კლასებში სხვადასხვა დროს. მოსწავლეებს ვაძლევდით საკონტროლო სამუშაოებს, რომლებიც შეიცავდა სამი ტიპის კითხვას. ეს კითხვები შეძლებისდაგვარად ერთნაირი სირთულის შევადგინეთ და ისინი მოითხოვდნენ გავრციბილ პასუხებს, რაც ამნელებდა მოკლე წინადადების გამოყენებას. I ტიპის კითხვა შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეს პასუხი გასცეს წიგნის მზა წინადადების მიხედვით, ხოლო II ტიპის კითხვა-ამოკრიფოს შინაარსიდან ძირითადად მზა წინადადებები ერთმანეთთან დაკავშირებით. III ტიპის კითხვა მოითხოვს დამოუკიდებელი პასუხის გაცემას, ე. ი. სცილდება პარაგრაფის უშეალო შინაარსს,

მაგრამ მისგან გამომდინარეობს. ცხადია, პირველი ორი ტიპის კითხვაზეც შეუძლია მოსწავლეს დამოუკიდებელი პასუხის გაცემა, როგორც ამბობენ, თავისი სიტყვებით.

ნიმუშის სახით მოვიყვან მაგალითს. პარაგრაფი “ხახუნის ძალა” VII კლასის სახელმძღვანელოდან.

I ტიპის კითხვა – რას ეწოდება ხახუნის ძალა?

II ტიპის კითხვა – როგორ ამცირებს საპონის ფენა ხახუნის ძალას?

III ტიპის კითხვა – იატაგზე მერხის გასრიალებისთვის საჭიროა მნიშვნელოვანი სიდიდის ძალა. ახსენით I ტიპის კითხვაზე პასუხი მზა სახით არის მოცემული სახელმძღვანელოს ტექსტში და ის შემდეგია: “ძალას, რომელიც წარმოიქმნება ერთი სხეულის ზედაპირზე მეორის მოძრაობისას და მიმართულია მოძრაობის მიმართულების საპირისპიროდ, ხახუნის ძალა ეწოდება”.

II ტიპის კითხვაზე პასუხი ტექსტის შინაარსიდან არის ამოსაკრეფი. “საპონის ფენა აცალკევებს ზედაპირს. ახლა სრიალებენ საპონის ფენები. მათი ხახუნი უფრო სუსტია, ვიდრე ზედაპირების”.

III ტიპის კითხვაზე კი საჭიროა დამოუკიდებელი პასუხის გაცემა. მაგალითად, მოსწავლეები პასუხობენ შემდეგნაირად: “იმიტომ რომ, ხახუნის ძალაა”.

საკონტროლო სამუშაოთა შედეგებმა აჩვენა, რომ I ტიპის კითხვაზე სწორ პასუხებში გვხდება საკმარისად გრძელი (16 სიტყვიანი და მეტი) და რთული წინადადებები, რადგან აქ გამოყენებულია მზამზარეული წინადადებები წიგნიდან. ეს კი ნიშნავს იმას, რომ ამ პასუხებში მესხიერება დომინირებს აზროვნებაზე, მოსწავლეები “სხვისი” წინადადებით მეტყველებებ; II ტიპის კითხვაზე სწორ პასუხებში ასეთი წინადადებების რაოდენობა საგრძნობლად მცირდება (აქ სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა 12-ს წარმოადგენს), მაგრამ მაინც გვხდება და მეტწილად იმეორებს წიგნის მზა წინადადებებს. I და II ტიპის კითხვებზე სწორი დამოუკიდებელი პასუხების რაოდენობა უმნიშვნელოა და

ისინი არ ცვლიან საერთო სურათს. III ტიპის კითხვებზე კი სწორ დამოუკიდებელ პასუხებში იშვიათად გვხდება გრძელი წინადადებები. მაქსიმუმი მოდის 4-5 სიტყვიან წინადადებაზე. 10 სიტყვაზე მეტი სიტყვიანი წინადადებები კი საერთოდ არ გვხდება.

პედაგოგიკური ექსპერიმენტის შედეგების ანალიზმა გვიჩვენა, რომ პასუხების მოკლე წინადადებებში სახეების მიხედვით ძირითადად მარტივი წინადადებები (61%) გვხდება. მოულოდნელი აღმოჩენდა, რომ მცირეა შერწყმული წინადადებათა წილი (3%). გვხდება როგორც რთული ოანწყობილი (18%), ასევე რთული ქვეწყობილი (18%) წინადადებებიც. რაც შეეხება გრძელ წინადადებებს სწორ დამოუკიდებელ პასუხებში, როგორც აღვნიშნეთ, ისინი იშვიათია, მაგრამ შესაძლებლობას იძლევა გარკვეული დასკვნების გაკეთებისთვის. ყველა მათგანი არ არის მოსწავლეთა მეტყველებისთვის ძნელი, სახელდობრ, გრძელი რთული ოანწყობილი წინადადებები და; ე. ი. მაკავშირებელი სიტყვებით “უბრალო ჯამია მოკლე მარტივი წინადადებებისა და “ადვილადკითხვადია”. მაგალითად, “ჭურჭელში მოთავსებული აირის წონა მცირეა და მისი წონით განპირობებული წნევა ხშირად შეიძლება არც კი გავითვალისწინოთ”. ასეთივეა ზოგიერთი ტიპის რთული ქვეწყობილი წინადადებაც (მაგალითად, იმიტომ რომ-ით დაქვემდებარებული). სახელდობრ, “მუშაობა არ სრულდება იმიტომ, რომ სხეული არ გადაადგილდება”.

სხვა სახის გრძელი წინადადებები “ძნელადკითხვადია”, მათ შორის მარტივი გავრცებილი მრავალი არამთავარი წევრით. მაგალითად, “ერთი წრფის გასწვრივ ურთიერთსაწინააღმდეგოდ მიმართული ორი ძალის ტოლქმედი მიმართულია მეტი მოდულის მქონე ძალის მხარეს”. ასეთი წინადადების გამოყენება მოსწავლეებს საქმაოდ უჭირთ. ეს წინადადება “ადვილადკითხვადი”, რომ გახდეს უმჯობესია მისი გამართვა შემდეგნაირად: “ერთი წრფის გასწვრივ ურთიერთსაწინააღმდეგოდ მიმართულია

ორი ძალა. მათი ტოლქმედი მიმართული იქნება მეტი მოდულის მქონე ძალის მხარეს”.

ამგვარად, მონაცემები გვაძლევს, რომ გარდამავალი ასაკის მოსწავლეებს დამოუკიდებელი ფიზიკური აზროვნება შეუძლიათ, როგორც წესი, არაუმეტეს 9-10 სიტყვიანი წინადაღებით (სხვადასხვა სახის). ძირითადად კი ისინი მეტყველებენ 5-6 სიტყვიანი წინადაღებით.

საინტერესოა, რომ არასწორი პასუხების სტატისტიკა იგივე სურათს იძლევა; სიტყვების რაოდენობა წინადაღებაში 8-9-ს არ აღემატება, ე. ი. მოსწავლეები საერთოდ ვერ იყენებენ მრავალსიტყვიან წინადაღებას.

ითვალისწინებენ თუ არა ფიზიკის სახელმძღვანელოები ფიზიკური ენის და აზროვნების ამ ასაკობრივ სპეციფიკას?

გაავანალიზეთ რამდენიმე სახელმძღვანელო. ყოველი კლასის სახელმძღვანელოდან პარაგრაფებს ვიღებდით შემთხვევითი შერჩევის ხერხით და ამონაკრების მოცულობა აღემატებოდა წიგნის მოცულობის მესამედს. ასეთი მიღვიმა სტატისტიკურ სურათს იძლევა მთელი წიგნისათვის. თითოეულ პარაგრაფში ვთოვლიდით გრძელი და მოკლე წინადაღებების რაოდენობას წინადაღებათა სახეების მიხედვით. მდგომარეობა ყველა სახელმძღვანელოსთვის დაახლოებით ერთნაირი გამოვიდა იმ თვალსაზრისით, რომ გრძელ წინადაღებათა წილი უზომოდ დიდია – აღემატება 50%-ს. თუ გავითვალისწინებთ, რომ გარდამავალ ასაკში ყველა გრძელი წინადაღება “ძნელადკითხვადი” არ არის – ძირითათად რთული ქვეწყობილი და გრძელი “ჩახლართული” მარტივი გავრცობილი წინადაღების გარდა – მაინც ძალზე არასახარბიერო სურათი გვრჩება.

წინადაღებაში სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა 32 – 34 – მდეა (?!), ხოლო სიხშირის მაქსიმუმი მოდის 8-9 სიტყვიან წინადაღებაზე.

სახელმძღვანელოთა ანალიზმა აჩვენა, რომ მოკლე წინადაღებაში შედის ძირითადად (58%), მნიშვნელოვანია

რთული თანწყობილი წინადადების წილიც (13%), ძალზე იშვიათია შერწყმულ წინადადებათა წილი (3%), საგრძნობია მოკლე რთული ქვეწყობილი წინადადების წილი (27%). სახელმძღვანელოთა სულ ცოტა 30% (რეალურად მეტი) დაწერილია ფიზიკური ენისა და აზროვნების განვითარებისთვის ხელ შემშლელი ენით-ასეთ გაკვეთილს მოსწავლეთა უმრავლესობა უბრალოდ ვერ მოყვება. ეს ნიშნავს, რომ მათ არ უყალიბდებათ ფიზიკური აზროვნება და ენა საფუძველშივე, შემდგომ კი ამის გაკვეთება შეუძლებელია. შედეგი კი ის არის, რომ, როგორც ამას მოსწავლეთა მრავალრიცხოვანი გამოკითხვა გვიჩვენებს, დიდი ნაწილისთვის ფიზიკა გაუგებარი და უინტერესო საგანია.

საინტერესოა, როგორ იცვლება მდგომარეობა ფიზიკის სწავლების II საფეხურზე (უფროსი ასაკობრივი ჯგუფი, 15-17 წლები)? ამ ასაკის მოსწავლეთა აზროვნება და მეტყველება მნიშვნელოვნად განვითარებულია, ვიდრე გარდამავლისა, მაგრამ სახელმძღვანელოთა ანალიზი მიგვითოვებს იმაზე, რომ ამ შემთხვევაშიც არ არის ფიზიკური ენის სპეციფიკა გათვალისწინებული.

რა თქმა უნდა, არ არის აუცილებელი მთელი სახელმძღვანელო მოკლე წინადადებით დაიწეროს, მაგრამ ზომიერი თანაფარდობა კი უნდა დავიცვათ, გრძელი და რთული წინადადებებიც უნდა გამოვიყენოთ, რომ ხელი შევუწყოთ მოსწავლეთა აზროვნების განვითარებას. მათი რაოდენობა არ უნდა იყოს დიდი. ჩვენი დაკვირვებით, გრძელ წინადადებათა წილი სასწავლო ტექსტში არ უნდა აღემატებოდეს დაახლოვებით 10%-ს, ამასთანავე ასეთ წინადადებათა აბსოლუტური უმრავლესობა უნდა იყოს “ადვილად კითხვადი”. სასურველია “ძნელ კითხვადი” გრძელი წინადადებები არ გამოვიყენოთ, მაგრამ როდესაც არ ხერხდება ამის დაცვა (მაგალითად, ზოგიერთი ფიზიკური განსაზღვრების ჩამოყალიბებისას), მათი წილი 2-3%-ს არ უნდა აღემატებოდეს.

საინტერესოა, რომ ეს მონაცემები კარგად ეთანხმება ინფორმაციის დამახსოვრების ზოგად ფორმულას 7+2. ეს ნიშნავს, რომ წინადადების საშუალო სიგრძეს განსაზღვრავს შინაგანი ოპერატიული მეხსიერება.

რომ არის ცუდი გრძელი წინადადება წინადადების სახისგან დამოუკიდებლად?

გერმანელი ლინგვისტების გამოკვლევით ნორმალურ, ზრდასრულ ადამიანთა მხოლოდ ნახევარს შეუძლია გაიგოს ფრაზა, რომელიც შედგება 13%-ზე მეტი სიტყვისაგან, ამსოდებურად ნორმალური, ზრდასრული ადამიანების მესამედ ნაწილს, როდესაც ის უსმენს წინადადების მე-14 და მომდევნო სიტყვებს, საერთოდ ავიწყდება მისი დასაწყისი. მკვლევართა დასკვნა ასეთია: თუ გინდა, რომ შენ გაგიგონ, არ უნდა წარმოთქვა გრძელი ფრაზები!

უნიკალური რუსო ბოდიშს უხდის მეგობარს, რომ დროის უქონლობის გამო ვრცელი წერილი მიწერა მას.

შორს წასვლა რად გვინდა, ჯერ კიდევ დიდი შოთა რუსთაველი ამბობდა “გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმისო”.

ამგვარად, გრძელი წინადადებით ნაწერი ტექსტის, მით უმეტეს ფიზიკურის, გასაგებად მოსწავლემ იგი რამდენჯერმე უნდა წაიკითხოს, რათა წინადადების ბოლოში ჩავიდეს. ეს კი ძალზე ართულებს წაკითხულის გაგებას. ასეთი ძნელად გასაგები წინადადებებით არის დაწერილი სასწავლო ტექსტის საშუალოდ 30% მაინც. გარდა ამისა, როგორც დაკვირვებამ აჩვენა, დამოუკიდებელ პასუხებში გარდამავალი ასაკის მოსწავლეები ასეთ გრძელ წინადადებებს ვერ იყენებენ. ამრიგად, მოსწავლე ასეთ გაკვეთილს პრაქტიკულად ვერ მოჰყვება, იგი ვერ ეუფლება ფიზიკურ ენაზე მეტყველებას. ესეც არის მიზეზი, რომ სკოლაში ფიზიკის სწავლების პრაქტიკიდან (და არა მხოლოდ ფიზიკისა), ამოვარდა გაკვეთილის მოყოლა. როგორც ჩანს, ჩვენ ყველა შევჭრიეთ სტანდარტულ ფიზიკურ ენაზე მეტყველებას, რომელიც მოზარდისთვის მძიმე და გაუგებარია და აუცილებელია მისი არსებითი

გადახალისება ფიზიკის ახალი, თანამედროვე ქართული სასკოლო სახელმძღვანელოების შესაქმნელად.

ხაზგასასმელია, რომ მოცემული რეკომენდაციები ეხება წინადადებაში სიტყვათა განაწილების სტატისტიკურ კანონზომიერებას, რომელიც ასაკობრივი თავისებურებებითაა განპირობებული, განხორციელება კი რჩება ინდივიდის (ავტორის) შემოქმედებით აქტად, რომელშიც მისი ნიჭი და შესაძლებლობა აისახება. საუკეთესო ნიმუშად გამოდგება ქართული ზღაპრები, რომლებიც მოკლე და ნათელი წინადადების საფუძველზე მრავალფეროვან მხატვრულ სამყაროს ქმნის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. 6. გოგიჩაიშვილი აზროვნებისა და მეტყველების ურთიერთმიმართების გენეზისი განვითარების პროცესში. ინტელექტი, 1999, №2. გვ. 251-253.
2. ლაჭაძე თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი. თბ., განათლება, 1988.
3. Вокруг света, 1984, №12, с.61.
4. ფიზიკის სასკოლო სახელმძღვანელოები (VII-VIII კლ.).

Sukhumi State University Scientific Research Institute of

Education

Doctor Eduard Nana Maisuradze

The work gives a comparatively analysis especially thought of teenagers and text of physics school-book. Theoretical aspects of this matter are worked out and some examples of their concrete realization are given.

სოხუმის სახემწიფო უნივერსიტეტი
განათლების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

მეცნიერება და სპოლა

სამეცნიერო-პედაგოგიკური

შრომების კრებული

I

მ ე ც ნ ი ს ა რ ე ბ ი ს ა რ ე ბ ი ს

თბილისი 2010

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო პედაგოგიური შრომების კრებული „მეცნიერება და სკოლა” მომავალ მასწავლებლებს: ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებს, დოქტორანტებს თავაზობს სპეციალურ გვერდს სახელწოდებით „მეცნიერების ბილიკი”. კრებულის მიზანია სტუდენტ-ახალგაზრდობას დაქმაროს პროფესიულ დაოსტატებაში. შეუქმნას შინაგანი შემეცნებითი მოტივაცია გარეგანი სტიმულის მეშვეობით. შეაყვაროს და შეაჩვიოს დამოუკიდებელ სასწალო-ინტელექტუალურ-პროდუქტიულ მუშაობას, გამოუმუშავოს პედაგოგიური კვლევის თეორიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევები. ისე დადებითად განაწყოს არჩეული პროფესიისადმი, თავისი შესაძლებლობებისადმი, რომ მიუხაროდეს სკოლაში შესვლა, როგორც მასწავლებელს.

ეს რომ მხოლოდ ოცნება არ არის, ამაში ერთხელ კიდევ მაშინ დავრწმუნდით, როცა I კურსის სტუდენტებს შევთავაზეთ სამეცნიერო კონფერენციაზე მონაწილეობა, აღუთქვით სათანადო ხელმძღვანელობა და მათ მიერ შესრულებული შრომების გამოქვეყნება. აღფრთოვანებულმა სტუდენტებმა შეთავაზებული შესაძლებლობა აღიძვეს როგორც სოციალურად დირებული პედაგოგიურ პროცესი და გამაღებით შეუდგნენ სამეცნიერო-კვლევით მუშაობას. ცხადია, გავითვალისწინეთ მათი სინორჩე ამ სფეროში და შემოვიფარგლეთ მარტივ რეფერატულ დონეზე მუშაობით. სხვებისთვასაც კი აღვილი დასახახი იყო, როგორი სერიოზულობით, პასუხისმგებლობითა და შემართებით მუშაობდნენ სტუდენტები და როგორ ხარობდნენ სამეცნიერო კონფერენციაზე წარმატებული გამოსვლით. ახლა წარმოიდგინეთ, თუ რა სიხარული და აღმაფრენა დაუუფლებათ მათ, როცა იხილავენ თავიანთ პირველ შრომებს პროფესორ-მასწავლებელთა გვერდით გსკი – ის სამეცნიერო პედაგოგიური შრომების კრებულის პირველ ნომერში გამოქვეყნებულს.

გულნაზ ხუხუა

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
განათლების ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი
თორნა გაბუნია
სამეცნიერო ხელმძღვანელი პროფ. გ. ხუხუა.

მასშავლებლის პროფესიის პიროვნული
და საზოგადოებრივი როლი და მნიშვნელობა

კაცობრიობის ისტორიაში მასწავლებელის პროფესიას გამორჩეული ადგილი უკავია. აროსდროს არავინ გამხდარა დიდი ადამიანი მასწავლებლის გარეშე. ანტიკური ხანის ბერძნი ფილოსოფოსები სოკრატე, პლატონი, არისტოტელე, პედაგოგიკის მეცნიერების ფუძემდებელი, I საუკუნის რომაელი მეცნიერ-პედაგოგი და ორატორი მარკუს ფაბიუს კვინტილიანე და სხვები საზოგადოების განვითარებას, ქვეყნის კულტურულ აღმავლობას მასწავლებლის სახელს უკავშირებდნენ. ი. გოგებაშვილი, ილია ჭავჭავაძე და სხვა რჩეული მამულუშვილები დიდ იმედებს ამჟარებდნენ მასწავლებლებზე ეროვნული კულტურის შენარჩუნებისა და განვითარებისათვის მზრუნველი თაობის მომზადების საქმეში.

პედაგოგის კლასიკოსებს კარგად ესმოდათ, მასწავლებლის როლი და მნიშვნელობა. ამიტომ ისინი არავითარ ეპითეტებს არ იშურებდნენ მისი სახელის სადიდებლად. მ. ფ. კვინტილიანე მასწავლებელს მხედარმთავარს ადარებს, იან ამოს კომენსკი - მზეს, ი. გოგებაშვილი მასწავლებელს სულიერ მოძღვარს უწოდებს. კ. უშინსკი აღნიშნავს, რომ „კელაფერი სკოლიდან იწყება, სკოლა კი მასწავლებლიდან“.

სკოლის ავტორიტეტი მასწავლებელის კვალიფიკაციაზე და მის პიროვნულ ღირსებაზეა დამოკიდებული. მასწავლებლის ღირსება კი მისი აღზრდილების ღირსებით განისაზღვრება.

ეს კი მე, როგორც მომავალ მასწავლებელს, მავალდებულებს სერიოზულად მოვეკიდო ჩემს პროფესიულ დაოსტატებას.

პედაგოგის სახელმძღვანელოში ისე გასაგებად არის განმარტებული მასწავლებლის ცნება, მისი პროფესიული არსი

და დანიშნულება, რომ მომავალ მასწავლებელს შეგნებულად განაწყობს არჩეული პროფესიისადმი. მაგალითად: „მასწავლებელი არის ოფიციალური პირი, რომელსაც მიღებული აქვს სპეციალური, უმაღლესი პედაგოგიური განათლება, აღჭურვილია სწავლებისა და აღზრდის თეორიითა და პრატიკით და კაცობრიობის მიერ დაგროვილი ცოდნა-გამოცდილების გარევეულ მარაგს გადასცემს ახალ თაობას, მისი დამოუკიდებელი შეგნებული ცხოვრებისათვის მომზადების მიზნით.” ამან და იმ ძირითად პედაგოგიურმა თვისებებმა, რაც მასწავლებელს უნდა ახასიათებდეს, ერთგვარი შიშიც კი მომგვარა, მაგრამ პედაგოგიკის ლექციების მოსმენისა და სათანადო პედაგოგიური ლიტერატურის შესწავლის შემდეგ ეს შიში პასუხისმგებლობაში გადავიდა. განსაკუთრებით მაშინ, როცა გავიგე, რომ ყვალდა ის მოთხოვნები, რასაც მასწავლებელს თავისი პროფესია უყენებს, მეცნიერულად დამუშავებული და პრაქტიკაში აპრობირებულია. მასწავლებელს ისდა დარჩენია, რომ კრგად დაუუფლოს მიღწეულს და მიჰყეს მისი განვითარების დინამიკას.

პედაგოგიკის მეცნიერებაში მასწავლებლისადმი პედაგოგიურ მოთხოვნებში (ქრისტიანული მორალი, თავისი საგნის ღრმად და მოსაზღვრე მეცნიერებათა საფუძვლების ცოდნა, ბავშვების სიყვარული, გადაცემის უნარი, საქმისადმი შემოქმედებითი მიღვიმის უნარი, ავტორიტეტი, სინდისი, ზნეობრივი და ესთეტიკური კულტურა, მეცნიერული და მხატვრული ქნა-მეტყველება, გარეგნული იერ-სახე - ჩაცმულობა, ვარცხნილობა, მიმკა, ინტონაცია, ჟესტიკულაცია, და ა. შ.) განსაკუთრებული აღგილი უკავია სიახლის შეგრძნების უნარს, რომელიც მასწავლებელს სულიერად აჯანსაღებს და აახალგაზრდავებს. მოძველებულსა და არქაულს - ვაითხულობთ პედაგოგიკურ ლიტერატურაში - ჩაჭიდებული მასწავლებელი კარგავს პედაგოგიურ ფუნქციას და ცხოვრებას ჩამორჩენილი „უკან მიღევნებული ლამპარივით” (ს. ლობელიანი) იქნება. როგორც ვ. აფრიდონიძე წერს, მასწავლებლის ცოცხალ სიტყვას, როგორც მთავარ პედაგოგიურ იარაღს, ძლიერი დადგებითი ემოციების გამოწევევა შეუძლია აღსაზრდელებში, თუ ის დაფუძნებულია ცოცხალ ფქტებზე, რეალურ მაგალითებზე,

მაღალ მჭევრმეტყველებაზე და ცნებით-კატეგორიებზე.

გოგებაშვილი წერს, რომ მასწავლებლის „დირსება განიზომება გონებრივი სიმაღლით, ზნეობრივი სისპენზით და სიკეთით, რომელსაც თესავს იგი თავისი მოღვაწეობით.”

მასწავლებლის ავტორიტეტთან დაკავშირებით კ. მელაშვილი წერს: „საჭიროა მასწავლებელმა შემოქმედებითად ჯომპეტენტურად გამოიყენოს ავტორიტეტის მოპოვების ყველა საშუალება და აიყვანოს იგი ხელვნების დონემდე.”

პედაგოგიური ურთიერთობების პროცესთან დაკავშირებით, ჩემი ყურადღება მიიქცია 6. ზაალიშვილის შეხედულებებმა, კერძოდ, პედაგოგიური ურთიერთობების ხერხებმა და ტაქტიკამ. ბავშვის პიროვნების შეცნობა, ადიარება და მიღება, ასევე შ. ამონაშვილის თანამშრომლობის პედაგოგიკამ, საურთიერთო სიტუაციების შექმნისა და მიზნობრივად გამოყენების ხერხებმა. რომ მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს ბავშვის ინტერესები და შესაძლებლობები, მისი განვითარების შემდგომი პერსპექტივები, მიზნიოს იგი სრულუფლებიან პარტნიორად თანამშრომლობის პირობებში.

მასწავლებლის შესახებ ჯერ-ჯერობით მწირი, მაგრამ მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიღების შემდეგ დავრწმუნდი, რომ მასწავლებლობა, მართლაც, ღვთიური პროფესიაა, განუსაზღვრულია მისი პიროვნული და საზოგადოებრივი ღირებულება. სხვისი სწავლება და დამოძღვრა, განათლებული, სულიერად და ზნეობრივად მდიდარი, დახვეწილი ესთეტიკური გემოვნებისა და ფიზიკურად ჯანსაღი, სრულფასოვანი ახალი თაობის მომზადება და დიდი პატივია და ამის მორალური, ინტელექტუალური და პროფესიული უფლება უნდა ჰქონდეს მას მოპოვებული თავისი განათლებით, პატიოსნებით, კეთილზნეობით. მაგრამ ასევე მასწავლებლის საზეო შრომა სათანადოდ უნდა იყოს შეფასებული სახელმწიფოს, საზოგადოებისა და მშობლების მიერ.

დასასრულს, მასწავლებლისადმი ჩემი დამოკიდებულება მინდა საკუთარი მუზით გამოვხატო:

მასწავლებელი ლეგენდა,

მასწავლებელი ლამპარი,

მშობლის თვალების შუქივით
მომავლის მზერით გამობარი.
ჩვენზე დარღსა და ზრუნვაში
დღედაღამ უთენებია,
მაგრამ დაღლა არ უგვრძნია,
მუხლი არ მოუდრეკია.
დრო მიდის, წლები მიქრიან,
თაობას მისდევს თაობა,
მასწავლებელი ვადიდოთ,
ეს არის გა მ ბ ე დ ა თ ბ ა !

ვაზის ფესვივით ჩაგეფესვები, მიწათ ჩემო, ოდონდ მსხმოიარე
ნაყოფი მივცე მამულს!

თეონა გაბუნია

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გ. ხუსა. პედაგოგიკა, თბ., 2009.
2. ჭ. ამონაშვილი. გამარჯვობათ, ბავშვებო. თბ., 1989.
3. ვ. აფრიდონიძე. მასწავლებელი - ცოდნის ჩაუქრობელი
ლამპარი. თბ., 1990.
4. ნ. ზაალიშვილი. პედაგოგიური ურთიერთობა. თბ., 2003.
5. კ. მელაშვილი. პედაგოგიური ხელოვნება. თბ., 2004.

Teona Gabunia
Sokhumi State University
Faculty of Education, I year student

Teacher's Social and Personal Role and Meaning

Teacher has a decisive role in the society to prepare the new generation, that's why a teacher has to satisfy professional requirements. Because of that a teacher has to raise the level of qualification on the ground of international pedagogical achievements.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
განათლების ფაკულტეტის I კურს სტუდენტი
ირინა გუდაძე
სამეცნიერო ხელმძღვანელი პროფ. გ. ხუხუა

პედაგოგიური კანონები და პრინციპები - აღზრდის
უმთავრესი საფუძველი

განმარტებითი ლექსიკონის თანახმად, კანონი არის საგნებსა და მოვლენათა შორის არსებული მუდმივი და უცვლელი კავშირი. კერძოდ, პედაგოგიური კანონი კი, ზოგადი ფილოსოფიური კანონის დაკონკრეტება კონკრეტულ პედაგოგიურ სფეროში პედაგოგიკის კვლევის ობიექტისა და მიზნის შესატყვისად.

პედაგოგიურ კანონებთან დაკავშირებით ა. დისტერვეგი წერდა: „პედაგოგიური კანონების უცოდინარობა უტიფრობაა, მისი გამოყენებლობა კი - ბარბაროსობა.

პედაგოგიკის სახელმძღვანელოთა შედარების შედეგად გამოჩნდა, რომ ზოგიერთი ავტორი საერთოდ არ ასესენებს თავის წიგნში პედაგოგიურ კანონებს. ზოგი კი გაკვრით მოიხსენიებს მას და ძირითადად ყურადღება კანონზომიერებაზეა გადატანილი. მაგალითად, ნ. ვასაძე თავის სახელმძღვანელოში საუბრობს პედაგოგიური პროცესის კანონზომიერებაზე, დასახელებული აქვს 7 კანონზომიერება და კარგადაც ასენილი, რასაც ვერ ვიტყვით პედაგოგიურ კანონებზე.

ზ. ცუცქირიძე თავის პედაგოგიკის სახელმძღვანელოში აღზრდის კანონზომიერებებს ეხება, მაგრამ ძირითად პედაგოგიურ კანონებზე ნაკლებად ამასვილებს ყურადღებას. იგივე მდგომარეობაა ვლ. გაგუას პედაგოგიკაშიც. რაც შეეხება გ. ხუხუას პედაგოგიკას, აქ განსაკუთრებული ყურადღებაა დათმობილი პედაგოგიურ კანონებზე. ის ცალკე თავად არის გამოყოფილი სახელმძღვანელოში, რაც მასწავლებელს მიანიშნებს მის განსაკუთრებულ

მნიშვნელობაზე აღზრდაში.

პედაგოგიკის კურსის დასრულების შემდეგ მივხვდი, რომ პედაგოგიკის ყველა საკითხი მნიშვნელოვანია აღზრდაში, მაგრამ ჩემზე ძალიან დიდი გავლენა მოახდინა პედაგოგიკის კანონებმა და პრინციპებმა. ეს კანონებია:

1. ბავშვის ბუნებსთან აღზრდის შესაბამისობის კანონი.
2. აღზრდის მიზნის საზოგადოებრივი მოთხოვნებით განპირებულობის კანონი.
3. სწავლებისა და აღზრდის ერთიანობის კანონი.
4. აღზრდის მიზნისადმი მთელი პედაგოგიური პროცესის დაქვემდებარებულობის კანონი.

როგორც პედაგოგიკა გვასწავლის, ამ კანონების პრაქტიკულ რეალიზაციას უზრუნველყოფს პედაგოგიური პრინციპები. ესენია: მეცნიერულობის, მიზანსწრაფულობის, შეგნებულობისა და აქტიურობის, სისტემურობისა და თანმიმდევრობის, მისაწვდომობის, თვალსაჩინოების, მოსწავლეთა ასაკობრივი და უნდივიდუალური თავისებურების გათვალისწინების, თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობის, ცოდნა-გამოცდილების ღრმად და მტკიცედ შეთვისების, მოსწავლის პიროვნებისადმი პატივისცემის, აღზრდაში დადებითზე დაყრდნობის, სკოლის, ოჯახისა და საზოგადოების თანამშრომლობის პრინციპები და ა. შ.

როგორც გავიგვ, ამ და სხვა პედაგოგიურ სისტემების კავშირს მოჰყავს მოქმედებაში მთელი სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი. პედაგოგიურ კანონებისა და პრინციპების ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებით მინდა თვალსაჩინო ნიმუში მოვიყვანო. მაგალითად, ბავშვის ბუნებასთან აღზრდის შესაბამისობის კანონის განხორციელებას ემსახურება აღსაზრდელის ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების გათავალისწინების პრინციპი და მის საფუძველზე ხდება მოსწავლეთან ურთიერთობის, თანამშრომლობის პედაგოგიურ დონისძიებათა სისტემის შემუშავება, შესატყვის მეთოდთა შერჩევა.

ასეთი ლოგიკური კავშირი შეიძლება დავინახოთ სხვა

პედაგოგიურ კანონებსა და პრინციპებს შორის, ასევე თვით პედაგოგიურ პრინციპთა შორის. ეს ტექნოლოგიაც საინტერესოდ არის დამუშავებული პედაგოგიკურ ლიტერატურაში.

პირადი გამოცდილებიდან შემიძლია ვთქვა, რომ მოსწავლის პიროვნებისადმი პატივისცემისა და აღზრდაში დაღებითზე დაყრდნობის პრინციპებს მართლაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის წარმატებულ ურთიერთობაში. მოსწავლეს თვით-დამკვიდრებისა და თვითრეგალიზაციის მტკიცნეულ გზაზე სჭირდება სიყვარული, ყურადღება, პატივისცემა საკუთარი სრულფასოვნებისა და ძალებისადმი რწმენის გასამტკიცებლად. როცა მოსწავლე გრძნობს, რომ მასწავლებელი მის პიროვნებას აფასებს, ანგარიშს უწევს და პატივისცემს, პედაგოგიური მოთხოვნებისადმი მორჩილი, მომსმენი და დამჯერი ხდება, რაც მის აკადემიურ შედეგებშიც კარგად აისახება. ამასთან დაკავშირებით ა. ს. მაკარენჯომ დაწერა: „პიროვნების პრობლემა მოხსნილია, თუ ადამიანში ვხედავთ პიროვნებას.”

ჯერჯერობით შორსა ვარ იმ აზრისგან, რომ პედაგოგიური კანონებისა და პრინციპების შესახებ ამომწურავად ვლაპარაკობ, მაგრამ დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია და აუცილებელი მასწავლებლმა კარგად იცოდეს აღნიშნული კანონები და პრინციპები და შეეძლოს მისი პრაქტიკული გამოყენება მოსწავლებთან ურთიერთობაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. 6. ვასაძე. პედაგოგიკა, თბ., 2000.
2. ვლ. გაგუა, პედაგოგიკა, თბ., 1993.
3. გ. ხუხუა. პედაგოგიკა, თბ., 2009.
4. ზ. ცეცქირიძე. პედაგოგიკა (ლექციების კურსი), თბ., 1998.
5. ფილოსოფიური ლექსიკონი. თბ., 1987.

Irina Gudadze
Sokhumi State University
Faculty of Education, I year student

Pedagogical Laws and Principles – Foundations of Education

Pedagogical Laws and Principles are the main foundation in educational-upbringing process. That gives a possibility to lead upbringing according to the pupils' psychical-intellectual abilities, social requirements and pedagogical aims.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
განათლების ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი
თამარ ჯიქია
სამეცნიერო ხელმძღვანელი პროფ. გ. ხუხუა

პიროვნების ფორმირების ვაჭრობი
მ. ვ. პვნეტილიანეს მიხედვით

პიროვნების ფორმირების შესახებ მქონდა გარკვეული წარმოდგენა პედაგოგიკის ლექციებიდან, მაგრამ ძალიან მოვიხიბლე როცა მოვისმინე I საუკუნის რომაელი მეცნიერ-პედაგოგისა და ორატორის მარკუს ფაბიუს კვინტილიანეს შეხედულებები ამის შესახებ. განსაკუთრებით მოქმედნა მისეული ხედვა პიროვნების ფორმირების ფაქტორებთან დაკავშირებით. იმპერიულ რომში, როცა მონათფლობელური წყობილება თავის აპოგეაშია, ამ დროს მეცნიერი აცხადებს, რომ „უნიჭოები ძალიან ცოტანი არიან, როგორც უმცირესი გამონაკლისი. რომ „ბავშვებს იშვიათად აკლიათ ბუნებრივი ნიჭი, უფრო ხშირად აკლიათ მასზე ზრუნვა.”“ ყველა ვინც ფიზიკურად და ფსიქიკურად ნორმალურია, ნიჭიერია მეტ-ნაკლებად: „გეთანხმებით - წერს იგი -- რომ ერთს უფრო მეტი ჭკუა აქვს, ვიდრე მეორეს, რაც იმას მოწმობს, რომ ერთს შეუძლია გააკეთოს მეტი, ვიდრე მეორეს. თითქმის ვერ ნახავთ ისეთს, თავისი სიბეჭითოთ ვერ დაძლიოს სიძნელე.”“ შემდეგ ის სვამს კითხვას: რა არის მთავარი ორატორის აღზრდაში -- ნიჭი თუ აღზრდა?” და იქვე პასუხობს: ნიჭიც და აღზრდაც და განაგრძობს არგუმენტირებას: „თუ ამ ორ მოქმედს ერთანეთს დავაცილებთ, ნიჭს შეუძლია ბევრი რამის გაკეთება, მაგრამ მხოლოდ სწავლება ნიჭის გარეშე დიდ ნაყოფს ვერ გამოიდებს. ხოლო მათი ერთად მოქმედების შემთხვევაში მჭევრმეტყველური უნარის გამოვლინებას ნიჭის დამსახურებად მივიჩნევ, ხოლო თუ ორატორული ხელოვნების უმაღლეს მიღწევასთან გვაქვს საქმე, აღზრდას მივანიჭებ უპირატესობას.”“ ასე მაგალითად,

„უნაყოფო მიწა - ამბობს ავტორი- ვერაფერს მისცემს საუკეთესო მიწათმოქმედსაც, ხოლო ნაყოფიერ მიწაზე რაიმე სასარგებლო მაინც გაიზრდება მისი დამუშავების გარეშეც . . . მაშასადამე, თუ მიწაც ნაყოფიერია და მიწათოქმედიც იზრუნებს მის კარგად დამუშავებაზე, მოსავალიც ბევრად მეტი და ხარისხიანი იქნება.“ აქვე გვინდა მეორე მაგალითიც მოვიყვანოთ. „თუ პრაქსიტელმა სტატუეტი უხეში ქვისგან გამოთალა, ის დაბალი ხარისხის იქნება, მაგრამ თუ იმავე მხატვარ-მოქანდაკემ ზუსტად ისეთივე სტატუეტი მარმარილოს ქვისგან გააკეთა, იგი ძვირფასი გამოვა.“ „მაშასადამე, - ასკვნის ავტორი - ნიჭი არის მასალა, მეცნიერება მხატვარი. ეს უკანასკნელი აძლევს მას სახეს, ფორმას, ხოლო ის პირველი მას ღებულობს.“

ამრიგად, თავად კვინტილიანე ასკვნის, რომ ბიოლოგიური მექანიზმით მიღებული ბუნებრივი მონაცემები და შესაბამისი აღზრდა განსაზღვრავს პიროვნების ფორმირებას ასევე შესაბამის სოციალურ და პედაგოგიურ პირობებში.

პედაგოგიკური მეცნიერების ფუძემდებელი მ. ფ. კვინტილიანე სოციალურ ფაქტორში მოიაზრებდა იმ გარემოს, რომელშიც იზრდებოდა ბავშვი. უპირველეს ყოვლისა, ადრეულ ასკში ოჯახს ანიჭებდა უპირატესობას. „მამა, შვილის შეძენისთანავე უნდა განიმსჭვალოს მისადმი კეთილი იმედებით. ასეთი განწყობა აღავსებს მას იზრუნოს ბავშვის აღზრდაზე“ (სამეცნიერო-პედაგოგიური შრომების კრებული „ზარდასშა, №3, 1999, გვ.8-14).

კვინტილიანეს მიხედვით, რამდენადაც ბავშვი ბუნებით მიმბაველია და ცნობისმოვარე, ძიძები, მშობლები, ამხანაგები და მასწავლებლები უნდა გამოირჩეოდნენ თავიანთი ზნეობითა და გონიერებით. ძიძები აუცილებლად კარგი მეტყველი გონიერი და ზნეობრივი უნდა ყოფილიყვნენ: „უპირველეს ყოვლისა, - წერს ის- უნდა ვეცადოთ ისეთი ძიძები შევარჩიოთ, რომელთაც კარგი გამოთქმა და კილო აქვთ“. . . ან კიდევ: „შეძლებისდაგვარად, ჰკვიანი და სათხო ადამიანები ავირჩიოთ“ (იქვე).

მშობლები კი, რამდენადაც შესაძლებელია, უნდა იყვნენ განათლებულნი და მზრუნველნი. რაც შექება ზედამხედველებს, ისინიც საქმაოდ განათლებულნი უნდა იყონ, ოდონდ საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა არ უნდა ჰქონდეთ, რადგან თვითკმაყოფილ ადამიანზე უარესი ამქვეყნად არაფერია.

ძიძასა და მშობლებთან ერთად ოჯახური აღზრდა მაინც პედაგოგის გარეშე არ წყდებოდა. კვინტილიანე მასწავლებელს განსაკუთრებულ მოთხოვნებს უყენებდა. მისი აზრით, ის უნდა ყოფილიყო უაღრესად განათლებული, ღრმად განსწავლული, ერუდირებული, კომპეტენტური და რაც მთავარია, ზნეკეთილი და ბავშვის მოსიყვარულე. რადგან „მასწავლებლის ცოცხალი სიტყვა მოსწავლის შეგნებაზე და გრძნობებზე ზემოქმედების ყველაზე მარჯვე იარაღია” (გ. ხუცუა, მარგუს ფაბიუს კვინტილიანეს პედაგოგიური მემკვიდრეობა. თბ., 1996, გვ. 62). მასწავლებელს უნდა ახასიათებდეს „სწავლებაში უბრალოება, შრომაში მოთმინება და დიდი მონძომება, მეტის გაცემა, ვიდრე მომთხოვნელობა” (იქვე). მასწავლებელი პირადი მაგალითია მოსწავლისათვის, მას ბაძავენ ქცევასა და მოქმედებაში, ამიტომ, მეცნიერის აზრით, მასწავლებელი ვალდებულია მუდმივად იმაღლებდეს კვალიფიკაციას, სრულყოფდეს პედაგოგიურ კულტურას, იდგეს ზნეობრივ სიმაღლეზე. მასწავლებელი უნდა გრძნობდეს პროფესიულ მოვალეობას და თუ უნდა წარმატებული იყოს, „ყველაფერში მიჰყვეს მოსწავლის ბუნებრივ შესაძლებლობებს, ხელი ჩასჭიდოს და კი არ გაუსწროს, არამედ ფეხი აუწყოს თავის პატარა თანამგზავრს” („ზარდახშა”, №3, 1999, გვ.9) და ასე ხელჩაჭიდებული გაიყვანოს დამოუკიდებელი ცხოვრების ფართო გზაზე.

ამრიგად, ჩემი აზრით, კვინტილიანეს შეხედულებებმა მასწავლებლზე ძალიან შთამაგონა და განმაწყო ყველაფერი გავაკეთო ჩემი პროფესიული მომზადებისათვის.

გამოყენებითი ლიტერატურა

1. 6. ვასაძე. პედაგოგიკის ისტორია, თბ. 2004.
2. გ.ხუხუს. მარკუს ფაბიუს კვინტილიანეს პედაგოგიური მემკვიდრეობა. თბ., 1996.
3. მარკა ფაბია კვინტილა. რითორიческих наставлений. Перевод с латинского Александром Никольским. Санктпетербург, 1834 „Методы воспитания ораторов в легенде „Фабиуса Квинтилиана““ I таვი.
გ. ხუხუს თარგმანი სამეცნიერო პედაგოგიური ჟრომების კრებულში „ზარდახშა“ №3, 1999წ., გვ. 8–14.

Tamar Jikia
Sokhumi State University
Faculty of Education, I year student

Factors of Person's Formation
According to Markus Fabius Kvintiliane

M. F. Kvintiliane in his “Orator’s advices” gives great meaning to the factors of person’s formation. He demands considering of biological, social surroundings and factors of upbringing together, which is still actual.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების
ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი
ნინო თათარაშვილი
სამეცნიერო ხელმძღვანელი პროფესორი გ. ხუხუა

პიროვნების ვორმირების პრეპარატები თეორია

პიროვნების ფორმირების საკითხი საზოგადოებისა და მცნიერთა მსჯელობის მუდმივი საგანია. ანტიკური დროიდან დღემდე მის კვლევა-ძიებაში ჩამოყალიბდა უამრავი თეორიები, რომელთა შორის გამოიკვეთა სამი ძირითადი თეორია: ბიოლოგიზატორული, სოციოლოგიზატორული და კონვერგენციული.

ბიოლოგიზატორული თეორია სათავეს იღებს შორეული წარსულიდან. XVI საუგუნეში აღმოცენდა ახალი განშტოება - პრეფორიზმი, რომლის მიხედვით ადამიანს თითქოს ჩანასახშივე გააჩნია მომავალი პიროვნების ყველა თვისება, წინასწარ ჩადებულია მასში პროგრამა და მისი განვითარება ხდება სპონტანურად რაოდენობრივი ზრდის გზით. რეფორისტების მიხედვით, პიროვნების განვითარებაში გადამწყვეტი როლი მხოლოდ ბიოლოგიზატორულ თეორიას ენიჭება და გამორიცხავს სოციალურ გარემოსა და აღზრდის ფაქტორს. ისინი ამტკიცებენ, რომ ადამიანის ნიჭი და შეგნება განისაზღვრება მხოლოდ მემკვიდრეობით.

პიროვნული თვისებები ისე ეძლევა ადამიანს, როგორც ანატომიურ-ფიზიოლოგიური მონაცემებები, როგორც მაგალითად, თვალი, ხელი, თმა და სხვა (ჯ, დიუ).

სოციოლოგიზატორული თეორია, კიდევ უფრო სხვა ჟაიდურესობაში ვარდება. ის რადიკალურად დაუპირიორსპირდა ბილოლოგიზატორებს. მათი თეორია საერთოდ უგულვებელყოფს ბიოლოგიურ და აღზრდის ფაქტორებს და პიროვნებას სოციალური გარემოს პროდუქტად აცხადებს.

როგორც მეცნიერები მიუთითებენ, ორივე თეორიას ახ-

ლავს დადებითი და უარყოფითი მხარეები. დადებითია ის, რომ სრულფასოვან პიროვნების ფორმორებაში ერთიც აუცილებელია და მეორეც, ოდონდ ურთიერთმჭიდრო კავშირში და არა ცალ- ცალკე, იზოლირებულად. ორივე ფაქტორის გარეშე წარმოუდგენელია აღზრდა. ორივე თეორია ცალცალკე ემსახურება საზოგადოებაში გაბატონებული კლასების ინტერესებს, სოციალური უთანასწორობის, ექსპლუატატორული წყობილების გამართლება-განმტკიცებასა და გახანგრძლივებას. ბიოლოგიზატორული თეორია საფუძვლად უდევს რასიზმის სამარცხვინო თეორიას.

კონკრეტული თეორიას, პედაგოგიკოსთა მიხედვით, პუმანურ-დემოკრატიული საწყისები უდევს საფუძვლად და აღიარებულიაზოგორც ჭეშმარიტი თეორია. უცხო სიტყვათა ლექსიკონის მიხედვით, კონკრეტული ლათინური სიტყვაა და ნიშავს მსგავსებას, დაახლოებას. მეცნიერული გაგებით კი -- გარკვეულ სისტემათა კომბინაციას, ერთ მთლიანობად შეკავშირებას. ამ შემთხვევაში კონკრეტული თეორია გულისხმობს პიროვნების ფორმირების ბიოლოგიურ, სოციალურ და აღზრდის ფაქტორთა ერთობლიობას, რომელიც როგორც პედაგოგიკის მეცნიერები აღნიშნავს, თეორიულად და პრაქტიკულად გამართლებულია.

პედაგოგიკაში მიღებული განსაზღვრების მიხედვით, პიროვნება არის ბიო-სოციალური არსება. ბიოლოგიურია მასში ის ცხოველური დეტერმინანტი, რომლის შექმნაში თავად სუბიექტი ვერ იღებს მონაწილეობას. იგი მას ეძლევა მექანიდრეობით, როგორც ბუნებრივი ფონი. სხეულის ნებისმიერ ნაწილს, თუნდაც პატარა თითოის გაჭრასაც კი შეიგრძნობს ადამიანი, მთელ სხეულს ტკიცილი და უძლურება შეაწუხებს, რაც სხეულის ნაწილთა ურთიერთკავშირსა და ურთიერთდამოკიდებულებას გვამცნობს., მის ერთმთლიანობაზე, სისტემურობაზე მეტყველებს.

შექმნების, აზროვნებისა და მეტყველების თანდაყოლილი უნარი წარმოადგენს ადამიანში სოციალურობის ჩა-

ნასახს, მის სრულფასოვან პიროვნებად აღზრდის პოტენციალურ შესაძლებლობას, რითაც ის განსხვავდება ცხოველისაგან, დანარჩენ სამყაროსგან. ამ თანდაყოლილი სოციალური უნარების გარეშე პიროვნების აღზრდა პრაქტიკულად შეუძლებელი იქნებოდა.

სოციალური დეტერმინანტის შემოქმედი თვით ადამიანია. მას შეუძლია გახდეს ღირსეული ან უღირსი პიროვნება. ამაშია ადამიანის ღვთითბოძებული არჩევანის თვისუფლება. სოციალურ დეტერმინანტში იგულისხმება ის, რაც შეიძინება სწავლა-არზრდისა და გამოცდილების გზით. ეს არის განაოლება, შეგნება, მეტყველების კულტურა, პროფესია შრომა, ხელობა, ესთეტიკა, სულიერობა, მოვალეობისა და პასუხისმგებლობის გრძნობა და ა. შ.

იან ამოს კომენსკიმ ახალშობილი ბავშვი შეადარა მცენარის თესლს, რომელიც ხილულის გარდა შეიცავს უხილავ ნაწილებს: ფესვს, ტანს, ტოტებს, ფოთლებს ყვავილებს, ნაყოფს ჩანასახში, რომელიც შემდეგ გარეშე შესაბამისი პირობების ზემოქმედების შედეგად გამოვლინდება, გაიზრდება და იმდენ და იმდენჯერ მოისხამს ნაყოფს, რომლის დათვლა კაცს არ შეუძლია. ასევე აღსაზრდელიც როგორც პროფ. გ. ხუხუა წერს, მასში ღვთის მიერ არის ჩადებული სრულფასოვან პიროვნებად ფორმირების ინტელექტუალური უნარები, რომელსაც სათანადო სოციალურ გარემოსა და აღზრდის პირობებში მის განვითარებას საზღვარი არა აქვს.

ბიოლოგიური ფაქტორი იძლევა საშუალებას, პედაგოგიკას სწორად განსაზღვროს აღსაზრდელის ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებები და მის შესაბამისად შეიმუშავოს სასწავლო- აღმზრდელობითი ღონისძიაბათა სისტემა. სოციალური გარემოს მიწიერ ფაქტორებში იგულისხმება ის ბუნებრივი, სოციალ-პოლიტიკური და ეკონომიკურ-კულტურული წყობა, რელიგია, იდეოლოგია, წეს-ჩვეულებები, ტრადიციები და სხვა სინამდვილე, რომელ-შიც ცხოვრობს ადამიანი. მოწესრიგებული სოციალური

გარემო, საზოგადოების მაღალკულტურული დონე ხელსაყრელ პირობებს ქმნის აღზრდისათვის.

პიროვნებისფორმირებისმესამედაგადამწყვეტიფაქტორია აღზრდა, პედაგოგიური ფაქტორი. აღზრდა პედაგოგიკის სახელმძღვანელოებში ორი-ფართო, ფილოსოფიური და ვიწრო, პედაგოგიური გაგებით განიხილება. პედაგოგიური გაგებით, აღზრდა ნიშანავს მიზანმიმართულ, გეგმაზომიერ პედაგოგიურ ზემოქმედებას აღსაზრდელზე, მის გონიერივად, ზნეობრივად, სულიერად, ესთეტიკურად და ფიზიკურად სრულყოფილ პიროვნებად ჩამოყალიბების მიზნით.

პედაგოგიკა პიროვნების აღზრდას არ განიხილავს, როგორც სოციალურ გარემოსა და აღზრდის ზემოქმედების რაღაც პასიურ ობიექტს. პირიქით, ცნობს თვით პიროვნების აქტიურობის, მის შემოქმედებით-გარდამქმნელი მოქმედების ფოლს მისსავე სოციალიზაციაში.

ამრიგად, კონვერგენციის თეორია გულისხმობს ბიოლოგიური მემკვიდრეობითობის, სოციალური გარემოსა და აღზრდის ფაქტორების, პედაგოგიური პროცესების სისტემებისა და კომპონენტების ერთობლივ კავშირს პიროვნების ფორმირების საქმეში.

გამოყენებული ლიტერატურა

- 1) გ. ხუხუა. პედაგოგიკა, თბ., 2009.
- 2) ნ. ვასაძე. პედაგოგიკა, თბ., 2000.
- 3) ნ.ე. კოვალევი, ბ.ფ.რაისკი, ნ.ა.სოროკინი. პედაგოგიკის შესავალი, თბ., 1978.
- 4) ი. ჭკუასელი, პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლების ძირითადი საკითხები. თბ., 1977.

Nino Tatarashvili
Sokhumi State University
Faculty of Education, I year student

Convergent Theory of Person's Formation

There are known different theories of person's formation in pedagogics. They are divided in three big groups: biologizatorial, sociologizatorial and convergent. Between them is the most important the convergent theory. In contrast to the first two theories it is discussed in the united organic union the three of them – biological, social surroundings and educational factors.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
განათლების ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი
ელენე ჩუბინიძე
მეცნიერ-ხელმძღვანელი პროფ. ხუსეა

აღზრდის ფაქტორი სრულფასოვანი
პიროვნების ფორმირებაში

საზოგადოების განვითარებაში აღზრდის უდიდესი მნიშვნელობის შესახებ არა ერთ გამოჩენილ ადამიანს გამოუთქმაშს ღირებული აზრები. მაგალითად: „აღზრდა, ქვეყნად არსებული ყოველი სიკეთისა და ბოროტების, უბედურებისა და ბედნიერების პირველწყაროა” (რ. ოუენი). „ყველაფერი ის, რაც არ გაგვაჩნია დაბადებისას და უამისოდ არ ვვარგივართ დიდობაში, მოგვცა აღზრდამ” (ჟან-ჟაკ რუსო). „არ არსებობს ისეთი ცუდი ადამიანი, კარგ აღზრდას არ გაუშვილესებინოს” (ბ. ბელინსკი). პედაგოგიკურ მეცნიერებასა და პრაქტიკაში დადგენილია აღზრდის ფაქტორის გადამწყვეტი როლი სრულფასოვანი პიროვნების ფორმირების საქმეში.

აღზრდის მიმართულებასა და შინაარსს განაპირობებს საზოგადოების მოთხოვნებით განპირობებული მიზანი, ხოლო პედაგოგიური მიზნის მიღწევა უშუალოდ დაკავშირებულია პედაგოგიურ კანონებთან, პრინციპებთან და მეთოდებთან. პედაგოგიკის კლასიკოსები აღზრდაში წარმატებას აღზრდის მიზნის სიცხადეში ხედავდნენ. „ყველა დროისა და საზოგადოების კლასიკოსი მეცნიერ-პედაგოგები, უპირველეს ყოვლისა, განსაზღვრავდნენ აღზრდის მიზანს და შემდეგ მას უქვემდებარებდნენ მთელ პედაგოგიურ საქმიანობას, რადგან აღზრდის მიზნის სიცხადე-გარკვეულობა განაპირობებს პედაგოგიური პროცესის წარმატებას” (პედაგოგიკა, ნ. ვასაძე, თბ., 2000).

პედაგოგიკური მეცნიერების ფუძემდებელმა, I საუკუნის რომაელ მეცნიერ-პედაგოგმა და ორატორმა მარკუს ფა-

ბიუს კვინტილიანემ აღზრდას მიზნად დაუსახა „ბრძენი რომაელის” აღზრდა.

იან-ამოს კომენსკიმ „დგთის მოშიშთა” და „დგთის მოსავთა” აღზრდა გამოაცხადა აღზრდის მიზნად. ი. გოგებაშვილმა -- „ახალი კაცის” აღზრდა და ა. შ. მაგრამ გასაკუთრებული აღიარება მოიპოვა აღზრდის მიზნის არისტოტელუსეულმა კონსტრუქციამ -- „ყოველმხრივ ჰარმონიული განვითარების” იდეამ, რომელიც მოიცავს ოთხ ძირითად კომპონენტს: ფიზიკური, გონებრივი, ზნეობრივი და ესთეტიკური. შემდგომში მას დაემატა სულიერი და შრომითი აღზრდა.

განათლების თანამედროვე რეფორმებმა უპირატესობა მიანიჭა „კონკურენტუნარიანი” თაობის მომზადებას.

ამასთან დაკავშირებით, პროფესორი გ. ხუხუა აღნიშნავს, რომ განათლების პრაგმატულობა მხოლოდ კლასიკურ-რეალურ განათლებასთან, თეორიასა და პრაქტიკასთან მჭიდრო კაგშირში იძენს ლირებულებას, წინააღმდეგ შემთხვევაში ტექნიკის დანამატად იქცევა ადამიანი.

მართლაც, განათლება პიროვნების დირსების ამაღლებას უნდა ემსახურებოდეს და არა მხოლოდ სიმდიდრის შექმნას, მატერიალიზმს.

სენეკამ ადამიანის ლირსებასთან დაკავშირებით თქვა: „ყველაზე დიდი დირსება, რითაც დმერთმა ადამიანი დააჯილდოვა, ეს არის გონება, ამიტომ იგი მუდამ მის გამდიდრებასა და გაჯანსაღებაზე უნდა ზრუნავდეს”-ო. (გ. ხუხუა, „ამონარიდები პედაგოგიური სიბრძნის საგანძურიდან.” თბ., 1999). პედაგოგიკურ ლიტერატურაში გონებრივ აღზრდაში გულისხმობებ ცოდნის ფონდის შექმნას, სააზროვნო ოპერაციების განვითარებას, სასწავლო-შემეცნებითი უნარების გამომუშავებასა და მეცნიერული მსოფლმხედველობის ფორმირებას, რომელიც ხორციელდება სწავლების საგანმანათლებლო, განმავითარებელი, აღმზრდელობითი და შრომითი ფუნქციების მეშვეობით (პედაგოგიკა, გ. ხუხუა, თბ.მ, 2009). მსგავსი აზრია გატარებული ი. ჭკუასელის

წიგნში „პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლების ძირითადი საკითხები” (თბ., 1977, გვ.73-75), რომ გონიერივი აღზრდის ამოცანებში შედის კაცობრიობის მიერ დაგროვილი ცოდნა-გამოცდილების ძირითადი საფუძვლებით მოსწავლეთა შეიარაღება, შემოქმედებითი აზროვნებისა და შემცნებითი უნარების გამოვლინება-განვითარება, ცოდნის დამოუკიდებლად მოპოვებისა და შეთვისების უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება. „გონიერივი აღზრდის ამ ამოცანების ურთიერთკავშირში მეცნიერულ-პედაგოგიური პრინციპების თანდათანობით განხორციელებით ყალიბდება მსოფლმხედველობა.”

მაშასადამე, გონიერივ აღზრდასთან დაკავშირებულ ეს პედაგოგიური დებულებები გვარწმუნებს სისტემურ-მეცნიერული განათლების მიღების აუცილებლობაში.

პიროვნების სრულფასოვნება ზნეობრივი აღზრდის გარეშე ვერ წარმოედგინათ პედაგოგიკის კლასიკოსებს. ი. გოგებაშვილი წერს: „პატიოსანის, კეთილშობილის გრძნობების აღზრდა მოზარდი თაობის გულში კიდევ უფრო საჭირო და ძვირფასია, ვიდრე გონიების გამდიდრება სხვადასხვა ცოდნითა.” პედაგოგიკის თეორიაში ღრმად და ყოველმხრივ განხილულია ზნეობრივი აღზრდის არსი, მიზანი და ამოცანები. ზნეობრივი შეგნების, ზნეობრივი გრძნობებისა და ზნეობრივი მოქმედების უნარჩვევები. ამ ამოცანების გადამჭრელი პედაგოგიური პრინციპები, მეთოდები, ფორმები და საშუალებები, რომელთა ოპტიმალურ კომბინირებას პედაგოგიური სიტუაციის მიხედვით უწოდებს პედაგოგიურ ტექნოლოგიას. ზნეობრივი აღზრდა თავის ასახვას პოლიტიკურ სამსახურების აღმზრდელობით ფუნქციაში, რაც არ უნდა გამორჩეს მხედველობიდან მასწავლებელს.

ზნეობრივი აღზრდის საზოგადოებრივი მნიშვნელობა თვით ზნეობის არსიდან გამომდინარეობს, იგი არეგულირებს ურთიერთობებს საკუთარ თავთან - „მე”-სთან, სხვა ადმიანებთან, საზოგადოებასთან, სახელმწიფოსთან, სამშობლოსთან, ბუნებასთან და მთელ გარემოებულ სინამდვილესთან. მეცნიერების თქმით, ზნეობა განსაზღვრავს სა-

შინაო და საგარეო პოლიტიკის კულტურას, უზნეობაა კი არის ყოველგვარი ბოროტების მიზეზი.

სულიერი აღზრდა აღზრდის ერთერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. მას განსაზღვრული როლი აკისრია ყოველმხრივ, ჰარმონიულად განვითარებულ, სრულფასოვანი პიროვნების ფორმირებაში. პროფ. გ.ხუხუას პედაგოგიკაში ვკითხულობთ, რომ სულიერობას მოკლებული მოსწავლე-ახალგაზრდობა ნაკლებად ემორჩილება პედაგოგიურ მოთხოვნებს, სასკოლო რეჯიმს და ეთიშება სასწავლო-აღმზრდელობით პროცესს, რასაც შედეგად მოსდევს პედაგოგიური და აკადემიური ჩამორჩენილობა. თუ ამან სისტემატიური ხასიათი მიიღო, შეიძლება გადაიზარდოს ჯერ ასოციალურობაში და ბოლოს ანტისოციალურობაში. თუ განათლების სამინისტროსა და მედიის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით ვიმსჯელებთ, სამწუხაროდ, შეიძლება ითქვას, რომ ამან უკვე მასობრივი ხასიათი მიიღო.

ადამიანი რომ სულიერად აღზარდოს, აუცილებელია გაეცხოს ბიბლიას, ისტავლოს და გაიგოს დვთის მცნებები და იცხოვროს ამ მცნებების შესაბამისად. სულიერი აღზრდაც სწავლების აღმზრდელობითი ფუნქციის ნაწილია და მასწავლებელი ამ შესაძლებლობას ხელიდან არ უნდა უშვებდეს.

აღზრდის ფაქტორი მოცავს აგრეთვე ესთეტიკურ და ფიზიკურ აღზრდას. ესთეტიკური აღზრდის მიზანია აღსაზრდელებში ესთეტიკური კულტურის ფორმირება, დახვეწილი გემოვნების, სილამაზის, მშვენიერების, ამაღლებულის შეგრძნება-გაგებისა და მით ტკბობის, და არა მარტო ტკბობის, არამედ ესთეტიკურის შექმნის უნარ-ჩვევების გამომუშავება. ი. ჭკუასელი ესთეტიკური აღზრდის მიზანს ასე განმარტავს ზემოხსენებულ წიგნის 79-ე გვერდზე: „ესთეტიკური აღზრდის მიზანია, სინამდვილის, ბუნების, საზოგადოებრივი ცხოვრების, აზროვნების, ადამიანის შრომისა და საყოფაცხოვრებო მოქმედების, ხელოვნების მრავალფეროვანი დარგების მშვენიერი მხარეების

დანახვის, განცდისა და გაგების უნარის ჩამოყალიბება და განვითარება ბავშვებსა და მოზარდებში.”

პედაგოგიკაში ესთეტიკური აღზრდის წყაროდ მიჩნეულია ხელოვნება, ბუნება, სადაც არის ჰარმონია, წესრიგი, სიმეტრია, პროპორცია, რიტმი, რითმი და ა. შ.

აღზრდის ორგანული შემადგენელი ნაწილია აგრეთვე ფიზიკური აღზრდა. მისი დანიშნულებაა ფიზიკურად ჯანსაღი, შრომისა და თავდაცვის უნარიანი, ხალისიანი და აქტიური ახალი თაობის მომზადება. ამას უზრუნველყოფენ საერთოდ სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში, კერძოდ კი-სპეციალურ ფიზიულტურის გაკვეთილებზე, ასევე სკოლისგარეშე სპორტულ დაწესებულებებში, სხვადასხვა გამაჯანსაღებელ და სპორტულ ღონისძიებებში.

აღნიშნული პედაგოგიური სისტემებისა და კომპონენტების, შესაბამისი პედაგოგიური კანონების, პრინციპების, მეთოდებისა და საშუალებების ოპტიმალური ინტეგრაცია კომბინაციების საშუალებით ხდება სწავლებისა და აღზრდის ურთიერთდაკავშირება, რაც მასწავლებლისგან მოითხოვს პედაგოგიური მეცნიერებისა და პედაგოგიური ხელოვნების სრულყოფილ ცოდნას. „აღზრდა და სწავლება თავისთავად არ არის დაკავშირებული ერთმანეთთან, იგი მასწავლებლმა უნდა დააკავშიროს” (ვ. აფრიდონიძე, მასწავლებელი – ცოდნის ჩაუქრობელი ლამპარი. თბ., 1990, გვ. 53).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ადვილი გასაგები ხდება აღზრდის ცნება.

რომ აღზრდა არის მიზანმიმართული, გეგმაზომიერი პედაგოგიური ზემოქმედება აღსაზრდელზე, პედაგოგიურ-მეცნიერული სისტემებისა და კომპონენტების საშუალებით, აღსაზრდელის სრულფასოვან პიროვნებად ფორმირების მიზნით.

ჩემი აზრით, იყოს პედაგოგიკა და არ იყოს აღზრდა, მართლაც, სირცხვილია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. 6. ვასაძე, პედაგოგიკა, თბ., 2000.
2. ვ. აფრიდონიძე მასწავლებელი -- ცოდნის ჩაუქრობელი ლამპარი. თბ., 1990.
3. ი. ჭკუასელი პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლების ძირითადი საკითხები. თბ., 1977.
4. გ. ხუცუა „ამონარიდები პედაგოგიური სიბრძნის საგანძურიდან”, თბ., 1999.

Elene Chubinidze
Sokhumi State University
Faculty of Education, I year student

Education Factor in Person's Formation

Education is an important word in a person's formation. It is directed, planned process which contains pedagogical systems and components connected to each other. Successful upbringing is compliance of systems and components with pedagogical situations made by teachers and acting of theoretical knowledge and practical skills.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
განათლების ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი
ნათია გაფრინდაშვილი
სამეცნიერო ხელმძღვანელი პროფ. გ. ხუხუა

სულიერი აღზრდის როლი
პიროვნების ზეობრივ ჩამოყალიბებაში

2009 წელს გამოცემული პედაგოგიკის სახელმძღვანელოს მიხედვით სულიერ აღზრდას განმსაზღვრელი როლი აკისრია სრულფასოვანი პიროვნების ფორმირებაში. სამყაროსა და მისი შემოქმედის შესახებ ჭეშმარიტი ცოდნისა და სწორი თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. სულიერობის მაჩვენებელია ღვთის სიყვარული. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ვიცოდეთ და ვიცავდეთ მის მცნებებს. შულიერობის შესახებ ცოდნის მთავარ წყაროს ბიბლია წარმოადგენს. სულიერი აღზრდის გამაკეთილშობილებელი პოტენციალი სათანადოდ არ არის გამოყენებული. ეს ხარვეზი აშკარად ჩანს აღზრდის შედეგში. ხალხმა დაკარგა სულიერობის მთავარი ნიშანი - სიყვარულის გრძნობა. მათ სხვა აღარ აინტერესებოთმხოლოდ საკუთარო თავზე ფიქრობენ. „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“ (ბიბლია), ნაკლებად ახსოვთ. სულიერობას მოკლებული ახალგაზრდობა გულგრილი ხდება პედაგოგიური მოთხოვნების მიმართ და ავტომატურად ეთიშება სასწავლო-აღმზრდელობით პროცესს, რომელსაც შედეგად მოსდევს პედაგოგიური და აკადემიური ჩამორჩენილობა, ასოციალურობა, სამწუხაროდ, ზოგჯერ ანტისოციალურობაც კი.

თანამედროვე სოციალური გარემო, საკომუნიკაციო ტექნიკური საშუალებების (ინტერნეტი, მობილური და სხვ.) არასწორად, შეიძლება იითქვას, ბოროტად გამოყენება ცუდ ზემოქმედებას ახდენს ახალგაზრდების ფსიქიკაზე, გრძნობებსა და ემოციებზე, მორალურ სფეროზე, მის მომავალზე. ღვთისმოშობა, სულიერობა არის ერთადერთი

მექანიზმი, რომელიც აკავებს ცოდვისა და ბოროტებისა-გან, სწორი გზით წარმართავს აღსაზრდელის აზროვნებას, ქცევასა და მოქმედებას, . . . და იცავს მოსალოდნელი საფრთხეებისაგან” (პედაგოგიკა, გ. ხუხუა. თბ., 2009, გვ. 184).

ამიტომ მოითხოვდა იან ამოს კომენტარი ახალგაზრდების ქრისტეს მოძღვრებით აღზრდის აუცილებლობას.

სულიერობის აღზრდის პროცესში გათვალისწინებული უნდა იქნეს აღსაზრდელის ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებები, აღზრდის ბავშვის ბუნებასთან შესაბამისობის პედაგოგიური კანონის საფუძველზე. სკოლამდელ და უმცროს სასკოლო ასაკის ბავშვებს ახასიათებთ მოჭარბებული ცნობისმოყვარეობა, მიმბაძველობა და მასწავლებლის მიმართ უსაზღვრო ნდობა, რაცმაქსიმალურად უნდა იქნას გამოყენებული აღზრდაში. ბავშვს ბიოლოგიური და სოციალურ-მატერიალური მოთხოვნილება აღუძრავს გარემომცველ სინამდვილესთან ურთიერობას. ის გამუდმებით სვამს კითხვებს: ვინ? რა? სად? როდის? როგორ? რატომ? და ა. შ. მათ მიერ დასმულ კითხვებზე პასუხები უნდა შეიცავდეს ზუსტ ინფორმაციას, ასეთი მიღება აღზრდის-ადმი ხელს შეუწყობს სწავლების საგანმანათლებლო და აღმზრდელობით ფუნქციის განხორციელებას, ჰემმარიტი შემოქმედის მიღებასა და სულიერობის ამაღლებას.

სულიერი აღზრდის უმთავრესი კომპონენტი, როგორც ზემოთ აღნიშნეთ, სიყვარულის გრძნობის განვითარებაა, სიყვარულის წყარო კი თავად ღმერთია. ხლანდელ საქართველოში ახალ თაობას აკლია სულიერობა. ისინი ბავშვობიდან მატერიალურზე ფიქრობენ, სიყვარულსა და მეგობრობას ივიწყებენ, ასევე არ ამახვილებენ ყურადღებას სამყაროს მრავალფეროვნებასა და სილამაზეზე, არ იციან, რომ ეს ყველაფერი ღვთის საჩუქარია და მოფრთხილება სჭირდება.

სულიერობა რელიგიური ფასეულობების, ჰემმარიტი ღვთის სიცარულია და მხოლოდ ღვთისგან მიიღება. სულიერობის უდიდესი მაგალითი იესო ქრისტეა.

ყოვლისშემოქმედმა ღმერთმა სულიერ საზრდოდ მოგვცა თავისი სიბრძნის წიგნი ბიბლია და თავისი ძე იესო ქრისტე დაგვიყენა უანგარო მწევმსად და მასწავლებელად.

სულიერი აღზრდა მჭიდრო კავშირშია პედაგოგიკასთან, ამიტომ მასწავლებლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ბიბლაზე დაყრდნობილ ქრისტიანულ მორალს, რომ უზრუნველყოს სულიერი აღზრდა, მოსწავლის გულის სიხარულით, სიყვარულითა და ლვოის რწმენის ავსება. მასწავლებლობა დიადი საქმეა და დიდი თავგანწირვა სჭირდება, თუმცა უფლის დახმარებით ყველაფრის გაკეთება შეიძლება და ჩვენც შევძლებთ ლირსეული, სულიერად მდიდარი ახალი თაობის აღზრდას, ოღონდ მთავარია, განვისწავლოთ სულიერი აღზრდის შესახებ სათანადო განათლებით, პედაგოგიური ცოდნა-გამოცდილებითა და პრაქტიკული მოქმედების უნარ-ჩვევებით.

სულიერი აღზრდა პროფ გ. ხუხუას აზრით, მოითხოვს შემდეგი პედაგოგიური ამოცანების გადაწყვეტას:

1. თეოკრატიული განათლების მიღება ბიბლიის საფუძველზე.
2. ჰემმარიტი ლვოისა და იესო ქრისტეს გამომსყიდველური სისხლისადმი რწმენისა, იმედისა და სიყვარულის გადვივება.
3. დვოის კანონებისა და პრივციპების ცოდნა და შესაბამისი ქცევისა და მოქმედების გამომუშავება.
4. საერო და თეოკრატიული განათლების პარმონიულ, ლოგიკურ თანხმობაში მოყვანა.
5. მასწავლებელთა და მშობლებთა მომზადება სულიერ აღზრდაში.

ამრიგად, ვეთანხმები იმ აზრს, რომ სულიერ აღზრდას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სრულფასოვანი პიროვნების ფორმირებაში, რაც მასწავლებლის პირდაპირი მოვალეობაა.

რა თქმა უნდა, მე ჯერჯერობით პედაგოგიური ანალიზების პრეტენზია არა მაქვს, მაგრამ ეს თემა იმიტომ დაიწერა, რომ ჩემმა თანატოლებმა ისწავლონ და გაიხსენონ მასწავლებ-

ლის უპირველესი მოგალეობა, ჩაუნერგონ მოსწავლეს ქრისტიანული მორალი. არა აქვს მნიშვნელობა მომავალში თუ რა პროფესიის იქნება იგი. პირველ რიგში ყველა მომავალი მშობელია და თავისი შვილი არა მარტო უნდა გაზარდოს, არამედ პიროვნებად უნდა აღზარდოს. რადგან აღსაზრდელში, როგორც სოლომონ ბრძენი ამბობს, სიყრმიდანვე უნდა ჩაითვსოს სიკეთის მარცვალი: „სიყრმიდანვე აღზარდე შვილი და სიბერეშიც არ გადაუხვევს მას” (სოლომონის იგავები).

გამოყენებული ლიტერატურა

1. გ. ხუბუა. პედაგოგიკა, თბ., 2009.
2. ბიბლიია, საქართველოს საპატიოარქოს გამოცემა, თბ., 1989.
3. იან ამოს კომენსკი, რჩეული პედაგოგიკური თხზულებანი. თბ. 1949.
4. ი. გოგებაშვილი, პედაგოგიური თხზულებანი ერთ გომად, თბ., 1977.

Natia Gaprindashvili
Sokhumi State University
Faculty of Education, I year student

Role of Spiritual Upbringing in Person's Formation

Spiritual upbringing is one of the important components of upbringing. It is connected to God, knowledge of Bible. Spirituality makes a person different by the best moral characteristics and appropriate behavior skills.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
განათლების ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი
ნათია ტაბატაძე
სამეცნიერო ხელმძღვანელი პროფ. გ. ხუხუა

ზნეობრივი აღზრდის ორლი სრულფასობანი
პიროვნების ვორმირებაში

ზნეობრივი აღზრდა პედაგოგიკის მეცნიერებაში წარმოდგენილია, როგორც აღზრდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტი. იგი გულისხმობს ეთიკური ნორმებისა და წესები ათვისებასა და დაცვას, რომელიც არეგულირებს ურთიერთობებს ადამიანებთან, ხალხთან, ბუნებასთან, სახელმწიფოსთან და ყოველივე მასთან, რასთანაც შეძლება ადამიანს ჰქონდეს ურთიერთობა. ეს ურთიერთობანი ეთიკის მეცნიერებაში წარმოდგენილია გამზოგადოებული სახით შემდგე ზნეობრივ კატეგორიებში: ჰუმანიზმი, პატრიოტიზმი, ინტერნაციონალიზმი, სიმართლე, სამართლიანობა, პატიოსნება, მეგობრობა, სიყვარული, თავაზიანობა, მიმტევებლობა, გულწრფელობა, შრომისმოყვარეობა, ყოველივე ის, რაც სიკეთის ცნებაში თავსდება. იმისათვის, რომ კარგად გავიგოთ ზნეობრივობის არსი, აუცილებელია ვიცოდეთ საპირისპირო, არაზნეობრივი კატეგორიებიც. როგორიცაა: კაცომოძულეობა - მიზანთროპიულობა, მოღალატეობა, დაუნდობლობა, უპატიოსნობა, უსამართლობა, სულმოკლეობა, თავსედობა, სიხარბე, შური, ეგოიზმი, სიამავე, ამპარტაცნობა, ქედმაღლობა, სისასტიკე, ძუნწობა, მატყუარობა, ცილისწამება, ჭორიკნობა, გარყვნილება, მუქთახირობა დოთობა . . . ყოველივე ის, რაც ბოროტების ჩარჩოებში თავსდება.

ზნეობისა და უზნეობის შედეგებიდან გამომდინარე, პროგრესულად მოაზროვნე ადამიანები ყოველთვის მიისწრაფვოდნენ ზნეობრივ-ესთუტიკური იდეალებისკენ და ბედნიერებას, სიკეთეს ზნეობის სფეროში ექცევნენ. ამ მიზნის ხორცხშესხმას ზნეობრივ აღზრდაში ხედავდნენ. ანტი-

კური ხანის უდიდესი მოაზროვნები: სოკრატე, ქსენოფონ-ტე, პლატონი, არისტოტელი, სენეკა, ციცერონი, პედაგოგის პლასიკოსები: მ.ფ. კვინტილიანე, იან-ამოს კომენსკი, ჯონ ლოკი, ჟან-ჟაკ რუსო, ა.ფ. დისტერვეგი, კ.დ. უშინსკი, ი. გოგებაშვილი და სხვები პიროვნების ფორმირებაში გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ზეობრივ აღზრდას.

დემოკრიტეს ზეობრივი სრულყოფის საფუძვლად სრულყოფილი განათლება მიაჩნდა, სოკრატეს კი - სიკეთისა და ბოროტების არსში გარკვევა. მისი აზრით, ბავშვი უნდა დარწმუნდეს სიკეთის მშვენიერებაში და ბოროტების სიმახიურში.”

პლატონს სახელმწიფოს სიმტკიცის საფუძვლად კანონების დაცვა მიაჩნდა. ამიტომ მისი აზრით, კანონის შექმნელი და დამცველი უზადო, კეთილი, ზეობრივად ამაღლებული, კაცომოყვარე და სამართლიანი ადამიანი უნდა ყოფილიყო.

არისტოტელე პირველი იყო, რომელმაც ეთიკის სახელმძღვანელო შექმნა და პროფ. თ.კუპავას წყალობით ხელთაგვაქვს მისი ქართული თარგმანი. როგორც მეცნიერები ამბობენ, ის დღესაც დირებული და აქტუალურია.

ადამიანობის უმაღლეს კატეგორიად ციცერონი პუმანიზმს მიიჩნევდა, ზეობის საფუძვლად კი - განათლებას. „ჯერ დაეუფლე კეთილზეობას, ხოლო შემდეგ სიბრძნეს, რადგან პირველის გარეშე ძნელია ისწავლო ეს უკანასკნელი.” კვინტილიანე ამბობდა: „ყველაფერზე წინ ზეობა უნდა იღეს, შეუძლებელია უპატიონსო ადამიან ჭეშმარიტი ორატორი გახდეს”-ო.

ალორძინების ხანის პუმანისტმა პედაგოგებმა ზეობრივი აღზრდა ჩათვალეს აღსაზრდელის გაადამიანების საშუალებად. მატეო ვეჯიოს აზრით, „ბავშვზე კეთილ ზემოქმედებას, კეთილი გრძნობების განვითარება მოაქვს.”

კ. უშინსკის მიაჩნდა, რომ ზეობრივი აღზრდა გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე გონების ფართო ცოდნით გავსება. ზეობრივი აღზრდის კონკრეტულ ამო-

ცანად თვლიდა პუმანიზმის, პატრიოტიზმის, დისციპლინის, სამართლიანობის, შრომისმოყვარეობის, პასუხისმგებლობის გრძნობისა და შეგნების აღზრდას. კეთილ ჩვევებს ის ზნეობრივ კაპიტალს უწოდებდა, უზნეობას კი ზნეობრივ გაკოტრებას.

ქართული პედაგოგიკის ფუძემდებელი ი. გოგებაშვილი ზნეკეთილ ადამიანს ქვეყნის სიმდიდრედ თვლიდა. ი. ჭავჭავაძეს ზნეობრივი აღზრდა პუმანურ-დემოკრატიული საზოგადოების საფუძვლად მიაჩნდა. ის განათლებულსა და უზნეო ადამიანს გაუნათლებულსა და ზნეკეთილ ადამიანს ამჯობინებდა. მისი ლიტერატურული პერსონაჟები სწორედ ზნეობა-უზნეობით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

პედაგოგიკის სახელმძღვანელოებში, სადაც ლაპარაკია ზნეობრივი აღზრდის ამოცანებზე, ყველგან მოაზრებულია ზნეობრივი შეგნება, ზნეობრივი გრძნობები და ზნეობრივი მოქმედების პრაქტიკული უნარ-ჩვევები.. პროფ. გ. გაგუა ზნეობრივ შეგნებაში გულისხმობს ზნეობის არსის, ზნეობრივი ლირსებების გაგება-გაცნობიერებას, იმის გაგმბას, თუ რა არის მორალური და ამორალური. ზნეობრივი გრძნობების აღზრდაში კი- მოსწავლეებში მორალური პრინციპებისა და ქცევებისადმი დადებითი დამოკიდებულების ფორმირების აუცილებლობას. რაც შექება ზნეობრივი აღზრდის მესამე ამოცანას - ზნეობრივი ქცევისა და მოქმედების უარ-ჩვევებს, ის „ ყალიბდება შესაბამისი ქცევების, მრავალგზის გამეორების შედეგად.” პროფ. ა. ლომაძის აზრით, ზნეობრივი ქცევის სიკეთე ჯერ თავად უნდა იგემოს ადსაზრდელმა, რომ ზნეობისადმი დადებითი დამოკიდებულება გაუჩნდეს. ი. ბიბილეიშვილს მიაჩნია, რომ „მთავარი ცოდნა, რომლითაც სკოლამ უნდა შეიარაღოს მოსწავლე, ეს არის სიმართლის ფასის ცოდნა“ სიმართლის თქმის უნარი და მოთხოვნილება იცხოვროს სამართლიანობის პრინციპის დაცვით.

პედაგოგიკის მეცნიერების მიხედვით დადგენილია,

რომ სწავლების აღმზრდელობითი ფუნქცია ძირითადად ზნეობრივ აღზრდას უნდა ემსახურებოდეს. აქედან გამომდინარებივ გვხვდი, რომ სწავლების ფუნქციები საერთოდ დაკურძოდებისი აღმზრდელობითი ფუნქციის არსი მომავალმა მასწავლებელმა კარგად უნდა გაიცნობიეროს. დიდი იმედი მაქვს, რომ თუ ერთ სემესტრში პედაგოგიკის შესახებ ამდენი ინფორმაცია გავიგე, მომდევნო შვიდი სემესტრის შემდეგ, მექნება მასწავლებლობის შესაძლებლობა და მორალური უფლება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ნ. ვასაძე. პედაგოგიკა, თბ., 2000.
2. ნ. ვასაძე. პედაგოგიკის ისტორია, თბ., 2004.
3. ი. ბიბილეშვილი „ცხოვრების საზრისი,” თბ., 1999.
4. ი. ჭავასელი პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლების ძირითადი საკითხები. თბ., 1977.

Natia Tabatadze
Sokhumi State University
Faculty of Education, I year student

Moral Upbringing in Person's Moral Development

Moral upbringing in person's moral development is main means of working out of moral self-consciousness, moral feelings and activities. The teacher has to use the ethical conversations, expressive examples, methods of assuring for that.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
განათლების ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი
სოფიო ოქრიაშვილი
სამეცნიერო ხელმძღვანელი პროფ. გ. ხუხუა

პედაგოგიკის თეორიის როლი მომავალი
მასრავლებლის პროფესიულ მომზადებაში

განათლების ახალმა რეფორმამ დღის წესრიგში დააყენა
ახალი ტიპის მასწავლებლის საერთაშორისო სტანდარტებზე მომზადების აუცილებლობა. მასწავლებელი, რომელიც მზად იქნება უზრუნველყოს თეორიისა და ქრაქტიკის, განათლების ცხოვრებასთან, რეალურ სინამდვილესთან მაქსიმალური კავშირი. პედაგოგიკის მეცნიერება მოწოდებულია ერთი მხრივ, ემსახუროს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამის სრულფასოვანი ახალი თაობის აღზრდას, ხოლო მეორე მხრივ, მაღალკვალიფიციური პედაგოგიური კადრების მომზადებას განათლების სისტემისათვის. პედაგოგიური პროფესია ისტორიულად უძველეს, ურთულეს, უცვლელ, საზოგადოებრივ საქმიანობად ითვლება დღემდე. თუმცა საუკუნეების მანძილზე მისდამი დამოკიდებულება ყოველთვის განისაზღვრებოდა საზოგადოებაში არსებული პოლიტიკურ-სოციალური თუ ეკონომიკურ-კულტურული ვითარებით, რომელიც განაპირობებს ახალი თაობის აღზრდა-განათლების მიზანსა და შინაარსს. პედაგოგიკის თეორიის გაცნობამ ნათლად დამანხვა მასწავლებლის როლი ბავშვის ღირსეულ პიროვნებად აღზრდაში, რომ პედაგოგიბა არც ისე ადვილი საქმე ყოფილა. ლექციებზე და სემინარებზე მივხვდი პედაგოგიკის მეცნიერების მნიშვნელობას მასწავლებლის პროფესიულ მომზადებაში.

პროგრესულად მოაზროვნე ადამიანები ცნობდნენ და აღიარებდნენ მასწავლებლის უდიდეს პიროვნეულ და საზოგადოებრივ როლსა და მნიშვნელობას და ამიტომ ამკობდნენ მის სახელს ამაღლებული ეპითეტებით: „მასწავლებ-

ელს კვინტილიანებ ბრძენი წინამდღოლი უწოდა. იან ამოს კომენსკიმ ასე შეაფასა მასწავლებლის საპატიო პროფესია: მასწავლებლები „დაყენებული არიან მაღალ საპატიო ადგილზე, რომ მათ ჩაბარებული აქვთ საუცხოო თანამდებობა, რომლის უკეთესიც მზის ქვეშ არაფერი შეიძლება იყოს“ („კარგად მოწყობილი სკოლის კანონები“). კომენსკიმ სკოლის დირექტორს „მასწავლებელთა მასწავლებელი“ უწოდა, რომელიც მისი აზრით, ის უნდა „წარმოადგენდეს მთავარ სინათლეს მთელი სკოლისათვის და მის საყრდენს“ (იქვე). ადოლფ დისტერვეგი მასწავლებელს მზეს ადარებდა. „მასწავლებელი - წერს იგი - სკოლისათვის იგივეა, რაც მზე სამყაროსათვის.“ კონსტანტინე უშინსკიმ მასწავლებელს სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ცენტრალური ფიგურა უწოდა. იაკობ გოგებაშვილმა - სულიერი მოძღვარი. ლია ჭავჭავაძემ - „მზრდელი ყრმისა“. . . (პედაგოგიკა, გ. ხუხუა. თბ., 2009, გვ. 27-28).

ყოველივე ამის შემდეგ რა ბედნიერებაა და რა პასუხისმგებლობა თუნდაც ერთი წუთით საკუთარი თავი მასწავლებლად წარმოიდგინო! მით უმეტეს, როცა ბიბლიიდან იცი, რომ იქსო ქრისტე იყო ყველაზე დიდებული მასწავლებელი, იმიტომ რომ მან დიდი ხნით ადრე ზეცაში ყოფნისას მამასთან, ყოვლისშემძლე ღმერთისგან ისწავლა ყველაფერი. ამიტომ იყო, რომ დედამიწაზე ყოფნისას, თვით ბავშვებიც კი მასთან კარგად გრძნობდნენ თავს. ჩემი აზრით, მასწავლებელმა ყველაფერი უნდა გააკეთოს, რომ მასწავლებლის წოდება არ დაამდაბლოს. მით უმეტეს, როცა მეცნიერთა მიერ მზა-მზად არის მორთმეული საამისოდ საჭირო სამეცნიერო ლიტერატურის მარაგი.

პედაგოგიკა გვასწავლის ყველა იმ პედაგოგიურ პირობებს, რაც საჭიროა სრულფასოვანი პიროვნების ფორმირებასთან დაკავშირებით. რომ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი მკაცრად განსაზღვრულ პედაგოგიურ სისტემას, პედაგოგიურ კანონებს, პრინციპებს, მეთოდებს, გზებს, ფორმებსა და საშუალებებს ეყრდნობა და რომელიმე მათგანის

გაუთვალისწინებლობას, აუცილებლად ჩავარდნა მოჰყვება. ჩემი აზრით, შეიძლება ეს იყოს ერთ-ერთი მიზეზი საკოლო პრაქტიკის არც ისე სახარბიელო რეალობისა, რის შესახებ გამუდმებით ვისმენთ ელექტრო თუ სხვა მედია საშუალებებით. პედაგოგიკის თეორიის ცოდნის დეფიციტის პრობლემაშ ერთხელ კიდევ ნათლად იჩინა თავი მიმდინარე მასწავლებელთა ატესტაციის შედეგებში.

ცნობილია, რომ სამყაროში ყველაფერი არსებობისა და განვითარების ობიექტურ კანონებს, პრინციპებს, წესებსა და ნორმებს ექვემდებარება, რომელიც, როგორც ბიბლიაშია ნათქვამიღმერთმადაადგინა დარომარც სწავლა-განათლება და აღზრდა არის გამონაკლისი. ძალიან იმოქმედა ჩემზე ამასთან დაკავშირებულმა ა. დისტერვეგის სიტყვებმა: „პედაგოგიური კანონის უცოდინარობა უტიფრობაა, ხოლო მისი გამოუყენებლობა კი -ბარბაროსობა.”

როგორც ჩანს, პედაგოგიკის თეორია ნათელ წარმოდგენას აძლევს მასწავლებელს პედაგოგიური პროცესის მთლიანი მოღელის, სისტემებისა და კომპონენტების არსის, მათი ურთიერთკავშირის, ურთიერთდამოკიდებულება-განპირებულობის შესახებ, რომლის ღრმად გააზრება-გაცნობიერება ალექსანდრიის შუქურასავით იქნება მაღალკვალიფიციურ და ზნეობრივი მასწავლებლის ხელში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ვ. მალაზონია. პედაგოგიკა, თბ., 1999.
2. გ. ხუხუა, პედაგოგიკა, თბ., 2009.
3. ი. ჭავასელი პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლების ძირითადი საკითხები. თბ., 1977.
4. ბიბლიია, 2006.

Sopio Okriashvili
Sokhumi State University
Faculty of Education, I year student

Role of Pedagogics in Teacher's Professional Training

Pedagogical theory gives knowledge to a teacher about the systems, components of education and their practical use skills.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების
ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი
ნანა ღურუქაია
სამეცნიერო ხელმძღვანელი პედაგოგიკის
დოქტორი ასისტენტ-პროფესორი ლ. შეროზია

დიდაქტიკური ნერვოზის ცნება პედაგოგიკაში

გლობალიზაციის თანამედროვე პროცესებმა წინა პლანზე წამოსწია პედაგოგიკის მეცნიერების პიროვნული და საზოგადოებრივი მნიშვნელობა. ეს ბუნებრივია, რადგან სრულიად ახალ შინაარსს იძენს ეროვნული განათლების სისტემა საქართველოში.

განათლებას მუდამ პქნინდა საერთაშორისო, ზოგადკაცობრიული დირებულება, მაგრამ სხვათა თეორიული-პრაქტიკული გამოცდილება ნაკლებად იყო ხელმისაწვდომი. დღეს კი მდგომარეობა არსებითად შეიცვალა. მსოფლიო ბაზარი ერთიან გლობალურ კონკურენციას ამკვიდრებს.

ამ კონკურენციაში წარმატებულია ის, ვისაც უკათვესი ტექნილოგია აქვს. ამიტომ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არა იმდენად თეორიულ ცოდნას, რამდენადაც მისი გამოყენების მეთოდს. ამიტომ დღეს უფრო მნიშვნელოვანია განათლების სისტემის ისეთი ორგანიზება, რომელიც უზრუნველყოფს ათვისებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების რაციონალურ გამოყენებას პრაქტიკაში.

მიუხედავად ყველაფრისა, სწავლა-განათლება და აღზრდა არ უნდა მოწყდეს ეროვნულ ტრადიციაებს, მაგრამ ასევე უნდა მოიცავდეს ზოგადკაცობრიულ გამოცდილებასაც.

სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ტექნოლოგიზაცია მსოფლიო პედაგოგიკაში უკავშირდება ისეთ დიდაქტიკური მიდგომების მიებას, რომლისსაშუალებითაც სწავლება ერთგვარ „მწარმოებლურ-ტექნილოგიურ პროცესად გადაიქცევა, რომელსაც შედეგი გარანტირებული აქვს.“

პედაგოგიური ტექნოლოგიის სამ ძირითად ჯგუფს განარჩევენ:

1. ახსნით-ილუსტრაციული სწავლების ტექნოლოგია, რომელსაც ინფორმაციულობა უდევს საფუძვლად, ასევე რეპროდუქტიული მოქმედიანობა საერთო-სასწავლო უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით.
2. პიროვნებაზე ორიენტირებული სწავლების ტექნილოგია, რომელიც ემსახურება მოსწავლის ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურების გათვალისწინებას.
3. განმავითარებელი სწავლების ტექნოლოგია, რომელიც ითვალისწინებს სწავლების ისეთ საშუალებებს, რომელიც იწვევს მოსწავლის შინაგანი განვითარების მექანიზმების ამოქმედებას და მისი ინტელექტუალური შესაძლებლობის გამოვლინებას.

ახსნითი-ილუსტრაციული ტექნილოგიის ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური ანალიზის გზით მეცნიერებმა დაადგინეს, რომ მისი გამოყენებისას მოსწავლეთა ერთი ნაწილისთვის სწავლება იძულების საშუალებით ხორციელდება. მართალია, ამ გზით მოსწავლეები სწავლობენ ახალ მასალას, მაგრამ ასეთი რეპრესიული გარემო ამჟარუჟებს მოზარდთა ბუნებრივ სოციალურ ზრდას და უყალიბებს აგრესიას, რაც უარყოფითად მოქმედებს როგორც მოსწავლის, ასე მასწავლებლის ფსიქიკურ და ფიზიკურ ჯანმრთელობაზე.

იძულების სიტუაცია და მუდმივი გარეგან კონტროლი მოსწავლეებში იწვევს შემოქმედებითი უნარების, ინიციატივისა და დამოუკიდებლობის, შემეცნებითი აქტივობის განვითარების შეფერხებას, საკუთარი არასრულფასოვნების შეგრძნებას, უნდობლობას, შეცდომის დაშვების შიშა და უაღგილო კომპლექსებს.

ფსიქოლოგთა სტატისტიკური მონაცემების მიხედვით მოსწავლეთა ერთ მესამედს გადატვირთვის, შიშის, შფოთვის, დამამცირებელი ეპითეტების შედეგად გამოწვეული განცდების გამო უნგითარდება ე. წ. „დიდაქტიკური ნერვოზი”, რაც აძნელებს ახალი მასალის ათვისებას, სასწავ-

ლო პროცესისადმი უარყოფით დამოკიდებულებას. რაც უფრო ძლიერია იძულება, მით უფრო ძლიერდება იმ საქმი-ანობისადმი გაუცხოება, რასაც აიძულებენ.

როგორც ცნობილი, ბავშვის განვითარება იწყება მისი დაბადებიდანვე გარემომცველ სინამდვილესთან ემოციური ურთიერთობის საფუძველზე, შემდეგ თამაშის გზით მიმდინარეობს, რომელშიც ბავშვი საკუთარი განვითარების სუბიექტია. სკოლაში კი აღსაზრდელი მასწავლებელთა ზემოქმედების ობიექტად იქცევა. ეს ცვლილებები ბავშვისთვის მტკიცნეულია, რაც მისი ემოციური მდგომარეობის დაძაბულობა - გაღიზიანებით ვლინდება. დაც თანდათანობით ხერვოზის განვითარებისა და სწავლისადმი ინტერესის დაკარგვის საფუძველი ხდება.

საქმისადმი დამოკიდებულება და წარმატებას განაპირობებს მოტივები. მოქმედიანობის აღმდვრელი შეიძლება იყოს შინაგანი და გარეგანი მოტივი. გარეგან აქტივობას წარმოშობს სტიმულები: წახალისება, ჯილდო, დაწინაურება, გამარჯვება, ბარიერის გადალახვა და ა. შ.

შინაგანი მოტივაცია უკავშირდება თვითმოქმედების პროცესს, შინაგან მოთხოვნილებას, დადებით ემოციებს, საკუთარი ძალებით შემეცნებითი წინააღმდეგობის დაძლევით გამოწვეულ მორალურ კმაყოფილებას. სასკოლო პრაქტიკაში სასწავლო პროცესი ძილითადად აგებულია გარეგან მასტიმულირებლ ფაქტორებზე. აქ კი ყურადღება ძირითადად გამახვილებულია ნიშნებზე, შეფასებებზე, ჯილდოებზე და ა. შ.

მეცნიერების აზრით, აუცილებელია ორგანიზაციული ცვლილები სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში. ამისთვის მათ საჭიროდ მიაჩნიათ სწავლების უფრო სრულყოფილი ტექნოლოგიების გამოყენება, თეორიისა და პრაქტიკის მაქსიმალური დაახლოება, რაც უზრუნველყოფს პედაგოგიური პროცესის ნორმალიზაციას. კერძოდ: მასწავლებელთა გადასვლა სასწავლო საგნობრიობიდან მოსწავლებობან ურთიერთობის პიროვნულ მოდელზე და მასწავლებელთა

მომზადება მოსწავლეებში შინაგანი აქტივობის აღმძვრელი პედაგოგიურ ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენებისათვის.

ამრიგად, როგორც პედაგოგიკის სახელმძღვანელო მიგვითოთებს, საჭიროა მასწავლებლებში მოსწავლეებთან ურთიერთობის პედაგოგიური კულტურის ამაღლება, მოსწავლეთა ნებაყოფლობითობის, ინიციატივისა და დამოუკიდებლობის, მათი ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების, მოსწავლის პიროვნებისადმი პატივისცემისა და აღზრდაში დადებითზე დაყრდნობის, თეორიისა და პრაქტიკის მჭიდრო კავშირის პრინციპების, ასევე მათი პრაქტიკული რეალიზაციის მეთოდების, გზების, ფორმებისა და საშუალებების შემოქმედებითად გამოყენების, ე. ი. სწორი ტექნოლოგიზაციის თეორიულ-პრაქტიკული ცოდნა-გამოცდილებისა და უნარ-ჩვევების გამოამუშავება თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. განათლების რეფორმები თანამედროვე მსოფლიოში. 1995.
2. ბ. ვასაძე, პედაგოგიკა, თბ. 2000.
3. პედაგოგიური ტექნოლოგიები . . . 1994.
4. П. Циавичене. Теория модульного обучения М.,1989.
5. А. Джуринский. Современные теории о развитии образования в мире. М.,1989.
6. ბ. ცუცქირიძე, ორჯონიკიძე, სწავლების თეორიები. თბ., 2009.

Nana Gurtskaia
Sokhumi State University
Faculty of Education, IV year student

Notion of Didactical Neurosis in Pedagogics

Didactical neurosis has been revealed in pupils. From the scientists' point of view this is caused by exhaustion, difficult relations with teachers, peers and parents. The teachers have to study those kinds of pupils, and work out the appropriate plans which supports filling up the deficit they have.

პედაგოგიური სისტემა

1. განათლება გონიერებისთვის იგივეა, რაც სისხლი სხეულისთვის (ა. დისტრაგგი).

* * *

2. აღზრდა, ქვეყნად არსებული ყოველი სიკეთისა და ბოროტების, უძედურებისა და ბედნიერების პირველწევაროა (რ. ოუენი).

* * *

3. მწამს, რომ კაცობრიობის ყველა პრობლემამ აღზრდაში უნდა პპოვოს გადაწყვეტა (თაგორი).

* * *

4. ყველაფერი ის, რაც არ გაგვაჩნია დაბადებისას და უიმისოდ არ ვვარგიბართ დიდობისას, მოგვცა აღზრდამ (ეან-ჟაკ რუსო).

* * *

5. ადამიანის დირსება განიზომება გონიერივი სიმაღლით, ზნეობრივი სისპერაკით, რომელსაც იგი თესავს თავისი მოღვაწეობით (ი. გოგებაშვილი)

* * *

6. სწავლება სასწაულებს ახდენს მხოლოდ შრომის საფუძველზე (დემოკრიტე).

* * *

7. სწავლებამ უნდა განანათლოს, აღზარდოს და განავითაროს მოსწავლე

(ა. დისტრაგგი).

9. მოსწავლე პარმონიულმა განვითარებამ უნდა აქციოს პიროვნებად

(ა. დისტრაგგი).

* * *

10. ადამიანი შექმნილია საგანთა შეცნობისათვის, ზნეობრივი
პარმონიისათვის და ლვთის უსაზღვრო სიყვარულისათვის
(იან-ამოს კომენტი).

* * *

11. ადამიანი არის ყველაზე მშვიდი და ყველაზე ლვთაებრივი
სულდგმული, თუ იგი მოშინაურებულია ჭეშმარიტი აღზრდით.
თუ მას არ მიუღია აღზრდა, ან ყალბი აღზრდა მიიღო, მაშინ ის
არის ყველაზე უფრო ვალური იმ ცხოველთა შორის, რომლებსაც
დედამიწა წარმოშობს

(პლატონი).

* * *

12. სიბრძნე ბიწიერ სულს არ ეკარება, თუ სინდისი არ გაქვს,
მხოლოდ ცოდნა დაღუპავს სულს

(სოლომონი)

* * *

13. ავგაცობის ნებას არ მოგცემს გრძნობა
გაცომუყვარებისა

(ილია ჭავჭავაძე).

* * *

14. წმინდა სინდისი განუწყვეტელი ლხინია

(იან-ამოს კომენტი).

* * *

15. სკოლამ ქრისტეს უნდა დაგვამსგავსოს

(იან-ამოს კომენტი).

* * *

16. სიცოცხლე იზომება საქმეების მიხედვით და არა
სანგრძლივობის მიხედვით

(იან-ამოს კომენტი).

* * *

17. როგორც თქმენ გინდათ მოგექცნენ ადამიანები, თქვენც
ისევე მოექციოთ მათ

(ლუგა 6:13).

* * *

18. ყველაზე უფრო უფრთხილდით, ბავშვმა არ შეიძულოს
სწავლა, რომლის შეყვარება ჯერ კიდევ ვერ მოუხერია
(მ.ფ. კვინტილიანე).

* * *

19. მეცნიერებათა პირველ საფუძვლებს, ჩაყრილს დიდოსტატის
სელით, სრულყოფილებისაკენ მიგეავართ
(მ. ფ. კვინტილიანე).

* * *

20. არაფერია მიკერძოებულობაზე უფრო აუტანელი
(მ.ფ. კვინტილიანე).

* * *

21. მასწავლებელი მჭევრმეტყველი და ზნეობით გამორჩეული
უნდა იყოს, რათა აქილევსის მასწავლებლის მსგავსად ასწავლიდეს
სიტყვასა და საქმეს
(მ. ფ. კვინტილიანე).

* * *

22. ცედი მასწავლებელი მზა ჭეშმარიტებას გადაცემს, კარგი
კი - მოსწავლეებს კარგის აღმოჩენას ასწავლის
(ა. დისტერვეგი).

* * *

23. ცედია ის მეთოდი, რომელიც მოსწავლეს აჩვევს უბრალო
შეთვისებას და პასიურობას, სამაგიეროდ კარგია ის მეთოდი,
რომელიც ავითარებს მოსწავლის თვითმოქმედებას
(ა. დისტერვეგი).

* * *

24. ტვინმა თვითმოქმედებით უნდა ადიქვას, აითვისოს გა
გადაამუშავოს ყველაფერი . . . ის, რაც ადამიანმა არ შეიძინა
თვითმოქმედებით, მისი არ არის
(ა. დისტერვეგი).

* * *

25. ბავშვის განვითარების კანონებისა და პრინციპების არ ცოდნა პედაგოგიური უვიცობაა, ხოლო მისი უგულვებელყოფა - ბარბაროსობა

(ა. დისტერვეგი).

* * *

26. ერთ თავისებური კოლექტიური პიროვნებაა, ამიტომ მისი აღორძინება შეიძლება მხოლოდ თავისებური, ეროვნული გზით
(ი. გოგებაშვილი).

* * *

27. დედაენა არის სალაროდაუსრულებელი რვეული, რომელშიც დაცულია მთელი სიმდიდრე ხალხის გონებისა, ფანტაზიისა, და გულისა, ნაფიქრისა, ნაგრძნობისა, ნამოქმედარისა

(ი. გოგებაშვილი).

* * *

28. მცირე ნაწილი კაცობრიობისა პყარს სიმდიდრისაგან და უმრავლესობა - სიდატაკისგან

(ი. გოგებაშვილი).

* * *

29. არავითარ ცოდნას არ შეუძლია მისცეს ადამიანს იმაზე მეტი დამაჯერებლობა, რამდენადაც აძლევს მას რელიგიური რწმენა

(ფ. პერბარტი).

* * *

30. წიგნები საჭიროა, რათა მოაგონონ ადამიანს, მისი ორიგინალური აზრები არც ისე ახალია!

(აბრაამ ლინკოლინი)

ს ა რ ჩ ე ვ ი

წინაუწყება-----	5
გ. ხუხურა - პედაგოგიკური ცნებითი-ტერმინოლოგიური სისტემის შემცირებითი მნიშვნელობა მასშავლების პროფესიულ საქმიანობაში.-----	7
ე. ჭანტურია - პიროვნების ფორმირების პედაგოგიური ინფრასტრუქტურის ტრადიციული და თანამედროვე პედაგო- გიური ტექნოლოგიები.-----	16
გ. სალია - პუმანური აღზრდა - მოსწავლეთა მორალურის სახის ფორმირების საფუძველი -----	28
გ. ხუხურა - თვალის როლი პიროვნების ფორმირებაში -----	40
ი. ბუხულები შვილი - მოზარდებში აგრესიულობის გამომწვევი მიზეზების შესახებ.-----	50
ლ. ჯინჯიხაძე - ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების ძირითადი ორიენტირი. -----	62
ჯ. ჯინჯიხაძე - მათემატიკური მეტყველების განვითარება დაწყებით სკოლაში.-----	69
ბ. მაისურაძე - სასწავლო ტექსტის სირთულე და მისი დაძლევის პედაგოგიური ტექნოლოგიები.-----	79
თ. გაბუნია - მასშავლებლის საზოგადოებრივი და პიროვნული როლი და მნიშვნელობა.-----	90
ი. გუდაძე - პედაგოგიური კანონები და პრინციპები - აღზრდის საფუძველი. -----	94

თ. ჯიქია - პიროვნების ფორმირების ფაქტორები მ.გ. კვინტილიანეს მიხედვით. ——————	98
ნ. თათარაშვილი - პიროვნების ფორმირების კონვერგენციული თეორია.—————	102
ე. ჩუბინიძე - აღზრდის ფაქტორი სრულფასოვნი პიროვნების ფორმირებაში. ——————	107
ნ. გაფრინდაშვილი - სულიერი აღზრდის როლი სრულფასოვანი პიროვნების ფორმირებაში. ——————	113
ნ. ტაბატაძე - ზნეობრივი აღზრდა პიროვნების მორალური სახის ჩამოყალიბებაში.—————	117
ს. ოქრიაშვილი - პედაგოგიკის თეორიის როლი მასწავლებლის პროფესიულ მომზადებაში.—————	121
ნ. ლურწებაია - დიდაქტიკური ნერგოზის ცნება პედაგოგიკაში. ——————	125
პედაგოგიური სიბრძნე ——————	130

მეცნიერება და სკოლა

სამეცნიერო პედაგოგიური

შრომების კრებული 2010

I

წიგნი დაკაბადონდა და გამოიცა

შპს „კოპიპრინტ 2000“-ში
თბილისი, ვაჟა-ფშაველას №5

ტელ: 38 50 19